დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ გიორგაძე

წევრები:

თამრიკო ბასილაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;

ნინო ხუტილაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნანა მარღანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

თაია მამარდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნინო წიკლაური - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ირინე შარაბიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	247863913

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ნენია
ფაქტობრივი მისამართი	შუახევი, სოფელი ნენია, 1--ელი ქუჩა N2; შუახევი, სოფელი ნენია, მე-7 ქუჩა N2
საფოსტო ინდექსი	6300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nenia@mes.gov.ge neniissajaroskola@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591712191

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 9 26 0000394163
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 4 და 5 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	შუახევი, სოფელი ნენია 1--ელი ქუჩა, N2; შუახევი, სოფელი ნენია, მე-7 ქუჩა, N2.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	საბაზო საფეხური	ქართული	შუახევი, სოფელი ნენია 1--ელი ქუჩა, N2

	პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	შუახევი, სოფელი ნენია 1--ელი ქუჩა, N2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 4 და 5 მაისს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 2 აპრილის ბრძანების (MES 9 26 0000394163) საფუძველზე.

ვიზიტი მოიცავდა კომპლექსურ და მრავალმხრივ სამუშაო ფორმატს, ინტერვიუებსა და გასაუბრებებს სასკოლო საზოგადოებასთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და შეფასებული სასკოლო კურიკულუმები, მათი რეალისტურობა, განხორციელებადობა და ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) პრინციპებთან თავსებადობა; შეფასდა სკოლის შიდა რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მხარდაჭერას, ინკლუზიურ განათლებას (სსსმ პირთა სერვისები) და უსაფრთხო სასწავლო გარემოს.

ვიზიტის ფარგლებში აქტივობების ასეთმა მჭიდრო და სისტემურმა გრაფიკმა ექსპერტთა ჯგუფს მისცა სრულყოფილი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სურათი სკოლის სტანდარტებთან შესაბამისობის შესასწავლად და საბოლოო დასკვნის მოსამზადებლად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 275	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო საფეხური)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საშუალო საფეხური)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლამ გამოაცხადოს კონკურსი ვაკანტური საათების შესავსებად და დაასაქმოს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პერსონალი არა უგვიანეს 2026 წლის 8 სექტემბრისა.*
N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ*	*სკოლამ ნაკანაფევის ხის შენობა აღჭურვოს ვიდეოკამერებით არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა;* *სკოლამ ნაკანაფევის ხის შენობა შემოღობოს არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა.*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ დაწყებითი საფეხურის ნაკანაფევის ხის შენობაში მოაწყოს სამედიცინო კაბინეტი, დაასაქმოს ექთანი, რათა ხის შენობაში საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა იყოს შესაძლებელი, არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა.*
N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ ძირითადი შენობის პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელ შიდა კიბეზე მოაწყოს პანდუსი, პლატფორმა ან ლიფტი, რათა შესაძლებელი გახდეს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევის მქონე (ეტლით მოსარგებლე ან მობილობის სირთულის მქონე) სასკოლო საზოგადოების წევრების დამოუკიდებელ გადაადგილებას შენობის მეორე სართულზე არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა.* *სკოლას მოაწყოს სპეციალიზებული რესურსოთახი ძირითად შენობასა და ნაკანაფევის ხის შენობაში, რომელიც აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან ინდივიდუალური, მულტიდისციპლინური განმავითარებელი მეცადინეობების ჩასატარებლად შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიებისა და თერაპიული რესურსების გამოყენებით არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა.* *სკოლამ ნაკანაფევის ხის შენობა უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოთი არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა.*
N3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*ნაკანაფევის ხის შენობაში მოეწყოს საბიბლიოთეკო სივრცე არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა.*

N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია*	*სკოლამ ვებგვერდზე ასახოს დეტალური ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის (საბაზო ან საშუალო განათლების ატესტატი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებისა (შეფასების სისტემა, გაცდენების ლიმიტი) და გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმების შესახებ არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა*	*სკოლამ შესაბამისობაში დაწყებით საფეხურზე, საფეხურის სახვით და გემოყენებით ხელოვნების საგანში შემდეგი:*

	შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	• *შეფასების სქემებში შესაბამისობა მესამე ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტან, შეფასების რუბრიკების (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) შემუშავებისას, სავალდებულოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების სრული გათვალისწინება;* • *შეფასების სქემებში იყოს იდენტიფიცირებული კონკრეტული თემა და საკითხი, რომლის ფარგლებშიც ფასდება მოსწავლე;* • *გამოიკვეთოს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან მიმართება, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორები.* *არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და მუსიკაში შემდეგი:* • *შეფასების რუბრიკაში საგნობრივი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემასთან/საკითხთან მიმართებით, ფასდება მხოლოდ* *ტექნიკური შესრულება, დროის ლიმიტის დაცვა, დაგეგმვა, შემოქმედებითო და სხვ.;* • *შეფასების რუბრიკა იყოს ფოკუსირებული კონკრეტულ თემაზე/ საკითხზე/შუალედურ სასწავლო მიზანზე, მოცემული რუბრიკები თითოეული შემოქმედებითი/შემაჯამებელი დავალებისთვის უნდა შეიქმნას ინდივიდუალური რუბრიკა, რომელიც პირდაპირ პასუხობს მოცემულ საკითხს და არა ზოგად უნარებს;* • *შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები და* *მოხდეს მათი ადაპტირება კონკრეტულ თემაზე, სავალდებულოა,*

		კონკრეტულ შუალედურ სასწავლო მიზნის ფარგლებში *განისაზღვროს შეფასების სქემების მოცემულობა* *არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საგან სპორტში სკოლამ ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობა უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზითა და გარე სპორტული მოედნით, რათა მასწავლებლებმა ჯეროვნად განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი სპორტული აქტივობები არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ უზრუნველყოს, რომ დასაქმებული იყვნენ მასწავლებლები შესაბამისი კვალიფიკაციით, რათა პედაგოგთა მხრიდან შესაბამისი აკადემიური განათლების ან/და საგნობრივი კომპეტენციის (სტატუსის) დადასტურებით უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობას არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)***	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სკოლამ შესაბამისობაში საბაზო საფეხურზე, საფეხურის სახვით და გემოყენებით ხელოვნების საგანში შემდეგი:* *•შეფასების სქემებში შესაბამისობა მესამე ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტან, შეფასების რუბრიკების (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) შემუშავებისას, სავალდებულოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების სრული გათვალისწინება;* *•შეფასების სქემებში იყოს იდენტიფიცირებული კონკრეტული თემა და საკითხი, რომლის ფარგლებშიც ფასდება მოსწავლე;*

		•გამოიკვეთოს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან მიმართება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორები. *არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და მუსიკაში შემდეგი:* *•შეფასების რუბრიკაში საგნობრივი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემასთან/საკითხთან მიმართებით, ფასდება მხოლოდ ტექნიკური შესრულება, დროის ლიმიტის დაცვა, დაგეგმვა, შემოქმედებითო და სხვ.;* *•შეფასების რუბრიკა იყოს ფოკუსირებული კონკრეტულ თემაზ საკითხზე/შუალედურ სასწავლო მიზანზე, მოცემული რუბრიკები თითოეულ შემოქმედებითი/შემაჯამებელი დავალებისთვის უნდა შეიქმნ ინდივიდუალური რუბრიკა, რომელიც პირდაპირ პასუხობს მოცემულ საკით და არა ზოგად უნარებს;* *•შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები და მოხდეს მათი ადაპტირება კონკრეტულ თემაზე, სავალდებულოა, კონკრეტულ შუალედურ სასწავლო მიზნის ფარგლებში განისაზღვროს შეფასების სქემების მოცემულობა* *არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის ლაბორატორიის სივრცე უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნის (ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მასალით დაფარული მაგიდა) შესაბამისად არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა.*

ინდიკატორი N 2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ უზრუნველყოს, რომ დასაქმებული იყვნენ მასწავლებლები შესაბამისი კვალიფიკაციით, რათა პედაგოგთა მხრიდან შესაბამისი აკადემიური განათლების ან/და საგნობრივი კომპეტენციის (სტატუსის) დადასტურებით უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობას არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)***	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სკოლამ შესაბამისობაში საშუალო საფეხურზე, საფეხურის სახვით და გემოყენებით ხელოვნების საგანში შემდეგი:* *•შეფასების სქემებში შესაბამისობა მესამე ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტან, შეფასების რუბრიკების (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) შემუშავებისას, სავალდებულოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების სრული გათვალისწინება;* *•შეფასების სქემებში იყოს იდენტიფიცირებული კონკრეტული თემა და საკითხი, რომლის ფარგლებშიც ფასდება მოსწავლე;* *•გამოიკვეთოს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან მიმართებ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორები.* *არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და მუსიკაში შემდეგი:* *•შეფასების რუბრიკაში საგნობრივი სამიზნე ცნებები,*

		ქვეცნებები, თემასთან/საკითხთან მიმართებით, ფასდება მხოლოდ ტექნიკური შესრულება, დროის ლიმიტის დაცვა, დაგეგმვა, შემოქმედებითობა და სხვ.; *•შეფასების რუბრიკა იყოს ფოკუსირებული კონკრეტულ თემაზე/ საკითხზე/შუალედურ სასწავლო მიზანზე, მოცემული რუბრიკები თითოეული შემოქმედებითი/შემაჯამებელი დავალებისთვის უნდა შეიქმნას ინდივიდუალური რუბრიკა, რომელიც პირდაპირ პასუხობს მოცემულ საკითხს და არა ზოგად უნარებს;* *•შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები და მოხდეს მათი ადაპტირება კონკრეტულ თემაზე, სავალდებულოა, კონკრეტულ შუალედურ სასწავლო მიზნის ფარგლებში განისაზღვროს შეფასების სქემების მოცემულობა არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის ლაბორატორიის სივრცე უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნის (ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მასალით დაფარული მაგიდა) შესაბამისად არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა.*
ინდიკატორი N 2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ უზრუნველყოს, რომ დასაქმებული იყვნენ მასწავლებლები შესაბამისი კვალიფიკაციით, რათა პედაგოგთა მხრიდან შესაბამისი აკადემიური განათლების ან/და საგნობრივი კომპეტენციის (სტატუსის) დადასტურებით უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობას არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.1.	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის 2.4.3 პუნქტში ნათქვამია, რომ მონიტორინგის ჯგუფი იქმნება გეგმის დამტკიცებიდან 3 წლის შემდეგ, რაც, შესაძლოა, დაგვიანებული იყოს ეფექტური რეაგირებისთვის. სასურველია, მონიტორინგის ჯგუფი შეიქმნას სტრატეგიული გეგმის დამტკიცებისთანავე და განახორციელოს შეფასება გეგმისამებრ.* *სასურველია, კითხვარები მეტად ორიენტირებული გახდეს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე. მაგალითად, მშობლის კითხვარში მეტი აქცენტი გაკეთდეს არაფორმალურ განათლებასა და სკოლის სერვისებზე, ხოლო მასწავლებლისაში - პროფესიულ საჭიროებებსა და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერაზე.*
N1.2.2.1	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს*	*სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიით განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების პროგრესის გაზომვისთვის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა გეგმის დამტკიცებისთანავე.* *სასურველია, მეთოდოლოგიას დაემატოს რეაგირების მექანიზმი - როგორ აისახება მონიტორინგის შედეგები მომდევნო წლის ბიუჯეტსა და პრიორიტეტებში.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს*	*სასურველია, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული დასკვნა არა მხოლოდ დირექტორს წარედგინოს, არამედ იყოს გაზიარებული და განხილული პედაგოგიურ საბჭოზეც, რათა გაიზარდოს მასწავლებელთა პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე.*
N3.3.1.3.	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა*	*საჩივრების ოფიციალური წესის პარალელურად, სასურველია, არსებობდეს „ნდობის ყუთი“ ან ანონიმური ელექტრონული ფორმა, რათა მოსწავლეებმა თუ თანამშრომლებმა ღიად დააფიქსირონ პოზიცია შესაძლო ბულინგის ან არაეთიკური ქცევის შესახებ.*
N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სასურველია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

N3.4.1.8	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სასურველია, სკოლამ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასების პროცესში (მაგალითად, წლიური კითხვარების ან ფოკუს-ჯგუფების სახით) უფრო აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებიც - მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. მათი უკუკავშირი დაეხმარება სკოლას, დაინახოს უსაფრთხოების გარემო მომხმარებლის პერსპექტივიდან და კიდევ უფრო ზუსტად დაგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებები.*
N3.5.1.5	*სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას*	*სასურველია, სკოლამ მოაწყოს სააქტო დარბაზი, რადგან არც ძირითად კორპუსს და არც ნაკანაფევის ხის შენობას არ აქვს. სააქტო დარბაზის არარსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს სკოლის ინფრასტრუქტურულ პოტენციალს, სრულფასოვნად და უწყვეტად შეასრულოს სოციო-კულტურული ცენტრის როლი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში ან მასშტაბური სათემო შეხვედრების დროს.*
N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის*	*სასურველია, პლატფორმაზე აისახოს საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესები და მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის შიდასასკოლო მექანიზმები ფართო საზოგადოებისთვის*

	სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.2.	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან*	*სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესისა და შინაგანაწესის სრული ელექტრონული ვერსიების განთავსება სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე/შესაბამის გვერდზე, რათა მიღწეულ იქნას რეგულაციების სრული საჯაროობა და გამჭვირვალობა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა პროცედურულად განისაზღვროს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით. 2.კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ). 3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის 11 მუხლის გარდამავალ დებულებაში დაზუსტდეს დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილების შეტანის პირობები. 4.ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგების პერიოდების შესაბამისობა გასწორდეს სასწავლო წლის კალენდარსა და სასკოლო სასწავლო გეგმის, როგორც კონცეპტუალურ, ისე საფეხურეობრივ დოკუმენტებში.

ინდიკატორი N 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმისა და დამხმარე მასალების შესახებ მშობლების, სასკოლო თემისა თუ დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების გზები (მაგ. სოციალური მედია, მშობელთა კრება, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები). 2. სკოლების პორტალის ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge/სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა) განათავსოს სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის, სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის ბიუჯეტი
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო:** მიზანშეწონილია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს მოსწავლის ავტონომიურობის ხარისხი, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეს ჰქონდეს მეტი არჩევანი პროდუქტის ფორმატის შესახებ. **უცხოური ენა:** 1. კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს მრავალფეროვან კლასგარეშე ღონისძიებები, ინტეგრირებული აქტივობები/პროექტები, რა ხელს შეუწყობს სხვადასხვა საგნობრივ კომპეტენციებს შორის კავშირებ დანახვას, აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას და მათი მრავალმხრივ უნარების განვითარებას. 2.კლას-კომპლექტებისთვის შეიქმნას ერთიან კურიკულუმი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უზრუნველყოფ მასწავლებელი სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას სხვადასხვ ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებთან. 3.კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმი ჩარჩოს ერთიანი ფორმა (სვეტების თანმიმდევრობა, დასახელება, შინაარსი რაც მნიშნელოვანია სასწავლო შინაარსის ორგანიზების, კათედრის წევრებს შორის პრაქტიკის გაზიარების კუთხით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:** 1. სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში, თემატური ბლოკების ფარგლებში, დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ამასთან, მნიშვნელოვანია ცნებების/ქვეცნებების დაკონკრეტება შესაბამისი თემის, საკითხისა და შუალედური მიზნის ადეკვატური ქვეცნებებით. 2.თითოეული თემისა თუ

		საკითხისთვის სასურველია ჩამოყალიბდეს მკაფიო შუალედური სასწავლო მიზანი. 3.სასურველია სასკოლო კურიკულუმისთვის შემუშავდეს ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ და ფორმალურ თანმიმდევრულობას. **სახელმწიფო ენა:** მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს: ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს; ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას; გ) პროექტულ სწავლებას.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრამ გააძლიეროს მუშაობა საგანთაშორისი კავშირების მიმართულებით. კურიკულუმების იმგვარი სინქრონიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დისციპლინაში არსებულ სამიზნე ცნებების კომპლექსურ დამუშავებას. ეს მიდგომა მოსწავლეს ცოდნის გამთლიანებასა და იმავე მოვლენის სხვადასხვა რაკურსით გააზრებაში დაეხმარება. **უცხოური ენა**: მნიშვნელოვანია, რომ III-IV თავის დავალების იდეის დასახელება თანხვედრაში იყოს შესასწავლი საკითხის დასახელებასთან (მაგ. საკითხის გრაფაში გიწერიათ „საგაზეთო სტატია“, შემოქმედებითი დავალების იდეაში - „ესე“). **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილია იმ სარეკომენდაციო თემებისა და საკითხების განსაზღვრა, რომელთა დამუშავებაც შესაძლებელი იქნება შუალედური სასწავლო მიზნების ფარგლებში. 2.სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის. **სახელმწიფო ენა:** 1. სასურველია, კათედრა ხელმძღვანელობდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმით. კურიკულუმის თითოეული სვეტით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულად და მიზნობრივად იქნას შევსებული: თითოეული თემის ფარგლებში დაზუსტდეს ქვეცნებები და

		გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დასამუშავებელი საკითხი (მაგ: მე-6 კლასი) სასწავლო თემის ფარგლებში. 2.სასურველია, ა) გადაიხედოს 1-ლი კლასის ქართული ენის კურიკულუმი და გათვალისწინებულ იქნას სტანდარტთან შესაბამისობა, კერძოდ, ანბანისშემდგომ პერიოდში დამუშვდეს ცნება - „გრამატიკა“ და ამავე პერიოდში თემების გასწვრივ მიეთითოს საკითხთა ჩამონათვალი და რესურსები.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ბუნებისმეტყველება:** სასურველია, ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები) ასევე სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში: დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები. ბიოლოგია: საბაზო საფეხური: IXკლ. საშუალო საფეხური: კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილ იქნას ის ელექტრონული რესურსები, რომელსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო:** სასურველია, სასწავლო რესურსების ბანკის პერიოდული განახლება ციფრული პლატფორმებით, რაც სასწავლო პროცეს გახდის უფრო მრავალფეროვანს. ასევე, მნიშვნელოვანია კათერა შეთანხმდეს ერთიდაიგივე კურიკულუმის დიზაინსა და სტრუქტურაზე. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა. 2. თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით; მაგალითად, ზოგადი მითითების ნაცვლად — „სამინისტროს რესურსი“ — მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი **სახელმწიფო ენა:** 1. სასურველია, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ. რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე. 2. III და IV კლასის ქართული ენის კურიკულუმი გამრავალფეროვნდეს და სხვა რესურსებთან ერთად დაემატოს შესაბამისი ელექტრონული რესურსები

		მათემატიკა: IV კლ. მათემატიკის კურიკულუმში რესურსების ველი შეივსოს და მიეთითოს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაბამისი პარაგრაფები და გვერდები, ასევე სხვა დამატებითი რესურსები, მათ შორის ელექტრონული, რომელსაც მასწავლებელი იყენებს თემის/საკითხის შესწავლისას.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**უცხოური ენა:** 1. მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური საჭიროებების გეგმა მაქსიმალურად იყოს კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული. მაგ. უნდა აღწეროთ მოსწავლის აქტუალური ცოდნის დონე. კონკრეტული სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები უნდა გაიწეროს უფრო დეტალურად. 2.სასურველია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მკვეთრად გაიმიჯნოს მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები, რათა ზუსტად განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნები; დაიგეგმოს და განხორციელდეს საჭიროებებზე მორგებული ეფექტიანი აქტივობები. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის. 2.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი კლასის კურიკულუმს. მასში მკაფიოდ სასურველია გაიწეროს გრძელვადიანი და შუალედური (მოკლევადიანი) მიზნები, რომელთა საფუძველზეც დაიგეგმება მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული აქტივობები. 3.კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. 4.სასურველია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მკვეთრად გაიმიჯნოს მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები, რათა ზუსტად განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნები; დაიგეგმოს და განხორციელდეს საჭიროებებზე მორგებული ეფექტიანი აქტივობები.

		სახელმწიფო ენა: 1.სასურველია, სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება; სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში (მოსწავლის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების აღწერით ნაწილში), გაკეთდეს მიზნობრივი და რელევანტური ჩანაწერები: კერძოდ, გაიმიჯნოს მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები აღნიშნულის სქემის შესაბამისად 2.სასურველია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მკვეთრად გაიმიჯნოს მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები, რათა ზუსტად განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნები; დაიგეგმოს და განხორციელდეს საჭიროებებზე მორგებული ეფექტიანი აქტივობები.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ბუნებისმეტყველება:** 1. სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამივე საფეხურის ყველა კლასისთვის შემუშავებულ იქნას შესაბამისი განმსაზღვრელი, განმავითარებელი-თემის/შუალედური მიზნის/კონკრეტული საკითხის-კონტექსტ მაგალითის მიმართ. მნიშვნელოვანია კათედრაზე იყოს ერთიანი მიდგომა განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმის მიმართ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს დადებითი ნიშნების დაწერის ლოგიკას. 2. I, II და III კლასების შეფასების რუბრიკების შედგენისას, საორიენტაციოდ გამოიყენონ IV კლასის კურიკულუმზე დართული შუალედური მიზნის სტრუქტურაში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასება. **მათემატიკა:** III და IV კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მასწავლებლებმა ისარგებლონ I-II კლასებში შემუშავებული, სტანდარტის შედეგებზე მორგებული რუბრიკების ნიმუშებით. **მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო**: სასურველია, სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროექტული სწავლების ფარგლებში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას. კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც უფრო ობიექტურად ასახავს მოსწავლეთა

		პრაქტიკულ კომპეტენციებს. ყველა საფეხურზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით შეფასების რუბრიკის დანერგვა პრაქტიკაში და ანალიზი. **ინგლისური ენა:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურზე, გაუმჯობესდეს/დაიხვეწოს ინგლისური ენის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ რუსული ენის V კლასის რუბრიკის მიხედვით), და შეიქმნას ისეთი რუბრიკები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ დავალებას და დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება. **ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები:** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები და ქულათა ჯამი.
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მე და საზოგადოება:** „მე და საზოგადოების" სასწავლო პროცესი ამჟამად ხორციელდება საგნის სპეციფიკური საგნობრივი მომზადების გარეშე, რაც რისკს ქმნის კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული საგნის მასწავლებლის პროფესიული განვითარება საზოგადოებრივი მეცნიერებების მეთოდიკისა და შინაარსის მიმართულებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ უნდა იტვირთოს მხარდამჭერი ფუნქცია კოლეგიალური თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი დაგეგმვის გზით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია, შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია, მოდელი), რათა მათ საკუთარი

		შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ. 2.დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის არქიტექტურული ნიმუში და სხვ.
ინდიკატორი N 2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტში დააკონკრეტოს ინიციატივის წარდგენის ფორმა, მიმღები პირები, ინიციატივის მხარდამჭერი პროცესი და დაინტერესებული პირების მიერ დაყენებული ინიციატივის თაობაზე სკოლის დირექციის მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის პროცედურა. 2. სკოლამ შექმნას რემედიაციის პროგრამით მუშაობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მიზანს, სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმებს, პროგრამის განხორციელების საფეხურებსა და ვადებს, პროგრამის მონაწილეთა ფუნქცია- მოვალეობებს.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხოური ენა:** თქვენს მიერ, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ზოგადი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მოარგოთ კონკრეტულ დავალებას და დააკონკრეტოთ ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავდა მიზნად კონკრეტული დავალება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შემაჯამებელ დავალებათა მიზანი გაიწეროს სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში; კომბინირებული შემაჯამებელი დავალების შემთხვევაში (ტესტი, თხზულება) დაზუსტდეს ქულის დაკონვერტირების ინსტრუქცია; საფუძვლიანი უკუკავშირის მიზნით, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული შეფასების ზოგადი რუბრიკები, შეძლებისდაგვარად, კონკრეტული სასწავლო მასალით დაკონკრეტდეს. **ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები:** განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში დაკორექტირდეს ქულათა ოდენობები.

ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. შეფასების ვერიფიკაციის წესის დოკუმენტში გაიწეროს შემდეგი საკითხები: (1) მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები, (2) ვერიფიკაციის რისკები, (3) ვერიფიკაციის განხორციელების შესაძლო პირობები (მაგ. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე; შერჩევითი პრინციპით, კონკრეტულ საგანში გარკვეული პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში; გეგმიურად - შიდა ვერიფიკაციის მიზნებისთვის, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება რომელ საგნებსა და კლასებში მოხდება გეგმიური ვერიფიკაცია), (4) შერჩევის სტრატეგია (მაგ. გენდერული გადანაწილება, მაღალი და დაბალი შეფასების მქონე ნაშრომების თანაფარდობა, შერჩევის შემთხვევითობა, კლასის საერთო რაოდენობის ნაშრომების რამდენი პროცენტი გამოიყენება ვერიფიკაციისთვის ან სხვა), (5) შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების არანაკლებ 3 წლის ვადით სათანადო აღრიცხვისა და შენახვის თაობაზე; 2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტს დანართის სახით მიებას დასკვნის მომზადებისთვის წინასწარ შემუშავებული სპეციალურ ფორმა (მაგ. ცხრილის სახით); 3.სკოლამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა ფუნქცია-მოვალეობების ურთიერთშესაბამისობა ჯგუფის შექმნისა და ვერიფიკაციის წესის დოკუმენტებში; 4.ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში და მისი დანართები სრულად შესაბამისობაში მოვიდეს ვერიფიკაციის წესით განსაზღვრულ მიზნებთან, რათა დოკუმენტებში აისახოს უშუალოდ ვერიფიკაციის პროცესით გათვალისწინებული ობიექტური შედეგები; 5.შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტების „ქუდის“ შექმნის დროს დაიცვას მონაცემთა ერთგვაროვნება, რათა თითოეულ ფორმაში სრულყოფილად აისახოს ვერიფიკატორის ვინაობა, საგანი, კლასი და ის კონკრეტული ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ნაშრომის შეფასება; 6.მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლასთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთი საკითხი შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განვითარება იქნება (მაგ. საგნებში,

		სადაც სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს „მეგობარი“ სკოლის მასწავლებელი).
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**მე და საზოგადოება:** მე და საზოგადოების კურიკულუმში რესურსების მრავალფეროვნება საჭიროებს გაძლიერებას, მიზანშეწონილია ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული ალტერნატიული სასწავლო მასალების, ადაპტირებული წყაროების და თემატური ვიდეორგოლების დამატება. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა. 2.სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს. 3.ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს კათედრისა და პედსაბჭოს დანართის ჩანაწერები გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით (პირველი/მეორე კლასები).
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**მე და საზოგადოება:** სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების ერთიანი მიდგომა, რათა ყველა საგნის კურიკულუმ თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი როგორც ტექსტური, ისე მულტიმედიურ და ციფრული საძიებო რესურსებით. **დაწყებითი განათლება:** სასურველია, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს კათედრისა და პედ. საბჭოს დანართის ჩანაწერები გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	**მე და საზოგადოება:** სკოლამ გააგრძელოს ციფრული და გაზიარებული რესურსების აქტიური გამოყენება, რაც მცირეკონტინგენტიანი სკოლის პირობებში სასწავლო პროცესის ხარისხს მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს.

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
ინდიკატორი N 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის პროცედურული ნაწილი, მათ შორის ინსტრუმენტები, პერიოდულობა და მონაწილე პირები.
ინდიკატორი N 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. 2.სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევებისა და წინსვლის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრისაგან (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები).
ინდიკატორი N 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. მოსწავლეთა უკუკავშირის საკვლევი კითხვარის ფორმატში აქცენტი გაკეთდეს ღია კითხვებზე (თვითგამოხატვა, პოზიტიური გამოცდილება, ინიციატივები) და შედეგები აისახოს სადამრიგებლო პროგრამებში, სწავლების მეთოდებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში
ინდიკატორი N 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ). 2.სკოლისთვის მისაღები ფორმით, შექმნას კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლიც დაეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრაქტიკას, შიდა წარმატებულ გამოცდილებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საგანზო საფეხური*	*რჩევა*

ინდიკატორი N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა პროცედურულად განისაზღვროს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით. 2.კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ). 3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის 11 მუხლის გარდამავალ დებულებაში დაზუსტდეს დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილების შეტანის პირობები. 4.ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგების პერიოდების შესაბამისობა გასწორდეს სასწავლო წლის კალენდარსა და სასკოლო სასწავლო გეგმის, როგორც კონცეპტუალურ, ისე საფეხურეობრივ დოკუმენტებში.
ინდიკატორი N 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმისა და დამხმარე მასალების შესახებ მშობლების, სასკოლო თემისა თუ დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების გზები (მაგ. სოციალური მედია, მშობელთა კრება, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები). 2. სკოლების პორტალის ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge/სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა) განათავსოს სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის, სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის ბიუჯეტი
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** მიზანშეწონილია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს მოსწავლის ავტონომიურობის ხარისხი, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეს ჰქონდეს მეტი არჩევანი პროდუქტის ფორმატის შესახებ. **უცხოური ენა:** 1. კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს მრავალფეროვან კლასგარეშე ღონისძიებები, ინტეგრირებული აქტივობები/პროექტები, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა საგნობრივ კომპეტენციებს შორის კავშირების დანახვას, აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას და მათი მრავალმხრივ უნარების განვითარებას. 2.კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა (სვეტების თანმიმდევრობა, დასახელება, შინაარსი),

		რაც მნიშნელოვანია სასწავლო შინაარსის ორგანიზების, კათედრის წევრებს შორის პრაქტიკის გაზიარების კუთხით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:** 1. სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში, თემატური ბლოკების ფარგლებში, დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ამასთან, მნიშვნელოვანია ცნებების/ქვეცნებების დაკონკრეტება შესაბამისი თემის, საკითხისა და შუალედური მიზნის ადეკვატური ქვეცნებებით. 2.თითოეული თემისა თუ საკითხისთვის სასურველია ჩამოყალიბდეს მკაფიო შუალედური სასწავლო მიზანი. 3.სასურველია სასკოლო კურიკულუმისთვის შემუშავდეს ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ და ფორმალურ თანმიმდევრულობას. **სახელმწიფო ენა:** მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს: ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს; ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას; გ) პროექტულ სწავლებას. მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრამ გააძლიეროს მუშაობა საგანთაშორისი კავშირების მიმართულებით. კურიკულუმების იმგვარი სინქრონიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დისციპლინაში არსებულ სამიზნე ცნებების კომპლექსურ დამუშავებას. ეს მიდგომა მოსწავლეს ცოდნის გამთლიანებასა და იმავე მოვლენის სხვადასხვა რაკურსით გააზრებაში დაეხმარება. **უცხოური ენა:** მნიშვნელოვანია, რომ ინგლისური ენის VII კლასის კურიკულუმის I თავში, სვეტში - "სამიზნე ცნება, ქვეცნებები" – „მკვიდრი წარმოდგენები" შეცვალოთ სამიზნე ცნებების დასახელებებით.

		სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა: 1. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილია იმ სარეკომენდაციო თემებისა და საკითხების განსაზღვრა, რომელთა დამუშავებაც შესაძლებელი იქნება შუალედური სასწავლო მიზნების ფარგლებში. 2.სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კათედრა ხელმძღვანელობდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმით. კურიკულუმის თითოეული სვეტით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულად და მიზნობრივად იქნას შევსებული: თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს სტანდარტით გაწერილი ყველა სამიზნე ცნება (მაგ.: მე-10კლასი). საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად მიეთითოს თემატური ბლოკები (მაგ: მე-9 კლასი);
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ბიოლოგია:** IXკლ. კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილ იქნას ის ელექტრონული რესურსები, რომელსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სასურველია, სასწავლო რესურსების ბანკის პერიოდული განახლება ციფრული პლატფორმებით, რაც სასწავლო პროცეს გახდის უფრო მრავალფეროვანს. ასევე, მნიშვნელოვანია კათერა შეთანხმდეს ერთიდაიგივე კურიკულუმის დიზაინსა და სტრუქტურაზე. **ინგლისური ენა:** მნიშვნელოვანია, რომ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის დოკუმენტში მიუთითოთ იმ სახელმძღვანელოების დასახელება, რომელსაც მიმდინარე სასწავლო წელს იყენებთ სასწავლო პროცესში. IX კლასის სახელმძღვანელოს დასახელება ჩასწორდეს დასახელებით -“Right On” **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა. 2. თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების

		მიხედვით; მაგალითად, ზოგადი მითითების ნაცვლად — „სამინისტროს რესურსი“ — მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი **სახელმწიფო ენა:** კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის. 2.კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება;
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა:** სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამივე საფეხურის ყველა კლასისთვის შემუშავებულ იქნას შესაბამისი განმსაზღვრელი,განმავითარებელი-თემის/შუალედური მიზნის/კონკრეტული საკითხის-კონტექსტ მაგალითის მიმართ. მნიშვნელოვანია კათედრაზე იყოს ერთიანი მიდგომა განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმის მიმართ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს დადებითი ნიშნების დაწერის ლოგიკას

		ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია: სასურველია, სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროექტული სწავლების ფარგლებში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას. კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც უფრო ობიექტურად ასახავს მოსწავლეთა პრაქტიკულ კომპეტენციებს. ყველა საფეხურზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით შეფასების რუბრიკის დანერგვა პრაქტიკაში და ანალიზი. **ინგლისური ენა:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურზე, გაუმჯობესდეს/დაიხვეწოს ინგლისური ენის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ რუსული ენის V კლასის რუბრიკის მიხედვით), და შეიქმნას ისეთი რუბრიკები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ დავალებას და დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება. **ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები:** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები და ქულათა ჯამი.
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია, შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია, მოდელი), რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ. 2.დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის არქიტექტურული ნიმუში და სხვ.

ინდიკატორი N 2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტში დააკონკრეტოს ინიციატივის წარდგენის ფორმა, მიმღები პირები, ინიციატივის მხარდამჭერი პროცესი და დაინტერესებული პირების მიერ დაყენებული ინიციატივის თაობაზე სკოლის დირექციის მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის პროცედურა. 2. სკოლამ შექმნას რემედიაციის პროგრამით მუშაობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მიზანს, სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმებს, პროგრამის განხორციელების საფეხურებსა და ვადებს, პროგრამის მონაწილეთა ფუნქცია-მოვალეობებს.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხოური ენა:** თქვენს მიერ, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ზოგადი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მოარგოთ კონკრეტულ დავალებას და დააკონკრეტოთ ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავდა მიზნად კონკრეტული დავალება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შემაჯამებელ დავალებათა მიზანი გაიწერო სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში; კომბინირებული შემაჯამებელ დავალების შემთხვევაში (ტესტი, თხზულება) დაზუსტდეს ქულის დაკონვერტირების ინსტრუქცია; საფუძვლიანი უკუკავშირის მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული შეფასების ზოგადი რუბრიკებ შეძლებისდაგვარად, კონკრეტული სასწავლო მასალით დაკონკრეტდეს. **ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები:** განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში დაკორექტირდეს ქულათა ოდენობები.
ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. შეფასების ვერიფიკაციის წესის დოკუმენტში გაიწეროს შემდეგი საკითხები: (1) მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები, (2) ვერიფიკაციის რისკები, (3) ვერიფიკაციის განხორციელების შესაძლო პირობები (მაგ. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე; შერჩევითი პრინციპით, კონკრეტულ საგანში გარკვეული პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში; გეგმიურად - შიდა ვერიფიკაციის მიზნებისთვის, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება რომელ საგნებსა და კლასებში მოხდება გეგმიური ვერიფიკაცია), (4) შერჩევის სტრატეგია (მაგ. გენდერული გადანაწილება, მაღალი და დაბალი შეფასების მქონე ნაშრომების

		თანაფარდობა, შერჩევის შემთხვევითობა, კლასის საერთო რაოდენობის ნაშრომების რამდენი პროცენტი გამოიყენება ვერიფიკაციისთვის ან სხვა), (5) შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების არანაკლებ 3 წლის ვადით სათანადო აღრიცხვისა და შენახვის თაობაზე; 2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტს დანართის სახით მიებას დასკვნის მომზადებისთვის წინასწარ შემუშავებული სპეციალურ ფორმა (მაგ. ცხრილის სახით); 3.სკოლამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა ფუნქცია-მოვალეობების ურთიერთშესაბამისობა ჯგუფის შექმნისა და ვერიფიკაციის წესის დოკუმენტებში; 4.ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში და მისი დანართები სრულად შესაბამისობაში მოვიდეს ვერიფიკაციის წესით განსაზღვრულ მიზნებთან, რათა დოკუმენტებში აისახოს უშუალოდ ვერიფიკაციის პროცესით გათვალისწინებული ობიექტური შედეგები; 5.შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტების „ქუდის“ შექმნის დროს დაიცვას მონაცემთა ერთგვაროვნება, რათა თითოეულ ფორმაში სრულყოფილად აისახოს ვერიფიკატორის ვინაობა, საგანი, კლასი და ის კონკრეტული ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ნაშრომის შეფასება; 6.მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლასთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთი საკითხი შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განვითარება იქნება (მაგ. საგნებში, სადაც სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს „მეგობარი“ სკოლის მასწავლებელი).
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** იმ კურიკულუმებში, სადაც რესურსები მხოლოდ ზოგადად არის მითითებული, მიზანშეწონილია ალტერნატიული სასწავლო მასალების ადაპტირებული წყაროების, თემატური ვიდეორგოლებისა და ინტერაქტიული დავალებების დამატება. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა. 2.სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური

		დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს. 3.ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სკოლამ შეიმუშაოს რესურსებ განახლებისა და გამდიდრების ერთიანი მიდგომა, რათა ყველა საგნ კურიკულუმი თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი როგორც ტექსტური, ი მულტიმედიური და ციფრული საძიებო რესურსებით.
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სკოლამ გააგრძელოს ციფრული და გაზიარებული რესურსების აქტიური გამოყენება, რაც მცირეკონტინგენტიანი სკოლის პირობებში სასწავლო პროცესის ხარისხს მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს.
ინდიკატორი N 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის პროცედურული ნაწილი, მათ შორის ინსტრუმენტები, პერიოდულობა და მონაწილე პირები.
ინდიკატორი N 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. 2.სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევებისა და წინსვლის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრისაგან (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები).
ინდიკატორი N 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. მოსწავლეთა უკუკავშირის საკვლევი კითხვარის ფორმატში აქცენტი გაკეთდეს ღია კითხვებზე (თვითგამოხატვა, პოზიტიური გამოცდილება, ინიციატივები) და შედეგები აისახოს სადამრიგებლო პროგრამებში, სწავლების მეთოდებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში

ინდიკატორი N 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ). 2.სკოლისთვის მისაღები ფორმით, შექმნას კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლიც დაეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრაქტიკას, შიდა წარმატებულ გამოცდილებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა პროცედურულად განისაზღვროს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით. 2.კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ). 3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის 11 მუხლის გარდამავალ დებულებაში დაზუსტდეს დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილების შეტანის პირობები. 4.ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგების პერიოდების შესაბამისობა გასწორდეს სასწავლო წლის კალენდარსა და სასკოლო სასწავლო გეგმის, როგორც კონცეპტუალურ, ისე საფეხურეობრივ დოკუმენტებში.
ინდიკატორი N 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმისა და დამხმარე მასალების შესახებ მშობლების, სასკოლო თემისა თუ დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების გზები (მაგ. სოციალური მედია, მშობელთა კრება, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები). 2. სკოლების პორტალის ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge/სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა) განათავსოს

		სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის, სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის ბიუჯეტი
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** მიზანშეწონილია კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს მოსწავლის ავტონომიურობის ხარისხი, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეს, ჰქონდეს მეტი არჩევანი პროდუქტის ფორმატის შესახებ. **უცხოური ენა:** 1. კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს მრავალფეროვან კლასგარეშე ღონისძიებები, ინტეგრირებული აქტივობები/პროექტები, რა ხელს შეუწყობს სხვადასხვა საგნობრივ კომპეტენციებს შორის კავშირებ დანახვას, აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას და მათი მრავალმხრივ უნარების განვითარებას. 2.კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო ერთიანი ფორმა (სვეტების თანმიმდევრობა, დასახელება, შინაარსი), რა მნიშნელოვანია სასწავლო შინაარსის ორგანიზების, კათედრის წევრებს შორის პრაქტიკის გაზიარების კუთხით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:** 1. სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში, თემატური ბლოკების ფარგლებში, დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ამასთან, მნიშვნელოვანია ცნებების/ქვეცნებების დაკონკრეტება შესაბამისი თემის, საკითხისა და შუალედური მიზნის ადეკვატური ქვეცნებებით. 2.თითოეული თემისა თუ საკითხისთვის სასურველია ჩამოყალიბდეს მკაფიო შუალედური სასწავლო მიზანი. 3.სასურველია სასკოლო კურიკულუმისთვის შემუშავდეს ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ და ფორმალურ თანმიმდევრულობას. **სახელმწიფო ენა:** მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარებ გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს: ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს; ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას; გ) პროექტულ სწავლებას.

		მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრამ გააძლიეროს მუშაობა საგანთაშორისი კავშირების მიმართულებით. კურიკულუმების იმგვარი სინქრონიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დისციპლინაში არსებულ სამიზნე ცნებების კომპლექსურ დამუშავებას. ეს მიდგომა მოსწავლეს ცოდნის გამთლიანებასა და იმავე მოვლენის სხვადასხვა რაკურსით გააზრებაში დაეხმარება. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილია იმ სარეკომენდაციო თემებისა და საკითხების განსაზღვრა, რომელთა დამუშავებაც შესაძლებელი იქნება შუალედური სასწავლო მიზნების ფარგლებში. 2.სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კათედრა ხელმძღვანელობდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმით. კურიკულუმის თითოეული სვეტით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულად და მიზნობრივად იქნას შევსებული: თითოეული თემის ფარგლებში დაზუსტდეს ქვეცნებები და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დასამუშავებელი საკითხი (მაგ: მე-6 კლასი) სასწავლო თემის ფარგლებში, დამუშავდეს სტანდარტით გაწერილი ყველა სამიზნე ცნება (მაგ.: მე-10კლასი). საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად მიეთითოს თემატური ბლოკები (მაგ: მე-9 კლასი);
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ბიოლოგია:** კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილ იქნას ის ელექტრონული რესურსები, რომელსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სასურველია, სასწავლო რესურსების ბანკის პერიოდული განახლება ციფრული პლატფორმებით, რაც სასწავლო პროცეს გახდის უფრო მრავალფეროვანს. ასევე,

		მნიშვნელოვანია კათერა შეთანხმდეს ერთიდაიგივე კურიკულუმის დიზაინსა და სტრუქტურაზე. **ინგლისური ენა:** მნიშვნელოვანია, რომ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის დოკუმენტში მიუთითოთ იმ სახელმძღვანელოების დასახელება, რომელსაც მიმდინარე სასწავლო წელს იყენებთ სასწავლო პროცესში. XII კლასის სახელმძღვანელოს დასახელება ჩასწორდეს დასახელებით - "Tune Up 4 **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა. 2. თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით; მაგალითად, ზოგადი მითითების ნაცვლად — „სამინისტროს რესურსი" — მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი **სახელმწიფო ენა:** სასურველია, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ. რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე. კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია, აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის. 2.კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია

		შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება;
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამივე საფეხურის ყველა კლასისთვის შემუშავებულ იქნას შესაბამისი განმსაზღვრელი, განმავითარებელი-თემის/შუალედური მიზნის/კონკრეტული საკითხის-კონტექსტ მაგალითის მიმართ. მნიშვნელოვანია კათედრაზე იყოს ერთიანი მიდგომა განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმის მიმართ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს დადებითი ნიშნების დაწერის ლოგიკას **ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სასურველია, სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროექტული სწავლების ფარგლებში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას. კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც უფრო ობიექტურად ასახავს მოსწავლეთა პრაქტიკულ კომპეტენციებს. ყველა საფეხურზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით შეფასების რუბრიკის დანერგვა პრაქტიკაში და ანალიზი. **ინგლისური ენა:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურზე, გაუმჯობესდეს/დაიხვეწოს ინგლისური ენის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ რუსული ენის V კლასის რუბრიკის მიხედვით), და შეიქმნას ისეთი რუბრიკები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ დავალებას და დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება.

		სახელმწიფო ენა: სასურველია, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება. **ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები:** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები და ქულათა ჯამი.
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია, შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია, მოდელი), რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ. 2.დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის არქიტექტურული ნიმუში და სხვ.
ინდიკატორი N 2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტში დააკონკრეტოს ინიციატივის წარდგენის ფორმა, მიმღები პირები, ინიციატივის მხარდამჭერი პროცესი და დაინტერესებული პირების მიერ დაყენებული ინიციატივის თაობაზე სკოლის დირექციის მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის პროცედურა. 2. სკოლამ შექმნას რემედიაციის პროგრამით მუშაობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მიზანს, სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმებს, პროგრამის განხორციელების საფეხურებსა და ვადებს, პროგრამის მონაწილეთა ფუნქცია- მოვალეობებს.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხოური ენა:** თქვენს მიერ, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ზოგადი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მოარგოთ კონკრეტულ დავალებას და დააკონკრეტოთ ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავდა მიზნად კონკრეტული დავალება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შემაჯამებელ დავალებათა მიზანი გაიწერ სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში; კომბინირებული შემაჯამებელ დავალების შემთხვევაში (ტესტი, თხზულება) დაზუსტდეს ქულ

		დაკონვერტირების ინსტრუქცია; საფუძვლიანი უკუკავშირის მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული შეფასების ზოგადი რუბრიკები შეძლებისდაგვარად, კონკრეტული სასწავლო მასალით დაკონკრეტდეს. **ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები:** განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში დაკორექტირდეს ქულათა ოდენობები.
ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	**სკოლას მიეცა რჩევა**: 1. შეფასების ვერიფიკაციის წესის დოკუმენტში გაიწეროს შემდეგი საკითხები: (1) მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები, (2) ვერიფიკაციის რისკები, (3) ვერიფიკაციის განხორციელების შესაძლო პირობები (მაგ. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე; შერჩევითი პრინციპით, კონკრეტულ საგანში გარკვეული პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში; გეგმიურად - შიდა ვერიფიკაციის მიზნებისთვის, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება რომელ საგნებსა და კლასებში მოხდება გეგმიური ვერიფიკაცია), (4) შერჩევის სტრატეგია (მაგ. გენდერული გადანაწილება, მაღალი და დაბალი შეფასების მქონე ნაშრომების თანაფარდობა, შერჩევის შემთხვევითობა, კლასის საერთო რაოდენობის ნაშრომების რამდენი პროცენტი გამოიყენება ვერიფიკაციისთვის ან სხვა), (5) შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების არანაკლებ 3 წლის ვადით სათანადო აღრიცხვისა და შენახვის თაობაზე; 2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტს დანართის სახით მიებას დასკვნის მომზადებისთვის წინასწარ შემუშავებული სპეციალური ფორმა (მაგ. ცხრილის სახით); 3.სკოლამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა ფუნქცია-მოვალეობების ურთიერთშესაბამისობა ჯგუფის შექმნისა და ვერიფიკაციის წესის დოკუმენტებში; 4.ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში და მისი დანართები სრულად შესაბამისობაში მოვიდეს ვერიფიკაციის წესით განსაზღვრულ მიზნებთან, რათა დოკუმენტებში აისახოს უშუალოდ ვერიფიკაციის პროცესით გათვალისწინებული ობიექტური შედეგები; 5.შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტების „ქუდის“ შექმნის დროს დაიცვას მონაცემთა ერთგვაროვნება, რათა თითოეულ ფორმაში სრულყოფილად აისახოს ვერიფიკატორის ვინაობა, საგანი, კლასი და ის კონკრეტული

		ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ნაშრომის შეფასება; 6.მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლასთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთი საკითხი შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განვითარება იქნება (მაგ. საგნებში, სადაც სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს „მეგობარი“ სკოლის მასწავლებელი).
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** იმ კურიკულუმებში, სადაც რესურსები მხოლოდ ზოგადად არის მითითებული, მიზანშეწონილია ალტერნატიული სასწავლო მასალების ადაპტირებული წყაროების, თემატური ვიდეორგოლებისა და ინტერაქტიული დავალებების დამატება. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა:** 1. სასურველია პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა. 2.სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს. 3.ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სკოლამ შეიმუშაოს რესურსებ განახლებისა და გამდიდრების ერთიანი მიდგომა, რათა ყველა საგნ კურიკულუმი თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი როგორც ტექსტური, ი მულტიმედიური და ციფრული საძიებო რესურსებით.
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია:** სკოლამ გააგრძელოს ციფრული და გაზიარებული რესურსების აქტიური გამოყენება, რაც მცირეკონტინგენტიანი სკოლის პირობებში სასწავლო პროცესის ხარისხს მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს.
ინდიკატორი N 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის

	განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	პროცედურული ნაწილი, მათ შორის ინსტრუმენტები, პერიოდულობა და მონაწილე პირები.
ინდიკატორი N 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. 2.სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევებისა და წინსვლის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრისაგან (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები).
ინდიკატორი N 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. მოსწავლეთა უკუკავშირის საკვლევი კითხვარის ფორმატში აქცენტი გაკეთდეს ღია კითხვებზე (თვითგამოხატვა, პოზიტიური გამოცდილება, ინიციატივები) და შედეგები აისახოს სადამრიგებლო პროგრამებში, სწავლების მეთოდებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში
ინდიკატორი N 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ). 2.სკოლისთვის მისაღები ფორმით, შექმნას კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლიც დაეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრაქტიკას, შიდა წარმატებულ გამოცდილებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ:

ინდიკატორი N3.1.2.4 (პერსონალის კვალიფიკაცია): სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა ნაწილის კვალიფიკაცია/სტატუსი არ შეესაბამებოდა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ პოზიციებს საგაკვეთილო პროცესში. სკოლამ უნდა გამოაცხადოს კონკურსი ვაკანტური საათების შესავსებად და დაასაქმოს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პერსონალი არა უგვიანეს 2026 წლის 8 სექტემბრისა. სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

ინდიკატორი N3.4.1.1 (ფიზიკური უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე): ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობა არ იყო აღჭურვილი ვიდეოკამერებით და არ იყო შემოღობილი. სკოლამ ნაკანაფევის ხის შენობა უნდა აღჭურვოს ვიდეოკამერებით და შემოღობოს აღნიშნული ტერიტორია მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა. სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

ინდიკატორი N3.4.1.2 (პირველადი დახმარების აღმოჩენა): ნაკანაფევის ხის შენობაში არ ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი და არ საქმიანობდა ექთანი. სკოლამ დაწყებითი საფეხურის ნაკანაფევის ხის შენობაში უნდა მოაწყოს სამედიცინო კაბინეტი და დაასაქმოს ექთანი, რათა ხის შენობაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა. სკოლას შეეცვალა შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით.

ინდიკატორი N3.5.1.4 (ინკლუზიური გარემო): ძირითად შენობაში სართულებს შორის გადაადგილება არ იყო ადაპტირებული; არ არსებობდა სპეციალიზებული რესურსოთახები და ნაკანაფევის ხის შენობას არ გააჩნდა ადაპტირებული საპირფარეშო.
1. სკოლამ ძირითადი შენობის პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელ შიდა კიბეზე უნდა მოაწყოს პანდუსი, პლატფორმა ან ლიფტი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევის მქონე სასკოლო საზოგადოების წევრების დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის.
2. სკოლამ უნდა მოაწყოს სპეციალიზებული რესურსოთახი ძირითად შენობასა და ნაკანაფევის ხის შენობაში, რომელიც აუცილებელია სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური, მულტიდისციპლინური ან განმავითარებელი მეცადინეობების ჩასატარებლად.
3. სკოლამ ნაკანაფევის ხის შენობა უნდა უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოთი.
წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, თითოეული პუნქტი შესრულდება არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა. სკოლას შეეცვალა შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით.

ინდიკატორი N3.5.1.3 (საბიბლიოთეკო სერვისები): ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობაში არ იყო უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო სივრცე. ნაკანაფევის ხის შენობაში უნდა მოეწყოს ფუნქციური საბიბლიოთეკო სივრცე მოსწავლეთათვის არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა. სკოლას შეეცვალა შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით.

ინდიკატორი N3.6.3.5 (ვებგვერდის საინფორმაციო სრულყოფა): სკოლის ვებგვერდზე სრულყოფილად არ იყო ასახული ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, ჩარიცხვის პროცედურებისა და შეფასების სისტემის შესახებ. წარმოდგენილი გეგმის თანახმად, სკოლამ ვებგვერდზე უნდა ასახოს დეტალური ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის (საბაზო ან საშუალო განათლების ატესტატი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებისა (შეფასების სისტემა, გაცდენების ლიმიტი) და გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმების შესახებ არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა. სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

ინდიკატორი N2.1.2.5 (მოსწავლის შეფასების სისტემა): დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში შეფასების სისტემა საჭიროებდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობას. წარმოდგენილი გეგმის თანახმად, სკოლამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი შემდეგი მიმართულებით: შეფასების სქემების შესაბამისობა მესამე ესგ-ის საგნის სტანდარტთან (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებისას); შეფასების სქემებში კონკრეტული თემისა და საკითხის

იდენტიფიცირება; კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და ინდიკატორებთან მიმართების გამოკვეთა არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა. სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

ინდიკატორი N2.2.1.3 (შეფასების სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა): სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების რუბრიკები ორიენტირებული იყო ზოგად უნარებზე და არა კონკრეტულ საგნობრივ სამიზნე ცნებებზე. სკოლამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა (ყველა საფეხურზე): შეფასების რუბრიკები დაეფუძნოს საგნობრივ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს (და არა მხოლოდ ტექნიკურ შესრულებას, დროის ლიმიტს ან შემოქმედებითობას); თითოეული შემოქმედებითი/შემაჯამებელი დავალებისთვის შეიქმნას ინდივიდუალური რუბრიკა; რუბრიკებში გამოიკვეთოს ესგ-ით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები და მოხდეს მათი ადაპტირება კონკრეტულ თემაზე/შუალედურ სასწავლო მიზანზე არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა. სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

ინდიკატორი N2.2.2.3 (მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა): ნაკანაფევის შენობას არ გააჩნდა სპორტული ინფრასტრუქტურა; საბაზო და საშუალო საფეხურებზე ქიმიის ლაბორატორია არ აკმაყოფილებდა უსაფრთხოების ნორმებს. წარმოდგენილი გეგმის თაანახმად, სპორტი (დაწყებითი საფეხური): სკოლამ ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობა უნდა უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზითა და გარე სპორტული მოედნით კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების ჯეროვნად განსახორციელებლად არა უგვიანეს 2026 წლის 9 სექტემბრისა. სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

ქიმიის ლაბორატორია (საბაზო და საშუალო საფეხური): სკოლამ უნდა უზრუნველყოს ქიმიის ლაბორატორიის სივრცე უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნის (ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მასალით დაფარული მაგიდა) შესაბამისად — არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა.

ინდიკატორი N2.2.2.4 (ადამიანური რესურსი): სკოლაში დასაქმებულ პედაგოგთა ნაწილის კვალიფიკაცია ან/და სტატუსი არ შეესაბამებოდა კურიკულუმის მოთხოვნებს. სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ დასაქმებულები იყვნენ მასწავლებლები შესაბამისი კვალიფიკაციით, რათა პედაგოგთა მხრიდან შესაბამისი აკადემიური განათლების ან/და საგნობრივი კომპეტენციის (სტატუსის) დადასტურებით უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობა არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა. სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

ვინაიდან სკოლამ სრულად და ობიექტურად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებლობები თანხვედრილია ავტორიზაციის საბჭოს მოთხოვნებთან, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მაძიებელ დაწესებულებას შესწევს უნარი, დადგენილ ვადებში სრულად აღმოფხვრას არსებული შეუსაბამობები და უზრუნველყოს სტანდარტების მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

სკოლის მისია ორიენტირებულია პოზიტიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც სწავლება ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტში ხაზგასმულია მოსწავლის თვითრეალიზაციის, კულტურული ღირებულებების გათავისებისა და 21-ე საუკუნის გამოწვევებთან გამკლავების მნიშვნელობა. სკოლის ხედვა ორიენტირებულია გლობალურად მოაზროვნე, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე თაობის აღზრდაზე. სკოლა თავის საქმიანობას აფუძნებს ხუთ ფუნდამენტურ პრინციპზე: გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა.

სკოლის ფილოსოფია მჭიდროდ უკავშირდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. კერძოდ: მისიასა და ხედვაში გაწერილია კულტურული ღირებულებების პატივისცემა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, აქცენტი 21-ე საუკუნის კონკურენციასთან გამკლავებასა და სწავლების მაღალ ხარისხზე მიუთითებს აკადემიური სტანდარტების დაცვაზე. ღირებულებებში მითითებული გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა უზრუნველყოფს სკოლის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის ფუნქციონირებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს ფილოსოფიის შემუშავების პროცესის ინკლუზიურობასა და ვალიდურობას: სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარი სკოლის ფილოსოფიის დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვის მიზნით. კითხვარი მიმართულია სამივე ძირითადი მხარისკენ: მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, მოსწავლეები და თანამშრომლები. ეს უზრუნველყოფს, რომ სკოლის მისია არ იყოს მხოლოდ დეკლარაციული, არამედ ეფუძნებოდეს საერთო თანხმობას. კითხვარის ანონიმურობა ზრდის მიღებული მონაცემების სანდოობას, რაც მნიშვნელოვანია ანალიტიკური დასკვნის მომზადებისას. კითხვარის პირველივე კითხვა სთხოვს

რესპონდენტებს, აირჩიონ 3 მიმართულება ზგემ-იდან, რაც ადასტურებს, რომ სკოლა მიზანმიმართულად ცდილობს საკუთარი მიზნების სახელმწიფო სტანდარტებთან სინქრონიზაციას.

ამრიგად, სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ფილოსოფია სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კვლევის ინსტრუმენტები (კითხვარები) ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობაზე, რაც ავტორიზაციის სტანდარტის დაკმაყოფილების წინაპირობაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, რამდენად აღიქვამს სკოლა საკუთარ თავს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლის მისიაში პირდაპირ არის დეკლარირებული პოზიტიური, უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრება მიუთითებს, რომ უსაფრთხოება სკოლის მიერ აღქმულია არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ემოციურ კონტექსტშიც. მისია ხაზს უსვამს სწავლებას მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით და დიფერენცირებული მიდგომებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ორიენტირებულია ინდივიდუალურ პიროვნულ პროგრესზე და არა სტანდარტულ, ერთგვაროვან მიდგომაზე.
თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი თაობის აღზრდა სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. სკოლა მისიით იღებს ვალდებულებას, ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების პატივისცემა და უზრუნველყოს კულტურული ღირებულებების გათავისება და წარმოჩენა. ეს სკოლას აქცევს კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის ცენტრად.
ხედვაში ნახსენები მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე და გლობალურად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდა ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს სოციალიზაციის სივრცედ, რომელიც მოსწავლეს ამზადებს როგორც ლოკალურ (თემი), ისე გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. ღირებულებებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოებასთან და თემთან.

ამრიგად, სკოლა ნამდვილად განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპს. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური დოკუმენტი - „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულება) შემუშავების მიზნით კითხვარი“. ეს ინსტრუმენტი ადასტურებს, რომ სკოლა ფილოსოფიას განიხილავს არა როგორც ადმინისტრაციულ დოკუმენტს, არამედ როგორც საერთო შეთანხმების საგანს. კითხვარი მიმართავს რესპონდენტებს, რომ თითოეული მათგანის აზრი მნიშვნელოვანია, რაც ხაზს უსვამს პროცესის დემოკრატიულობას.

დოკუმენტური მტკიცებულებით დასტურდება, რომ კვლევაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე, თანამშრომელი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ინტერესთა ბალანსს და მისიის მრავალმხრივ ვალიდურობას. კითხვარი სთხოვს საზოგადოებას, ჩაერთოს ისეთი ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან სკოლისთვის პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა. რესპონდენტებს ეძლევათ საშუალება, შეაფასონ არსებული მისია და დააფიქსირონ საკუთარი რეკომენდაციები სკოლის დირექციის მიმართ სკოლის განვითარებისთვის.

სკოლის მიერ დეკლარირებული ღირებულება თანამშრომლობა ამბობს: „ჩვენ ღია ვართ სასკოლო საზოგადოებასთან, თემთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ განსხვავებულ პოზიციებს“. ეს ადასტურებს, რომ ჩართულობა სკოლისთვის არა მხოლოდ პროცედურა, არამედ კულტურული ღირებულებაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს ფილოსოფიის გაზიარებისა და საერთო ღირებულებების დამკვიდრების მიმართულებით.

კითხვარის არსებობა, რომელიც ეგზავნება მშობლებს, მოსწავლეებსა და თანამშრომლებს, ადასტურებს, რომ სკოლა ცდილობს ეს პრინციპები ყველასთვის გასაგები და მისაღები გახადოს.

სკოლის ღირებულებებში მკაფიოდ არის გაწერილი გამჭვირვალობა, რაც ნიშნავს, რომ სკოლის ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ეს არის გაზიარების პირველი და აუცილებელი ეტაპი.

ღირებულება თანამშრომლობა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მზად არის კონსტრუქციულად განიხილოს განსხვავებული პოზიციები, რაც ხელს უწყობს საერთო ხედვის ჩამოყალიბებასა და მის გაზიარებას.

კითხვარის საშუალებით სკოლა საზოგადოებას სთხოვს, თავად მონიშნონ ეროვნული მიზნებიდან ის 3 მიმართულება, რომლებიც სკოლის ძირითადი მიზანი უნდა გახდეს. ეს პროცესი უზრუნველყოფს იმას, რომ საბოლოო მისია იყოს მთელი საზოგადოების საერთო პასუხისმგებლობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა გამჭვირვალობა. მისიის, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტში მითითებულია, რომ სკოლის საქმიანობა, ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში გამოყენებული კითხვარი თავისთავად წარმოადგენს საჯაროობის ინსტრუმენტს. ის მშობლებს, მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აწვდის ინფორმაციას სკოლის მოქმედი მისიისა და სამომავლო გეგმების შესახებ, რაც მათთვის ამ ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სრული სახელწოდებაა სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა.
სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) აღნიშნული აბრევიატურა მიუთითებს სკოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, რაც შეესაბამება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სკოლა იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. სიტყვათშეთანხმება საჯარო სკოლა წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილ სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს, რომელიც განასხვავებს მას კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისგან. სახელწოდებაში მითითებულია მუნიციპალიტეტი (შუახევი) და სოფელი (ნენია), რაც აუცილებელია დაწესებულების ინდივიდუალიზაციისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის კითხვარი სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულება) შემუშავების მიზნით;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის გრძანება N01-02/35-01 სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების დამტკიცების შესახებ;*
- *სკოლის დირექტორის გრძანება №2-81 (2025 წლის 10 სექტემბერი);*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N02-02/05;*
- *საჯარო რეესტრის ამონაწერი;*
- *სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების კონკრეტულ მექანიზმებს.

სკოლის დაგეგმვის სისტემა ეფუძნება კავშირს სამ ძირითად დოკუმენტს შორის:

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს გეგმების მომზადების, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს.
2. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032) მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრავს გრძელვადიან პრიორიტეტებს, მისიასა და ხედვას.
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026) გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და აკონკრეტებს მიმდინარე სასწავლო წლის აქტივობებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს ჩართულობის რამდენიმე ინსტრუმენტს:

- ინფორმაციის შეგროვება: პერსონალის, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა ანკეტირების, ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით;
- სამუშაო ჯგუფი: გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი კომპლექტდება დირექციის, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და თემის წარმომადგენლებისგან;
- საჯარო განხილვები: სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია ექვემდებარება საჯარო განხილვას უკუკავშირის მისაღებად;
- დამტკიცების ეტაპი: გეგმები თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან (სადაც წარმოდგენილია ყველა მხარე) და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

რჩევა: *სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის 2.4.3 პუნქტში ნათქვამია, რომ მონიტორინგის ჯგუფი იქმნება გეგმის დამტკიცებიდან 3 წლის შემდეგ, რაც, შესაძლოა, დაგვიანებული იყოს ეფექტური რეაგირებისთვის. სასურველია, მონიტორინგის ჯგუფი შეიქმნას სტრატეგიული გეგმის დამტკიცებისთანავე და განახორციელოს შეფასება გეგმისამებრ.*

სასურველია, კითხვარები მეტად ორიენტირებული გახდეს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე. მაგალითად, მშობლის კითხვარში მეტი აქცენტი გაკეთდეს არაფორმალურ განათლებასა და სკოლის სერვისებზე, ხოლო მასწავლებლისაში — პროფესიულ საჭიროებებსა და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერაზე.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მათ შესაბამის ამოცანებს. თითოეული სტრატეგიული მიზანი დაყოფილია კონკრეტულ ამოცანებად. მაგალითად, მიზანი 1 (სასწავლო პროცესის ხარისხი) მოიცავს ამოცანებს, როგორიცაა კურიკულუმის დახვეწა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მეთოდოლოგიის თანახმად, თითოეულ ამოცანას ახლავს შესრულების ინდიკატორი, რაც საშუალებას იძლევა, გაიზომოს მიზნის მიღწევის ხარისხი.
გეგმა 7-წლიანია და მისი გადახედვა ხდება პერიოდულად, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას (ციკლურობას).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ.), რომელიც ლოგიკურად ეფუძნება სკოლის 7-წლიან სტრატეგიულ გეგმას; სამოქმედო გეგმაში მოცემული თითოეული პრიორიტეტი და მიზანი სიტყვასიტყვით იმეორებს სტრატეგიული გეგმის შესაბამის ნაწილებს. სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული ამოცანების ითარგმნება კონკრეტულ აქტივობებად, რომლებიც უნდა განხორციელდეს მოცემული ერთი წლის განმავლობაში. სტრატეგიული გეგმისგან განსხვავებით, სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობისთვის მითითებულია პასუხისმგებელი პირები, ზუსტი ვადები და საჭირო რესურსი (ბიუჯეტი).

თვითშეფასება არის ის ინსტრუმენტი, რომელიც სამოქმედო გეგმას ხდის რეალისტურს და საჭიროებებზე დაფუძნებულს; მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი იწყება სკოლის საჭიროებების ანალიზით, რაც სწორედ თვითშეფასების (SWOT ანალიზის, გამოკითხვების) შედეგია. თვითშეფასების საფუძველზე სკოლა განსაზღვრავს, წინა წლის რომელი აქტივობები ვერ შესრულდა ან საჭიროებს გაგრძელებას, რაც შემდეგ აისახება ახალ სამოქმედო გეგმაში. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თავის მხრივ, ხდება საფუძველი მომდევნო წლის თვითშეფასებისა და დაგეგმვისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმის თითოეული აქტივობა გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან. ყველა აქტივობა ემსახურება გრძელვადიან პრიორიტეტებს. მაგალითად, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების ამოცანისთვის გაწერილია კურიკულუმების რევიზია და მასწავლებელთა ტრენინგები.

დოკუმენტში თითოეულ აქტივობას ახლავს შესრულების ინდიკატორი, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს შედეგი. მაგალითად, „ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა“, „მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებული მაჩვენებელი“.

აქტივობები გადანაწილებულია სასწავლო წლის განმავლობაში (სექტემბერი-ივნისი). ვადები გაწერილია თვეების მიხედვით, რაც თავიდან აცილებს აქტივობებით გადატვირთვას. ვადები ემთხვევა სასწავლო კალენდრის ლოგიკას (მაგ. შეფასება ხდება სემესტრის ბოლოს, მომზადება — დასაწყისში).

დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობის არეალი: მითითებულია კონკრეტული პოზიციები - დირექტორი, ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები.

გეგმაში მითითებულია როგორც მატერიალური, ისე ადამიანური და ფინანსური რესურსები. რესურსების განაწილება გამოიყურება ადეკვატურად სკოლის შესაძლებლობებთან მიმართებით. აქტივობები ნაწილდება არსებულ კადრებზე, რაც გეგმას აქცევს განხორციელებადად.

ამრიგად, სამოქმედო გეგმა არის ინსტრუმენტული და პრაქტიკული და ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, დამტკიცებული 2025 წლის 10 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-81;*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032 წწ.), დამტკიცებული 2025 წლის 10 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-81;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ.), დამტკიცებული 2025 წლის 10 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-81.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფის შექმნის საჭიროება, რომელიც ანგარიშვალდებულია დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს წინაშე. დოკუმენტი ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა გზას: ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფებს და ანკეტირებას. მეთოდოლოგია მოითხოვს, რომ ყოველ ამოცანას ახლდეს გაზომვადი ინდიკატორი, რაც ობიექტური შეფასების წინაპირობაა.

მეთოდოლოგიის 2.4.3 პუნქტით, მონიტორინგის ჯგუფი იქმნება გეგმის დამტკიცებიდან 3 წლის შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში სკოლას არ გააჩნია სტრატეგიული მიზნების პროგრესის გაზომვის ოფიციალური მექანიზმი. თუ სტრატეგიული მონიტორინგი მხოლოდ მე-3 წელს იწყება, ბუნდოვანია, რას ეყრდნობა მე-2 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას განხორციელებული ყოველწლიური თვითშეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიით განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების პროგრესის გაზომვისთვის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა გეგმის დამტკიცებისთანავე.*

სასურველია, მეთოდოლოგიას დაემატოს რეაგირების მექანიზმი - როგორ აისახება მონიტორინგის შედეგები მომდევნო წლის ბიუჯეტსა და პრიორიტეტებში.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.
მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ გეგმების შესრულების შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მრავალმხრივ ინფორმაციას: სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები მასწავლებლებისა და მშობლებისთვის, რათა შეაგროვოს მათი მოსაზრებები სკოლის მუშაობის ხარისხსა და საჭიროებებზე. მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია ინფორმაციის მიღება მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, მასწავლებლებისა და თემის წარმომადგენლებისგან ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფებისა და ანკეტირების გზით. მონიტორინგის ჯგუფი ვალდებულია შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს, სადაც წარმოდგენილია მშობელთა და მასწავლებელთა ინტერესები.

მეთოდოლოგია ერთმანეთისგან მიჯნავს ორ პროცესს: აქცენტი კეთდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე, ვადებსა და ინდიკატორებზე. ხორციელდება იმის დასადგენად, თუ რამდენად ეფექტური იყო გატარებული ღონისძიებები სკოლის მისიისა და ხედვის მისაღწევად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მეთოდოლოგია და სტრატეგიული დოკუმენტები ითვალისწინებს გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობასა და გამჭვირვალობას. კერძოდ, მონიტორინგის ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები, რომლებიც წარედგინება სკოლის სამეურვეო საბჭოს. ვინაიდან სამეურვეო საბჭო არჩევითი ორგანოა და მასში მშობლები და მასწავლებლები შედიან, ეს უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას დაინტერესებულ მხარეებში. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ ფუნდამენტურ

ღირებულებად დეკლარირებულია **გამჭვირვალობა**, რაც გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებას სკოლის საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული პრიორიტეტების შემუშავების ეტაპზე ხდება მათი საჯარო განხილვა, რაც გულისხმობს შედეგების ანალიზის გაზიარებასაც უკუკავშირის მისაღებად. ყოველწლიური თვითშეფასების ანალიზი, რომელიც საფუძვლად ედება მომდევნო წლის დაგეგმარებას, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მართვის სისტემაში გეგმების შესრულების შედეგები წარმოადგენს სკოლის შემდგომი განვითარების ფუნდამენტურ საფუძველს. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ დაგეგმვა არ იყოს ერთჯერადი აქტი, არამედ წარმოადგენდეს უწყვეტ, განმეორებად პროცესს.
სკოლა იყენებს ხარისხის მართვის ციკლს, სადაც მონიტორინგის შედეგები აისახება მომდევნო ეტაპებზე. კერძოდ, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი სტრატეგიული მიზნები მიიღწევა წარმატებით და სად არის შეფერხება. თუ წლის განმავლობაში გარკვეული აქტივობები არაეფექტური აღმოჩნდა, მათი ანალიზი ხდება საფუძველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შესატანად. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში პირდაპირ კავშირშია სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებასთან: შესრულებული გეგმების ანალიზი ეხმარება სკოლას, დაინახოს ახალი გამოწვევები, რაც აისახება SWOT ანალიზში და შემდგომ უკვე განახლებულ პრიორიტეტებში. შემდგომი განვითარების გეგმები ეყრდნობა არა ვარაუდებს, არამედ კონკრეტულ ციფრებსა და ინდიკატორებს, რომლებიც წინა წლების მონიტორინგით დაგროვდა.

შედეგების გამოყენება ხდება ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტური განაწილებისთვის: თუ მონიტორინგმა აჩვენა, რომ კონკრეტულმა ინვესტიციამ (მაგ. მასწავლებელთა ტრენინგები ან ინფრასტრუქტურა) მაღალი შედეგი გამოიღო, სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს მსგავსი აქტივობების დაფინანსებას მომავალში. მასწავლებელთა და პერსონალის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი პროფესიული მხარდაჭერის გეგმების შესამუშავებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმა 7-წლიანია, მეთოდოლოგია ითვალისწინებს მის პერიოდულ რევიზიას: შუალედური მონიტორინგის შედეგებმა შესაძლოა გამოიწვიოს სტრატეგიული ამოცანების მოდიფიცირება, თუ შეიცვალა გარემო ფაქტორები ან სკოლის წინაშე მდგარი საჭიროებები.

ამრიგად, ნენიის საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგები უზრუნველყოფს სკოლის პროგრესს, ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას და განვითარების ახალი გზების დასახვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა (2025-2032 წწ.);*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ.);*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ.);*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება №2-81 (2025 წლის 10 სექტემბერი);*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N02-02/05;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კერძოდ კი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერის დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში მოქმედი ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

დოკუმენტი დეტალურად ფარავს მართვის ყველა დონეს და ადგენს კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს: სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და დისციპლინურ კომიტეტს. თითოეული მათგანის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობითა და შიდა დებულებებით.

სკოლის დირექტორი ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს, წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან, ამტკიცებს პოლიტიკებს, სტრატეგიებს, ბიუჯეტს და ზედამხედველობს სასწავლო პროცესს. ბუღალტერი პასუხისმგებელია საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვაზე, ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის პროექტის მომზადებაზე, საგადასახადო დეკლარაციების შევსებასა და საბანკო ოპერაციებზე.

დოკუმენტი მკაფიოდ მიჯნავს მასწავლებელთა ვალდებულებებს მათი სტატუსის მიხედვით:

- უფროსი მასწავლებელი პასუხისმგებელია გაკვეთილების დაგეგმვაზე, სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობაზე, მოსწავლეთა პროგრესის შეფასებასა და მშობლებთან კომუნიკაციაზე.
- წამყვანი მასწავლებელს, უფროსი მასწავლებლის ფუნქციებთან ერთად, ევალება კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, ტუტორის ფუნქციების შესრულება და კვლევების განხორციელება.
- მენტორი მასწავლებელი დამატებით პასუხისმგებელია სკოლის პედაგოგთა განვითარების ერთიანი სტრატეგიის დაგეგმვაზე, საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტაქტების დამყარებასა და რესურსების შექმნაზე.

ფუნქციები დეტალურად არის გაწერილი დამხმარე პოზიციებისთვისაც:

- სკოლის ექთანს ევალება გადაუდებელ მდგომარეობაზე რეაგირება, მოსწავლეთა ჯანმრთელობის მონიტორინგი, პრევენციული ღონისძიებების გატარება და ცნობიერების ამაღლება ჯანსაღი ცხოვრების წესზე.
- საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს დოკუმენტაციის აღრიცხვას, არქივის დაცვას, პირადი საქმეების მოწესრიგებას და ელექტრონულ სისტემაში (eflow, eSchool) მუშაობას.
- ტექნიკური პერსონალის, კერძოდ, დარაჯის, დამლაგებლისა და ცეცხლფარეშის ფუნქციები მოიცავს კონკრეტულ გრაფიკებსა და პასუხისმგებლობებს სისუფთავეზე, უსაფრთხოებასა და ინფრასტრუქტურის გამართულობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებსა და პოზიციებს შორის ფუნქციების მკაფიო განაწილება უწყობს ხელს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.
სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის №01-02/03 ბრძანებით დამტკიცებულია „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერის დოკუმენტი“. თანამდებობრივი ინსტრუქციები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონსა და შრომის კოდექსს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სამართლებრივ მდგრადობას. განსაზღვრულია სკოლის მკაფიო სტრუქტურა: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი.

დირექტორი უზრუნველყოფს სკოლის უწყვეტ განვითარებას, სწავლების მაღალ ხარისხს და თანაბარ შესაძლებლობებს ყველა მოსწავლისათვის. იგი ზედამხედველობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს და ამტკიცებს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებს; მასწავლებელთა ფუნქციები პირდაპირ არის დაკავშირებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მოსწავლეთა პროგრესის შეფასებასთან. დოკუმენტი ავალდებულებს მასწავლებელს იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და უსაფრთხოებაზე; ბუღალტრისა და სხვა პოზიციების ფუნქციების მკაფიო გაწერა (მაგ: ბიუჯეტის დაგეგმვა, ინვენტარიზაცია) ქმნის აუცილებელ მატერიალურ-ფინანსურ გარემოს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის.

დადგენილია ანგარიშვალდებულების სისტემა: დირექტორი ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს, ხოლო თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები. დოკუმენტი ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას და მათი საქმიანობის მონიტორინგს სწავლების შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ფუნქციების აღწერის დოკუმენტი სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვას, პასუხისმგებლობების მკაფიო დელეგირებას და ორიენტირებულია საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის ბრძანება № 01-02/03, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების აღწერის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;*
- *სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერის დოკუმენტი, დამტკიცებული სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მიერ, 2026 წელი.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებს. პერსონალის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. პროცესები ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის ღირებულებებს.

მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება ღია ან შიდა კონკურსის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვას. კონკურსის ეტაპები (განაცხადების გადარჩევა, გასაუბრება) მკაფიოდ არის გაწერილი და გამჭვირვალეა. დადგენილია სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლებისთვის, რაც შესაბამისობაშია სახელმწიფო სტანდარტებთან.

თითოეული პოზიციისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და ანგარიშვალდებულებას. სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც გამოიყენება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად.

სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე, სთავაზობს მათ მრავალფეროვან ტრენინგებსა და სერვისებს. მოქმედებს თანამშრომელთა მოტივაციის სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალურ (პრემია, საჩუქარი), ისე არამატერიალურ (მადლობა, სიგელი) წახალისებას.

დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხები სრულად რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რაც იცავს როგორც სკოლის, ისე დასაქმებულის ინტერესებს.

ამრიგად, სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების მართვის სისტემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ მხარდაჭერას კანონმდებლობის სრული დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც ორიენტირებულია პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებაზე (პრევენცია და ინტერვენცია). სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ამ მიმართულებით შემდეგ ასპექტებს მოიცავს: სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და გასაუმჯობესებელი (საჭიროებების) მხარეების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს, რაც ინტერვენციის ერთ-ერთი ფორმაა. პროფესიული განვითარების პოლიტიკა ეფუძნება ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებასა და მხარდაჭერას.

სკოლა ახორციელებს ახალი კადრების ადაპტაციის ეტაპებს (შეხვედრა, ოჯახის წევრობა), რაც პრევენციული ღონისძიებაა კადრების გადინების თავიდან ასაცილებლად და მათი ეფექტურობის ასამაღლებლად. მატერიალური და არამატერიალური სტიმულირება მიმართულია კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნებისაკენ, რაც ხელს უშლის პროფესიულ გადაწვასა და დემოტივაციას. თითოეული პოზიციისთვის არსებული სამუშაო აღწერილობა არეგულირებს მოქმედების არეალს და ფუნქციურ დატვირთვას, რაც აზღვევს სამუშაო პროცესში გაუგებრობებისა და კონფლიქტების წარმოქმნას.

ადამიანური რესურსების მართვის ციკლი მოიცავს დისციპლინური სასჯელისა და სამუშაოს მართვის პროცესებს, რაც გამოიყენება კონკრეტულ დარღვევებზე რეაგირებისათვის. შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი, სადაც აქცენტი კეთდება სწავლისა და გაგების პროცესზე, ნაცვლად მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიებებისა. დოკუმენტი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მკაფიო საფუძვლებს (მაგ: არაკვალიფიციურობის დადასტურება, ეთიკის დარღვევა), რაც წარმოადგენს უკიდურეს ინტერვენციულ ზომას სკოლის ინტერესების დასაცავად.

ამრიგად, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა შეიცავს საჭიროებების კვლევის, პერსონალის მხარდაჭერისა და პრობლემურ შემთხვევებზე რეაგირების ქმედით მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

- **ობიექტურობა:** შერჩევის პროცედურები არადისკრიმინაციულია და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღებას;
- **გამჭვირვალობა:** პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები ნათლად არის ფორმულირებული და გასაგებია ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- **ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია:** კანდიდატი ან მისი ახლო ნათესავი არ შეიძლება იყოს საკონკურსო კომისიის წევრი. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის კანდიდატის ობიექტურ შეფასებას.

მასწავლებელთა შერჩევა ხდება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე. ინფორმაცია ღია კონკურსის შესახებ საჯაროდ ქვეყნდება სპეციალიზებულ ვებგვერდზე (teacherjobs.ge), ხოლო შიდა კონკურსის შესახებ - სკოლაში ხელმისაწვდომ ადგილას.
კონკურსის ჩასატარებლად იქმნება მრავალმხრივი კომისია (არანაკლებ 5 წევრისა), რომელშიც შედიან როგორც სკოლის, ისე სამინისტროს, რესურსცენტრის, პროფკავშირებისა და საგნობრივი ექსპერტები. პროცესი მოიცავს განაცხადების გადარჩევას (საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით), გასაუბრებას და შედეგების განსაზღვრას.

სკოლას შემუშავებული აქვს დეტალური დებულება პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. კანდიდატების შერჩევა ხდება მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებით (აკადემიური ხარისხი, საგნობრივი კომპეტენცია, სერტიფიცირება), რაც შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან.

უზრუნველყოფილია გასაჩივრების უფლება: კონკურსის პროცედურებთან ან შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განსახილველად იქმნება დამოუკიდებელი საპრეტენზიო კომისია.

პერსონალის შერჩევისა და კვალიფიკაციის დადასტურებისას სკოლა იყენებს მექანიზმებს: ყველა დასაქმებულზე არსებობს შსს-ს მიერ გაცემული ცნობა ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ; წარმოდგენილია ცნობები ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ.

ამრიგად, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და კონკრეტული ადმინისტრაციული აქტები (ბრძანებები კონკურსების გამოცხადებისა და კომისიების შექმნის შესახებ) ქმნის მყარ გარანტიას იმისა, რომ ვაკანტურ პოზიციებზე დასაქმდებიან საუკეთესო და კვალიფიციური კადრები სამართლიანი შერჩევის გზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და განსაზღვრავს კრიტერიუმებს თითოეული პოზიციისთვის. ასე გამოიყურება ძირითადი პერსონალის შესაბამისობა ამ მოთხოვნებთან:

- სკოლის დირექტორი ფლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს (ისტორიის მასწავლებელი). გავლილი აქვს სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-პროგრამა. მისი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს.
- სპეციალური მასწავლებელი ფლობს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას სკოლამდელ აღზრდაში. გავლილი აქვს სპეციალური კურსი სსსმ ბავშვებთან მუშაობის თავისებურებების შესახებ (5 კრედიტი);

- ბიბლიოთეკარი ფლობს ბიოლოგიის ბაკალავრის ხარისხს და გავლილი აქვს ბიბლიოთეკართა პროფესიული განვითარების ტრენინგები, რაც შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (ბაკალავრის ხარისხი და მზაობა სიახლეებისთვის).
- საქმისმწარმოებელს აქვს პროფესიული განათლება ოფისის მენეჯერის სპეციალობით. ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და გავლილი აქვს საქმისმწარმოებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი
- სკოლის ექთანი (ფლობს დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციას ზოგადი პროფილის მედდის სპეციალობით. ეს აკმაყოფილებს დებულების მოთხოვნას სამედიცინო პროფილის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის შესახებ.
- დამლაგებელი ფლობს საშუალო განათლებას და მრავალწლიან სამუშაო გამოცდილებას, რაც აკმაყოფილებს დებულებით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს.

ვიზიტის დროისთვის სკოლაში დასაქმებულია 5 პირი, რომელთაც არ აქვთ მასწავლებლის სტატუსი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, არა უგვიანეს 2026 წლის 8 სექტემბრისა სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლის სტატუსის მქონე პირების დასაქმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ სოფელ ნენიის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ნამდვილად ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ეს დასტურდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით:

- სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არ არის ერთპიროვნული; ფუნქციონირებს სკოლის თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც გუნდურად მუშაობს ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებაზე.
- სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, რაც გუნდური მუშაობისა და პროფესიული დიალოგის კლასიკური მაგალითია.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განსაზღვრავს პასუხისმგებლობების გადანაწილებას არა მხოლოდ დირექციაზე, არამედ კონკრეტულ შემსრულებლებზე, რაც ხელს უწყობს საერთო მიზნის გარშემო პერსონალის გაერთიანებას. დოკუმენტაცია

მიუთითებს, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარება და თვითშეფასება არის პროცესი, სადაც ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და დამხმარე პერსონალი საერთო სტანდარტების დაცვით მოქმედებს.

ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ ზრდაზე. მაგალითად, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები (დირექტორის, სპეციალური მასწავლებლისა და საქმისმწარმოებლის მაგალითზე), რაც გუნდურ კომპეტენციას ამაღლებს. სკოლის დებულებები და სამუშაო აღწერილობები ხაზს უსვამს თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთმხარდაჭერის აუცილებლობას ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად.

პერსონალის შერჩევისა და შეფასების პროცესში გამოყენებული გამჭვირვალე კრიტერიუმები (დებულება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ) უზრუნველყოფს სამართლიანობის განცდას, რაც გუნდური სიმტკიცის საფუძველია. კვალიფიკაციის დადასტურებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ინდივიდუალურ დიპლომებს, არამედ თანამშრომლის მზაობას, ჩაერთოს სკოლის განვითარების საერთო პროცესში.

ამრიგად, სკოლის მართვის მოდელი ორიენტირებულია მკაფიო გადანაწილებასა და საერთო პასუხისმგებლობაზე. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას აქვს პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები, რომლებიც ინტეგრირებულია სკოლის ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემაში: სკოლის თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ საგნობრივი კათედრები წარმოადგენს ძირითად პლატფორმას, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პედაგოგიურ პრაქტიკას და სამუშაო გამოცდილებას. სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ხდება იმ მეთოდების იდენტიფიცირება, რომლებმაც საუკეთესო შედეგი გამოიღო, რაც შემდეგ აისახება სკოლის საერთო გამოცდილებაში.

სკოლის დირექცია მხარს უჭერს და აღიარებს პერსონალის მიერ მიღწეულ წარმატებებს კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. ამის მაგალითია დირექტორისა და სპეციალური მასწავლებლის მიერ გავლილი ტრენინგ-კურსები, რომელთა შედეგებიც დანერგილია სკოლის მართვისა და სწავლების პროცესში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება ხაზს უსვამს პერსონალის მზაობას სიახლეებისა და პროფესიული ზრდისადმი, რაც სტიმულს აძლევს თანამშრომლებს, წარმოაჩინონ თავიანთი მიღწევები. თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც გუნდურად მუშაობს, ახდენს საუკეთესო პრაქტიკის დოკუმენტირებას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასასაბუთებლად.

ვინაიდან სკოლის მართვა ეფუძნება გუნდურ მუშაობას, წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხდება არა მხოლოდ ფორმალურ (კათედრის სხდომა), არამედ არაფორმალურ დონეზეც, რაც ხელს უწყობს ერთიანი პროფესიული საზოგადოების ჩამოყალიბებას.
ამრიგად, სკოლაში აღიარების მექანიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული პროფესიული განვითარების სისტემასთან — წარმატებული პრაქტიკა ან მიღებული ახალი კვალიფიკაცია ხდება სკოლის საერთო რესურსის ნაწილი, რაც დასტურდება როგორც პერსონალის პირადი საქმეებით, ისე სკოლის სტრატეგიული დოკუმენტებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/21 ბრძანებით;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობები და ფუნქცია-მოვალეობების ნუსხა;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსის სერტიფიკატი;*

- *სსსმ ბავშვებთან მუშაობის სპეციალური კურსის სერტიფიკატი;*
- *ბიბლიოთეკართა და საქმისმწარმოებელთა გადამზადების სერტიფიკატები.;*
- *ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ;*
- *ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები (ფორმა №IV-100/ა) და ცნობები ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მკაფიოდ გაწერილი მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით, ეს სისტემა ეყრდნობა შემდეგ კომპონენტებს: სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის შეფასებას, რაც მიზნად ისახავს ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასება ეფუძნება მონაწილეობის პრინციპს და მოიცავს შემდეგ მეთოდებს:

- თვითშეფასება: პერსონალის აქტიური ჩართულობა საკუთარი მუშაობის ანალიზში.

- 360 გრადუსიანი შეფასება: მრავალმხრივი უკუკავშირი.
- უშუალო ხელმძღვანელის შეფასება და გასაუბრება: ფორმალური მონიტორინგი და დიალოგი.
- კრიტიკული შემთხვევების ანალიზი და სამუშაო სტანდარტებთან შედარება.

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლა გეგმავს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. საჭიროებები დგინდება შემდეგი გზებით:

- საჭიროებების კვლევა: ინიციატივები შეიძლება გამოიკვეთოს სპეციალური კვლევის შედეგად.
- ზეპირსიტყვიერი ინიციატივები: პერსონალის მხრიდან წამოსული მოთხოვნების გათვალისწინება.
- კონსტრუქციული უკუკავშირი: შეფასება გამოიყენება არა დასასჯელად, არამედ როგორც სწავლისა და განვითარების საშუალება.

განვითარების მხარდაჭერის მექანიზმები:

- მრავალფეროვანი მეთოდები: სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს განვითარების შესაძლებლობებს როგორც სკოლის ბაზაზე (შიდა ტრენინგი), ისე გარე სერვისების მეშვეობით.
- ბიუჯეტირება: პროფესიული განვითარების აქტივობები და მათი ბიუჯეტი აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.
- მოტივაცია და აღიარება: სკოლა იყენებს წახალისების ფორმებს (მადლობა, სიგელი, პრემია) პროფესიული წინსვლისა და ინიციატივების სტიმულირებისთვის.

პოლიტიკა ხაზს უსვამს, რომ პროფესიული განვითარება არის უწყვეტი პროცესი და არა ერთჯერადი აქტივობა. სისტემა ორიენტირებულია მხარდაჭერაზე, ურთიერთნდობასა და კოლეგების დახმარებაზე, რაც გუნდური მუშაობის პრინციპების განხორციელების გარანტიაა.

ამრიგად, სკოლას აქვს ციკლური მოდელი: შეფასება → საჭიროებების იდენტიფიცირება → განვითარების დაგეგმვა → განხორციელება/მხარდაჭერა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

პერსონალის განვითარების პროცესი სკოლაში ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, რაც დასტურდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. დოკუმენტაციის მიხედვით, პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

1. საჭიროებების იდენტიფიცირება - პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარება პირდაპირ ეფუძნება შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგებს, რაც ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენის საშუალებას იძლევა. საჭიროებების დადგენა ხდება როგორც სისტემური კვლევის, ისე პერსონალის მხრიდან წამოსული ინდივიდუალური ინიციატივების საფუძველზე.
2. დაგეგმვა და ბიუჯეტირება - პერსონალის განვითარების აქტივობები აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. გეგმაში გაწერილია არა მხოლოდ კონკრეტული აქტივობები, არამედ მათი განხორციელებისთვის აუცილებელი ბიუჯეტი, რაც უზრუნველყოფს პროცესის ფინანსურ მხარდაჭერას.
3. განხორციელების ფორმები - სკოლა სთავაზობს პერსონალს მრავალფეროვან მეთოდებს, რაც მორგებულია გამოვლენილ საჭიროებებს:

- ტრენინგები შიდა ნორმებსა და რეგულაციებზე.
- სკოლის ბაზაზე არსებული რესურსებით სწავლება.
- გარედან შემოთავაზებული სერვისები და უწყვეტი განათლების პროგრამები.

4. მონიტორინგი და მხარდაჭერა - პროცესი მოიცავს პროგრესის მონიტორინგს, რათა შეფასდეს, რამდენად ეფექტურად პასუხობს განხორციელებული აქტივობები დასახულ მიზნებს. განვითარების ხედვა ეფუძნება სწავლის მხარდაჭერას და არა მხოლოდ მშრალ შეფასებას, რაც თანამშრომლებს აძლევს ინოვაციური ხედვების დანერგვის თავისუფლებას.

ამრიგად, სკოლაში პერსონალის განვითარება არის უწყვეტი ციკლი, რომელიც იწყება შეფასებით, გრძელდება სამოქმედო გეგმაში ასახვით და სრულდება მიზნობრივი მხარდაჭერით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა **აქტიურად უწყობს ხელს პერსონალის კარიერულ ზრდას**. დოკუმენტში გამოკვეთილია რამდენიმე საკვანძო მექანიზმი, რომელიც ამ პროცესს უზრუნველყოფს:

1. **ნებაყოფლობითობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა** - სკოლის პოლიტიკით, კარიერული წინსვლა არის **ნებაყოფლობითი** და დამოუკიდებელია კონკრეტული თანამშრომლის სურვილზე; ეს შესაძლებლობა **თანაბრად ხელმისაწვდომია** სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციას და ეფუძნება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს;
2. **ინიციატივების წახალისება (მუხლი 20)** - სკოლა წაახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინიციატივას; ინიციატივების დაფიქსირება შესაძლებელია როგორც ფორმალური კვლევის, ისე ზეპირსიტყვიერი მიმართვის საფუძველზე, რასაც სკოლა რეაგირების გარეშე არ ტოვებს.
3. **მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემო** - სკოლის განვითარების ხედვა ეფუძნება **ავტონომიურობასა და მოქმედების თავისუფლებას**, რაც თანამშრომლებს აძლევს საშუალებას დაგეგმონ და განახორციელონ ინოვაციური ხედვები; პროფესიული განვითარება აღქმულია როგორც „მუდმივი მოგზაურობა“, სადაც სკოლა ორიენტირებულია პერსონალის შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენაზე და არა მათ ლიმიტირებაზე.
4. **მატერიალური და არამატერიალური სტიმულირება (მუხლი 21)** - კარიერული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოტივირებისთვის სკოლა იყენებს წახალისების კონკრეტულ ფორმებს: მადლობის გამოცხადება და სიგელით დაჯილდოება. ფულადი პრემიები და ფასიანი საჩუქრები წარმატებული საქმიანობისთვის.

ამრიგად, სკოლა ქმნის გარემოს, სადაც კარიერული წინსვლა უკავშირდება ინდივიდუალურ კომპეტენციას, დამსახურებასა და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულობასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **ახალი თანამშრომლების სოციალიზაციასა და ინტეგრაციას** სამუშაო გარემოსთან. დოკუმენტის მე-18 მუხლი დეტალურად აღწერს ამ პროცესს, რომელიც სამ ძირითად ეტაპად იყოფა:

1. ადაპტაციის ეტაპები: სკოლა ახორციელებს ინტეგრაციის მიზანმიმართულ პროცესს, რათა ახალმა კადრმა შეძლოს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება:

- **მოლოდინები:** მუშაობის დაწყებამდე სკოლის შესახებ სწორი შთაბეჭდილების ჩამოყალიბება.
- **შეხვედრა:** მუშაობის პირველი სამი თვე, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სოციალიზაციას.
- **„ოჯახის წევრობა“:** საბოლოო ეტაპი, როდესაც თანამშრომელი ყალიბდება სკოლის გუნდის სრულუფლებიან წევრად.

2. ინტეგრაციის კონკრეტული მექანიზმები

ახალი თანამშრომლის გარემოსთან შეგუების დასაჩქარებლად სკოლა იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- **ორგანიზაციული კულტურის გაცნობა:** დამკვიდრებული წესების, ტრადიციებისა და რიტუალების გაზიარება.
- **ინფორმაციული მხარდაჭერა:** შიდა ნორმებისა და რეგულაციების გაცნობა, ასევე თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციისა და კომუნიკაციის არხების (მაგ. სოციალურ ქსელში დახურული ჯგუფების) შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- **ორიენტაციის ტურები:** სკოლის შენობის დათვალიერება და გუნდის წევრების გაცნობა.

3. არაფორმალური სოციალიზაცია

სკოლა მიიჩნევს, რომ ინტეგრაციის პროცესს არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური სახე, ამიტომ პოლიტიკა ითვალისწინებს:

- პირველი სამუშაო დღის განსაკუთრებულ დახვედრას (მაგალითად, სამუშაო გარემოს გაფორმება მისასალმებელი სიტყვებით).
- კორპორატიულ საღამოებსა და ექსკურსიებს, რაც ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას.
- „პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან“ ტიპის ღონისძიებებს, რაზეც პასუხისმგებელია სკოლის შესაბამისი ერთეული.

ამრიგად, სკოლაში მოქმედებს სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სწრაფ ადაპტაციას, მის ინფორმირებულობასა და გუნდში ემოციურ ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები **ოფიციალურად წახალისებულია** და ეს პროცესი მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია: ადამიანური

რესურსების მართვის პოლიტიკა ადგენს, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შეიძლება გამოიკვეთოს როგორც პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ისე ზეპირსიტყვიერად, უშუალოდ თანამშრომლების მხრიდან. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მოქმედების თავისუფლება, რათა თავად დაგეგმონ და განახორციელონ ინოვაციური ხედვები. პროფესიული განვითარების ხედვა ორიენტირებულია პერსონალის შესაძლებლობების წარმოჩენაზე და არა მათი ლიმიტების ხაზგასმაზე. ინიციატივიანი და წარმატებული თანამშრომლებისთვის შინაგანაწესი და მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემია ან ფასიანი საჩუქარი. განსაკუთრებული ინიციატივისა და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის სკოლა უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოხსნას პირს დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

ამგვარად, სკოლა ქმნის გარემოს, სადაც თანამშრომლის პირადი აქტივობა და განვითარებისკენ სწრაფვა აღქმულია როგორც დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მიღწევის საშუალება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *პროფესიული განვითარების სერტიფიკატები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას“ (დამტკიცებული 2025 წლის ბრძანებით N01-02/27). სკოლაში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის ადმინისტრატორი. ის არის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი და კათედრების მუშაობის კოორდინატორი.

სკოლას იდენტიფიცირებული აქვს პროცესების სამი დონე: მმართველობითი (სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა), ძირითადი (კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესი) და დამხმარე (უსაფრთხოება, ფინანსები, ადამიანური რესურსები და სხვა). ოპერირებს ციკლის შესაბამისად: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე:

- დაგეგმვა: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს რისკების შეფასებას და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენას, რომელიც მტკიცდება დირექტორის მიერ;
- განხორციელება: პროცესები გაწერილია დოკუმენტის სახით, რაც მოიცავს მიზანს, ქვეპროცესებს, პასუხისმგებელ პირებსა და დიაგრამებს;

- შემოწმება: ხარისხის მართვის პირი ახორციელებს როგორც გეგმურ, ისე არაგეგმურ შემოწმებებს, რაც მოიცავს დოკუმენტაციის ანალიზს, ინტერვიუირებასა და გაკვეთილებზე დასწრებას;
- განვითარება: შემოწმების შედეგად დგება დასკვნა, გაიცემა რეკომენდაციები და ხორციელდება მათი შესრულების მონიტორინგი.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გამოყენებულია ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიუ, SWOT ანალიზი). მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით გათვალისწინებულია ხარისხის პროცესის შეფასება გარე შემფასებლის მიერ, რაც ზრდის სისტემის სანდოობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული დასკვნა არა მხოლოდ დირექტორს წარედგინოს, არამედ იყოს გაზიარებული და განხილული პედაგოგიურ საბჭოზეც, რათა გაიზარდოს მასწავლებელთა პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე.*

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული და სამ ჯგუფად დაყოფილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი პროცესი:

- მმართველობითი პროცესები: მოიცავს სტრატეგიულ და წლიურ დაგეგმვას, ხარისხის უზრუნველყოფასა და სკოლის მართვას სხვადასხვა რგოლის (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დირექცია) მიერ;
- ძირითადი პროცესები: ფოკუსირებულია უშუალოდ საგანმანათლებლო საქმიანობაზე - ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) შესრულებაზე, კურიკულუმის განვითარებაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე;

- დამხმარე პროცესები: უზრუნველყოფს ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას. მასში შედის ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვა, საქმისწარმოება, საბიბლიოთეკო სერვისები, სამედიცინო/ფსიქოლოგიური დახმარება და კვების პუნქტის ფუნქციონირება.

დოკუმენტური ანალიზით დასტურდება, რომ თითოეული პროცესი აღწერილია სიღრმისეულად და მოიცავს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

- პროცესის დასახელება და მიზანი;
- ქვეპროცესების ჩამონათვალი;
- პასუხისმგებელი და მონაწილე პირები/სტრუქტურული ერთეულები;
- პროცესის დიაგრამა (ვიზუალიზაცია).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პასუხისმგებლობების განაწილებას. მაგალითად, ადმინისტრატორის ფუნქციებში დეტალურად არის გაწერილი სასწავლო პროცესის მონიტორინგი, კურიკულუმის სრულყოფა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა. ბუღალტრის ფუნქციებში კი - ფინანსური ოპერირება და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა.

სკოლის მიერ შემუშავებული აღმწერები არ არის მხოლოდ სტატიკური დოკუმენტი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ავალდებულებს პასუხისმგებელ პირებს, საქმიანობაში დაეყრდნონ სწორედ პროცესის დოკუმენტს. ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი კი შეფასებას ახორციელებს ამ დოკუმენტებთან პრაქტიკის შესაბამისობის დასადგენად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი დამტკიცებულია 2025 წლის 13 ოქტომბრის N 01-02/35-10 ბრძანებით), ვრცელდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრზე: დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, მშობლებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე.

საჩივრის წარდგენა შესაძლებელია პირადად, ფოსტით ან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის ხელმისაწვდომობას. სისტემა ეფუძნება ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის

პრინციპებს. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, აკრძალულია პროცესში იმ პირის მონაწილეობა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი განსახილველ საკითხთან.

დოკუმენტაცია დეტალურად აღწერს გასაჩივრების გზებს სხვადასხვა ტიპის დავისთვის: დირექტორის ან დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება საჩივრდება სკოლის სამეურვეო საბჭოში. საბჭო ვალდებულია საკითხი განიხილოს ერთი თვის ვადაში. კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც საჩივარს 5 სამუშაო დღეში განიხილავს. აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა თავად კონკურსის ჩატარებაში. მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს უფლება აქვთ, უფლების დარღვევიდან ორი კვირის ვადაში მიმართონ დირექტორს, ხოლო დირექტორის წინააღმდეგ საჩივარი წარედგინება სამეურვეო საბჭოს. გამოცდის შედეგების გასაჩივრებისთვის იქმნება სპეციალური საპრეტენზიო კომისია (სულ მცირე 3 წევრით), რომელიც 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ქულის ცვლილების ან დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ. სისტემა განსაზღვრავს მკაცრ ვადებს ადმინისტრაციული რეაგირებისთვის:

- ზოგადი განცხადების განხილვა - 10 სამუშაო დღე.
- საჩივრის განხილვა - ერთი თვე (გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია კიდევ ერთი თვით გაგრძელება).
- ყველა პასუხი უნდა იყოს დასაბუთებული და საჭიროების შემთხვევაში შეიცავდეს მითითებას მისი შემდგომი გასაჩივრების წესზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *საჩივრების ოფიციალური წესის პარალელურად, სასურველია, არსებობდეს „ნდობის ყუთი“ ან ანონიმური ელექტრონული ფორმა, რათა მოსწავლეებმა თუ თანამშრომლებმა ღიად დააფიქსირონ პოზიცია შესაძლო ბულინგის ან არაეთიკური ქცევის შესახებ.*

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მრავალშრიანი სისტემა, რომელიც მოიცავს სამართლებრივ, ინფორმაციულ და უსაფრთხოების მექანიზმებს.

სკოლაში მოქმედებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც უზრუნველყოფს:

- ობიექტურ განხილვას: ნებისმიერ თანამშრომელსა და მშობელს აქვს უფლება, წერილობით მიმართოს დირექტორს უფლების დარღვევის შესახებ. დირექტორის ქმედება კი, თავის მხრივ, საჩივრდება სამეურვეო საბჭოში.
- სპეციალიზებულ დაცვას: მასწავლებელთა პროფესიული უფლებების დასაცავად ვაკანსიის კონკურსის ან შიდასასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრებისთვის იქმნება დამოუკიდებელი საპრეტენზიო კომისიები.
- დისციპლინურ სამართლიანობას: პერსონალის მიმართ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს სამართლიანობის პრინციპით დაკომპლექტებული დისციპლინური კომიტეტი.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება უფლებების დაცვის მექანიზმს აძლიერებს შემდეგი ელემენტებით:

- ბავშვთა უფლებების პრიორიტეტულობა: სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და რეფერირების პროცედურების (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობა) ეფექტური გამოყენება.
- პრევენცია და რეაგირება: სკოლა ახორციელებს საგანმანათლებლო კამპანიებს ძალადობის, ბულინგისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რაც იცავს როგორც მოსწავლეების, ისე მათი მშობლების ინტერესებს.
- შრომის უსაფრთხოება: პერსონალის უფლება - იმუშაოს უსაფრთხო გარემოში - გარანტირებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ყოლით და სახანძრო თუ ფიზიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტურობას განაპირობებს ინფორმირებულობის მაღალი დონე:

- სკოლა ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებიდან 10 დღის ვადაში მშობლებსა და პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია ცხელი ხაზებისა და დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ (112, სახალხო დამცველი, მანდატურის სამსახური).
- მშობლებისთვის ტარდება შეხვედრები ისეთ თემებზე, როგორიცაა ეფექტური კომუნიკაცია და ძალადობის გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე, რაც მათ ეხმარება საკუთარი და შვილის უფლებების უკეთ გაცნობიერებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის ბრძანება N 01-02/06 მმართველობის, ძირითადი და დამხმარე პროცესების და მათი აღმწერების შესახებ;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათი აღმწერები, 2026 წელი;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის ბრძანება N 01-02/27 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები, 2025 წელი;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება N 01-02/35-10 განცხადებისა და საჩივრის წესის დებულების დამტკიცების შესახებ;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, 2025 წელი;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის ბრძანება N 01-02/07 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება, 2026 წელი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში მართვის პროცესების გამჭვირვალობისა და ორმხრივი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად დანერგილია ინფორმირებისა და უკუკავშირის სისტემური მექანიზმები.

სკოლა უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა არხით:

- მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა: შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნონ მოსწავლეებსა და მშობლებს, ხოლო ცვლილებების შესახებ აცნობონ 5 კალენდარული დღის ვადაში;
- ინდივიდუალური ინფორმირება: მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, დამსაქმებელი ვალდებულია პერსონალს გააცნოს შინაგანაწესი და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. ასევე, მასწავლებლები ვალდებულნი არიან დროულად აცნობონ მშობლებს მოსწავლის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ.
- უსაფრთხოების საკითხები: სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან 10 დღეში ჩაატაროს საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან და მოსწავლეებთან უსაფრთხოების მექანიზმებისა და ცხელი ხაზების შესახებ.

უკუკავშირის მიღება ხორციელდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური გზებით:

- სტრატეგიული დაგეგმვა და კვლევა: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში, სკოლა ატარებს პერსონალის, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვას (ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები) შიდა პროცესების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების დასადგენად.
- საკონსულტაციო დღეები: სკოლაში დაწესებულია მშობლებთან კომუნიკაციის სპეციალური დრო (ყოველი პარასკევი), სადაც მშობლებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია და დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია.
- მართვაში მონაწილეობა: პერსონალს უფლება აქვს მოითხოვოს ნებისმიერი საკითხის განხილვა პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე.

მიღებულ უკუკავშირსა თუ საჩივრებზე რეაგირება რეგულირდება მკაცრი პროცედურებით:

- საჩივრების განხილვა: სკოლაში მოქმედებს საჩივრების განხილვის წესი, რომელიც განსაზღვრავს რეაგირების ვადებს (მაგ. განცხადებაზე — 10 სამუშაო დღე).
- უსაფრთხოებაზე რეაგირება: უსაფრთხოების კოორდინატორის მიერ დაფიქსირებულ დარღვევებზე (დარღვევის აღრიცხვის ფურცელი) დირექცია ვალდებულია რეაგირება დაიწყოს მომდევნო სამუშაო დღესვე.
- ხარისხის განვითარება: ხარისხის მართვის პირი შემოწმების შედეგად გასცემს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულების მონიტორინგი სავალდებულოა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) აქტიური მონაწილეობა მართვის პროცესებსა და სკოლის ცხოვრებაში.
სკოლის მართვა ეფუძნება კოლეგიალობისა და წარმომადგენლობითობის პრინციპებს: სამეურვეო საბჭო სკოლის უმაღლესი არჩევითი ორგანოა, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობით წარმოდგენილი მშობლებისა და მასწავლებლებისაგან. მასში, ასევე, შედის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წევრი. საბჭო ამტკიცებს ბიუჯეტს, შინაგანაწესს და აკონტროლებს დირექციის საქმიანობას; პედაგოგიური საბჭოში ერთიანდება სკოლის ყველა მასწავლებელი. საბჭო განიხილავს სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლის მისიას და იღებს გადაწყვეტილებებს სწავლა-სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად; დისციპლინური კომიტეტი ირჩევა სამეურვეო საბჭოს მიერ და მასში თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებლები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ფუნდამენტური დოკუმენტების შემუშავებაში: სასკოლო სასწავლო გეგმა მუშავდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მასწავლებლები უშუალოდ მონაწილეობენ საგნობრივი კურიკულუმების შექმნაში; სტრატეგიული დაგეგმვა - მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისას სამიზნედ ისაზღვრება მთელი სასკოლო საზოგადოება. ინფორმაცია გროვდება კითხვარების, ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების საშუალებით; ხარისხის მართვა - პროცესების შეფასებისას ხდება პროცესში მონაწილე პირთა ინტერვიუირება და მათი უკუკავშირის გათვალისწინება დასკვნის მომზადებისას.

სკოლა ქმნის სივრცეს აქტიური სასკოლო ცხოვრებისთვის:

- მოსწავლეთა თვითმმართველობა: ახორციელებს მოსწავლეთა ინტერესების წარმოდგენას მართვის ორგანოებში.
- კლუბური და საპროექტო მუშაობა: სასკოლო ცხოვრება მოიცავს სადამრიგებლო, საკლუბო და საპროექტო აქტივობებს, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები თანამშრომლობენ.
- მშობელთა ჩართულობა: მშობლებისთვის მოქმედებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვის განათლებასა და აღზრდაში მათი როლის ასამაღლებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 9 სექტემბრის N 103-04/03 სხდომაზე დამტკიცებული შინაგანაწესი;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის ბრძანება N 01-02/06 მმართველობის, ძირითადი და დამხმარე პროცესების და მათი აღმწერების შესახებ;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათი აღმწერები, 2026 წელი;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება, 2026 წელი;*
- *მასწავლებლებისა და თანამშრომლების (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, დამლაგებელი) შრომითი ხელშეკრულებები (მაგ. N 01-14/01, N 22, N 19, N 20, N 21), 2025 წელი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში ჩამოყალიბებულია მრავალშრიანი დაცვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც პრევენციას, ისე მყისიერ რეაგირებას: უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სპეციალურად განსაზღვრული პირი, რომელსაც ეხმარებიან მორიგე მასწავლებლები და დარაჯი. სკოლის შინაგანაწესით მკაცრად არის რეგულირებული გარეშე პირთა გადაადგილება - შენობაში შესვლა დასაშვებია მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. მასწავლებლები მორიგეობენ დასვენებებზე დერეფნებში, ხოლო დამრიგებლები ყოველდღიურად აღრიცხავენ მოსწავლეთა დასწრებას და აანალიზებენ გაცდენის მიზეზებს.

დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის №01-02/09 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლის ორივე შენობასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონს. შეთანხმებულია შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. შექმნილია მმართველი ორგანო, სადაც ფუნქციები მკაცრადაა გადანაწილებული: საგანგებო შტაბის უფროსი, უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში, უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით, სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მისამართია საქართველო, შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ნენია. ძირითადი სკოლა (ს/კ 24.01.34.229) და ნაკანაფევის მიერთებული სკოლა (ს/კ24.01.35.003). სკოლის შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: ძირითადი სკოლა 1749.7 კვ.მ, ხოლო მიწის ნაკვეთი 351.7კვ.მ. ნაკანაფევის მიერთებული სკოლის შენობა-ნაგებობების საერთ ფართი 64.6 კვ.მ, ხოლო მიწის ნაკვეთი 351.7 კვ.მ. საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის დანიშნულებაა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. ძირითადი სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სასწავლო კორპუსი, გარე სპორტული მოედანი და დამხმარე ნაგებობა (საქვაბე). ნაკანაფევის მიერთებული სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია დაწყებითი საფეხურის სკოლა.

ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოება - 2026 წლის 21 თებერვალს სკოლამ ოფიციალურად მიმართა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ცენტრალური და ნაკანაფევის ხის შენობების სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის დასადგენად. ძირითადი კორპუსი აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ავარიული განათებითა და ცეცხლმაქრებით. იდენტიფიცირებულია ხანძრის რისკი (შეფასებულია 30 ქულით), რაც განპირობებულია შენობის ხის კონსტრუქციებითა და ელექტროფიკაციით.

ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა - შენობის მდგრადობა დადასტურებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ. კერძოდ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ ჩაატარა ვიზუალური კვლევა (დასკვნა №002605126, 17/04/2026). დასკვნის მიხედვით, ძირითადი და დაწყებითი სკოლის შენობებს არ აღენიშნებათ დეფორმაციები ან კონსტრუქციული ბზარები. შენობების ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია, როგორც დამაკმაყოფილებელი და ისინი ვარგისია უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის.

სკოლის ცენტრალური შენობა აღჭურვილია 12 ვიდეოსამეთვალყურეო კამერით, რომლებითაც მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი წესის დაცვით, ხოლო **ნაკანაფევის ხის შენობა არ არის აღჭურვილი ვიდეოკამერებით.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ: ინდიკატორი N3.4.1.1 (ფიზიკური უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე): ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობა არ იყო აღჭურვილი ვიდეოკამერებით და არ იყო შემოღობილი. სკოლამ ნაკანაფევის ხის შენობა უნდა აღჭურვოს ვიდეოკამერებით და შემოღობოს აღნიშნული ტერიტორია მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა. ***სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.***

რჩევა: *სასურველია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“ (ბრძანება N 0-02/29, 08.09.2025) და „სამედიცინო და სანიტარული ჰიგიენური ნორმების დაცვისა და დახმარების აღმოჩენის წესი“ (ბრძანება N 01-02/35-07, 09.09.2025). აღნიშნული ნორმატიული აქტები არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის პროცედურებს, ეტაპებსა და

პასუხისმგებლობებს. სკოლის ძირითად შენობაში პირველადი დახმარების ეფექტურად განხორციელების მიზნით გამოკვეთილია შემდეგი მიმართულებები: სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. სივრცე შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს, არის საკმარისად ვრცელი, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით და ბუნებრივი ვენტილაციის (განიავების) შესაძლებლობით. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით, მაცივრითა და კარადით, სადაც განთავსებულია ნებადართული მედიკამენტები, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები.

პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად სკოლას დასაქმებული ჰყავს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირთან (ექთანი). წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა პერმანენტულად და მიზანმიმართულად ცდილობდა კანონმდებლობით მოთხოვნილი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექიმის დასაქმებას, რისთვისაც 2022 წლის დეკემბრის თვეში ზედიზედ სამჯერ გამოაცხადა კონკურსი: პირველი კონკურსი გამოქვეყნდა 2022 წლის 7 დეკემბერს (გამოხმაურების ბოლო თარიღი: 14 დეკემბერი), სადაც სამუშაოს დაწყების თარიღად განსაზღვრული იყო 2023 წლის 16 იანვარი, კონკურსი დასრულდა უშედეგოდ (კანდიდატის შეურჩევლობის ან განაცხადის არარსებობის გამო). მეორე კონკურსი სკოლამ დაუყოვნებლივ, 2022 წლის 16 დეკემბერს კვლავ გამოაცხადა ვაკანსია იმავე პოზიციაზე (გამოხმაურების ბოლო თარიღი: 22 დეკემბერი). ეს კონკურსიც ჩაიშალა. მესამე კონკურსი - 2022 წლის 25 დეკემბერს (გამოხმაურების ბოლო თარიღი: 29 დეკემბერი). მიუხედავად განმეორებითი მცდელობისა, სკოლის ექიმის ვაკანსიაზე შესაბამისი კადრის შერჩევა კვლავ ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ სამივე შემთხვევაში კანდიდატს მოეთხოვებოდა სახელმწიფო სერტიფიკატი საოჯახო მედიცინასა ან პედიატრიაში, უმაღლესი პედიატრიული განათლება და ბოლო 10 წლის განმავლობაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.
სკოლის დაწყებითი საფეხურის ნაკანაფევის ხის შენობაში არ არის სამედიცინო კაბინეტი, არ საქმიანობს ექთანი. ძირითადი სკოლისაგან დაწყებითი საფეხურის ნაკანაფევის ხის შენობა 12 კილომეტრით არის დაშორებული, რაც შეუძლებელს ხდის სკოლის ცენტრალურ კორპუსში დასაქმებული ექთნის მიერ ხის შენობაში საქმიანობის დროულად განხორციელებას - საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

დოკუმენტაციაში გაწერილია უბედური შემთხვევების დროს სკოლის საზოგადოების წევრების მოქმედების ალგორითმი (სამედიცინო პერსონალისა და ადმინისტრაციის დაუყოვნებლივი ინფორმირება, 112-თან დაკავშირება და ა.შ.). წესს დანართის სახით თან ახლავს პირველადი სამედიცინო დახმარების კონკრეტული მექანიზმები. აღრიცხვიანობა და კონფიდენციალურობა: დადგენილია მიმართვების სპეციალურ ჟურნალში აღრიცხვისა და „სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმის“ შევსების ვალდებულება.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ: ინდიკატორი N3.4.1.2 (პირველადი დახმარების აღმოჩენა): ნაკანაფევის ხის შენობაში არ ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი და არ საქმიანობდა ექთანი. სკოლამ დაწყებითი საფეხურის ნაკანაფევის ხის შენობაში უნდა მოაწყოს სამედიცინო კაბინეტი და დაასაქმოს ექთანი, რათა ხის შენობაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა. ***სკოლას შეეცვალა შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით.***

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმებით. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს შემდეგი რეგულაციები და სტრუქტურები: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების სამსახურის დებულება“, რომლის მიხედვითაც, უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს სკოლის ოფიციალურ სტრუქტურულ ერთეულს და უშუალოდ ექვემდებარება ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელიც არის ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, შეუსრულდა 21 წელი, იცის სახელმწიფო ენა, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სერტიფიცირებულია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ. სამსახურის უპირველეს მიზნად განსაზღვრულია ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, მატერიალური და ტექნიკური ქონების დაცვა, ასევე, წესრიგისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. უსაფრთხოების სამსახურის პირდაპირი ამოცანაა ობიექტზე წესრიგის კონტროლი, საშიში სიტუაციების პრევენცია და დროული რეაგირება. საზოგადოებრივი წესრიგის მუდმივი კონტროლისთვის, უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

- მკაცრად აკონტროლებს შენობისა და ტერიტორიის შესვლა-გამოსვლას;
- უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო უსაფრთხოების წესების დაცვას;
- ახდენს ნებისმიერი ტიპის დარღვევის დაფიქსირებას და ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის ხელმძღვანელობას;
- საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენისა და კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით, ოპერატიულად თანამშრომლობს საგანგებო და სამართალდამცავ ორგანოებთან;
- სკოლის პერიმეტრზე წესრიგის კონტროლის მიზნით, მართავს და თვალყურს ადევნებს ვიდეოთვალთვალისა და უსაფრთხოების სხვა სისტემებს (მათი არსებობის შემთხვევაში).

ამრიგად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში დირექტორის ბრძანებით (N01-02/07, 08.04.2026) დამტკიცებულია და მოქმედებს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკას და მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება და ფსიქოლოგიურად და ემოციურად სტაბილური, უსაფრთხო გარემოს შექმნა.

დებულების მიხედვით, სკოლაში დანერგილია ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების დაცვის შემდეგი მექანიზმები: სკოლის პოლიტიკის პრიორიტეტია ნებისმიერი ფორმის ძალადობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ბულინგი, კიბერბულინგი) პრევენცია. სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კლიმატის ჩამოყალიბებაზე, სადაც თითოეული მოსწავლე თავს დაცულად და აღიარებულად გრძნობს. დოკუმენტაციაში მკაფიოდ არის გაწერილი რეაგირების ალგორითმი იმ შემთხვევებისთვის, თუ გამოვლინდება მოსწავლის ფსიქო-ემოციური დარღვევები, სტრესი ან კონფლიქტური სიტუაციები. სკოლა უზრუნველყოფს კლასის დამრიგებლების, ადმინისტრაციისა და შესაბამისი სპეციალისტების კოორდინირებულ მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვზე ძალადობის, უგულებელყოფის ან არასათანადო მოპყრობის ეჭვის/ფაქტის იდენტიფიცირებას. სკოლას გაწერილი აქვს მოქმედების კონკრეტული სქემა, რაც მოიცავს როგორც შიდა სასკოლო მხარდაჭერას, ისე კანონმდებლობით დადგენილი წესით რეფერირებას (სოციალურ სამსახურთან, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური კონსულტაციის ცენტრთან და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და მონიტორინგის მყარი, ორგანიზებული სისტემა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმები მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- დასუფთავებისა და დამუშავების რეგულაციები: დებულებით მკაცრად არის გაწერილი სკოლის შენობისა და ტერიტორიის ყოველდღიური და პერიოდული დასუფთავების პროცედურები. ეს მოიცავს: სასწავლო ოთახების, დერეფნებისა და სველი წერტილების სველ წესით დამუშავებას, ნაგვის ურნების სისტემატურ დაცლას, მათ რეცხვა-დეზინფექციასა და გატანას, ასევე ფანჯრების, მინის ზედაპირებისა და ფასადის წმენდას.
- დეზინფექცია და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოება: გათვალისწინებულია მიკრობების, მწერებისა და მღრღნელების საწინააღმდეგო სპეციალური ღონისძიებები - დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია, რაც დაავადებების გავრცელების პრევენციის აუცილებელი წინაპირობაა.
- რესურსების კონტროლი: განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასმელი წყლის ხარისხის, კვების ობიექტებისა (არსებობის შემთხვევაში) და საერთო მოხმარების სივრცეების უსაფრთხოების კონტროლს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.
- შიდა მონიტორინგის მექანიზმი: სკოლის ტერიტორიის დასუფთავების ხარისხის კონტროლი ხორციელდება სისტემატურად - კვირაში არანაკლებ 3-ჯერ. მონიტორინგის განხორციელება ფიქსირდება სპეციალურ ცხრილში ხელმოწერით, ხოლო პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი.
- ჰიგიენური განათლება: სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ დასუფთავებაზე, არამედ მოსწავლეებში ჰიგიენური უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რაც მოიცავს პირადი ჰიგიენის, ხელების დაბანისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში დირექტორის ბრძანებით (N01-02/20, 09.09.2025) დამტკიცებულია და მოქმედებს წესი „პერსონალური მონაცემების დაცვა''. აღნიშნული სამართლებრივი აქტი სრულად აწესრიგებს სკოლის მართვისა და სასწავლო პროცესში ჩართული პირების მონაცემთა უსაფრთხო დამუშავების, შენახვისა და კონფიდენციალურობის მექანიზმებს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- სკოლა აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას, როგორც მონაცემთა დამუშავებელი, და სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად ახდენს მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების როგორც ჩვეულებრივი, ისე განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებას დიდი ოდენობით;
- წესის მიხედვით, თითოეული თანამშრომელი მკაცრად არის შეზღუდული - მას უფლება აქვს, დაამუშაოს მხოლოდ ის მონაცემი, რომელიც პირდაპირ სჭირდება მისი მოვალეობის შესასრულებლად. აკრძალულია მონაცემთა გამოყენება პირადი, არასამსახურებრივი მიზნებისთვის;
- ელექტრონულ რესურსებთან და ბაზებთან მუშაობისთვის დადგენილია მკაცრი რეგულაციები: წვდომა ხორციელდება მხოლოდ პერსონალური, ინდივიდუალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით; იკრძალება პაროლების მესამე პირებისთვის გაზიარება ან საჯაროდ ჩანიშვნა/დატოვება; დანერგილია ციფრული უსაფრთხოების მექანიზმი, რაც ავალდებულებს პერსონალს, განახორციელოს პაროლების პერიოდული ცვლილება - თვეში ერთხელ; მოთხოვნილია რთული კონფიგურაციის პაროლების გამოყენება;
- მკაცრად იკრძალება მონაცემთა უყურადღებოდ დატოვება ან არაუფლებამოსილი პირების თანდასწრებით მათი განხილვა, რაც მინიმუმამდე ამცირებს ინფორმაციის გაჟონვის რისკებს.

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რესურსცენტრის ბაზაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულების“ შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემური მიდგომა. დებულების მე-10 მუხლი (ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები) დეტალურად არეგულირებს სკოლაში არსებული მატერიალური და ელექტრონული ინფორმაციის უსაფრთხოებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაცვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ინფორმაციული უსაფრთხოების ორგანიზება: სკოლაში არსებული ინფორმაცია დაცულია როგორც გარე საფრთხეებისგან (კიბერშეტევები, არაუფლებამოსილი წვდომა), ისე შიდა ორგანიზაციული ხარვეზებისგან. დადგენილია ინფორმაციაზე წვდომის მკაცრი იერარქია და დიფერენცირება;
- ციფრული და ელექტრონული ბაზების დაცვა: საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ ელექტრონულ სისტემებთან მუშაობისთვის დანერგილია უსაფრთხოების ტექნიკური გარანტიები: წვდომა დაშვებულია მხოლოდ პერსონალური, ავტორიზებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით. მოქმედებს კიბერჰიგიენის წესი, რაც ავალდებულებს თანამშრომლებს, გამოიყენონ რთული კონფიგურაციის პაროლები და განაახლონ ისინი პერიოდულად (თვეში ერთხელ). მკაცრად კონტროლდება კომპიუტერული ტექნიკის უყურადღებოდ დატოვება ღია ბაზებით/სისტემებით;
- მატერიალური (ქაღალდის) დოკუმენტაციის დაცვა: საქმისწარმოების პროცესში არსებული ოფიციალური დოკუმენტები, ჟურნალები, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვა სენსიტიური მატერიალური ინფორმაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში (არქივში/კარადებში), სადაც წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს (დირექცია, საქმისმწარმოებელი);
- კონფიდენციალურობის გარანტიები: სკოლის თანამშრომლებს აქვთ მკაფიოდ გააზრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულება.

ამრიგად, უსაფრთხოების პოლიტიკა თანაბრად ფარავს, როგორც ციფრულ (eSchool, ელექტრონული ჟურნალი, შიდა ქსელები), ისე მატერიალურ-ფიზიკურ მატარებლებზე არსებულ ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია უსაფრთხოების მექანიზმების არა მხოლოდ იმპლემენტაციის, არამედ მათი მუდმივი გადახედვის, შეფასებისა და განვითარების ციკლი. სკოლის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკა უსაფრთხოების სისტემის პერიოდული შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მონიტორინგის დინამიკა და პასუხისმგებლობა: სკოლის შიდა გარემოს, ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების პროცესების მართვის მიზნით, დებულებით განსაზღვრულია კონტროლის მუდმივი მექანიზმები. მაგალითად, სკოლის ტერიტორიის დასუფთავებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება კვირაში არანაკლებ 3-ჯერ, რაზეც პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი. აღნიშნული შემოწმებები ფიქსირდება სპეციალურ სააღრიცხვო ცხრილებში ხელმოწერით, რაც ქმნის შეფასების მატერიალურ საფუძველს;
- ინციდენტებისა და მიმართვიანობის ანალიზი: სკოლის სამედიცინო მომსახურების წესისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულების თანახმად, ხდება ყველა სახის მიმართვის, დაზიანების, წესრიგის დარღვევისა თუ ინციდენტის მკაცრი აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალებსა და სააღრიცხვო ფორმებში. სამედიცინო და უსაფრთხოების პერსონალს ევალებათ წლის განმავლობაში დაგროვილი ამ მონაცემების სისტემატიზაცია და ანალიზი;
- შეფასების შედეგების ტრანსფორმაცია გაუმჯობესების მექანიზმებში: მონიტორინგის, შიდა შეფასებებისა და გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე, პასუხისმგებელი პირები ამზადებენ ანგარიშებსა და კონკრეტულ რეკომენდაციებს სკოლის ხელმძღვანელობისთვის. სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნულ ანალიზს იყენებს მომავალი სასწავლო წლის სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების კორექტირებისთვის, მატერიალური რესურსების მიზნობრივი განაწილებისა და უსაფრთხოების შიდა წესების დახვეწისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, სკოლამ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასების პროცესში (მაგალითად, წლიური კითხვარების ან ფოკუს-ჯგუფების სახით) უფრო აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებიც - მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. მათი უკუკავშირი დაეხმარება სკოლას, დაინახოს უსაფრთხოების გარემო მომხმარებლის პერსპექტივიდან და კიდევ უფრო ზუსტად დაგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის ბრძანება №01-02/09 საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;*
- *საგანგებო მართვის გეგმა, შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;*

- *მიმართვა (განცხადება) სახანძრო უსაფრთხოების დადგენის შესახებ;*
- *ექსპერტის დასკვნა №002605126 შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;*
- *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი — დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N 0-02/29 ბრძანებით;*
- *სამედიცინო და სანიტარული ჰიგიენური ნორმების დაცვისა და დახმარების აღმოჩენის წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N 01-02/35-07 ბრძანებით.*
- *სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა (კონფიდენციალური ჟურნალი/დანართი N1.1);*
- *უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება (დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის N 01-02/08 ბრძანება);*
- *უსაფრთხოების სამსახურის დებულება (დანართი I), სკოლის ტერიტორიაზე წესრიგის კონტროლის, შესვლა-გამოსვლისა და რეაგირების მექანიზმები;*
- *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ ბრძანება (დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის N 01-02/07 ბრძანება);*
- *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება (დანართი N1), ფსიქო-ემოციური გარემოს, ბულინგის პრევენციის, ბავშვთა დაცვის რეფერირების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტი;*
- *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, პრევენციული ღონისძიებების, დეზინფექცია-დერატიზაციისა და წყლის/კვების კონტროლის მარეგულირებელი ჩარჩო-დოკუმენტი;*
- *სკოლის ტერიტორიის დასუფთავების მონიტორინგის სააღრიცხვო ცხრილი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ საზედამხედველო კონტროლის ფორმა);*
- *პერსონალური მონაცემების დაცვის წესი (დანართი 6), დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/20 ბრძანებით (ინფორმაციული უსაფრთხოება, ავტორიზებული წვდომები და პაროლების განახლების სისტემა).*
- *შენობის ვიზუალური დათვალიერება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლას გააჩნია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა. სკოლის შენობა და მიმდებარე ინფრასტრუქტურა მორგებულია დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას და ორიენტირებულია უსაფრთხო, ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შენარჩუნებაზე ავტორიზაციის მინიმუმ 9-წლიანი ვადით.

სკოლის ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსების მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით: სკოლას მფლობელობაში/სარგებლობაში გააჩნია შესაბამისი ფართი, სადაც მოწყობილია სასწავლო კაბინეტები. საკლასო ოთახების მოცულობა, განათება (ბუნებრივი და ხელოვნური) და ვენტილაცია შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. თითოეული კლასი აღჭურვილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი მერხებით, სკამებითა და დაფებით; სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სათანადოდ მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების ინვენტარით. ასევე, გამოყოფილია სივრცე უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირებისთვის; სკოლას ჰყავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ინფრასტრუქტურის პერიოდულ მონიტორინგს, უზრუნველყოფს დაზიანებული ქონების დროულ აღრიცხვას, შეკეთებას ან ჩანაცვლებას, რაც გარანტიას ქმნის რესურსის გრძელვადიანი და მდგრადი გამოყენებისთვის.

ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ინვენტარის ვრცელი ნუსხა (კოლბები, შტატივები, ლაკმუსის/PH ქაღალდები, მაგნიტური სარეველები, თერმომეტრები, მიკროსკოპის სასაგნე მინები და სხვ.) ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო რესურსი.

დირექტორის ბრძანება N 01-02/38 ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების (და ზოგადად ქონების) ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ და დროებითი კომისიის შექმნა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში მატერიალური რესურსების აღრიცხვა, გადამოწმება და მოვლა-პატრონობა მიმდინარეობს სისტემურად, კანონმდებლობის (ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანების) სრული დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ორგანიზებული და სამართლებრივად დარეგულირებულია სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხი სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის (მოსწავლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მშობლები).

სკოლის შენობაში არსებული საერთო სივრცეები - დერეფნები, სველი წერტილები, სამედიცინო კაბინეტი და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა - ფუნქციონირებს გამართულად და ღიაა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სასწავლო პროცესისა და სასკოლო დროის განმავლობაში. ინფრასტრუქტურით სარგებლობა მჭიდრო კავშირშია უსაფრთხოების მკაცრ კონტროლთან. უსაფრთხოების სამსახური „უსაფრთხოების სამსახურის დებულების“ საფუძველზე აკონტროლებს შენობისა და ტერიტორიის შესვლა-გამოსვლას. ეს მექანიზმი იცავს სასკოლო საზოგადოების წევრებს გარეშე პირთა არასანქცირებული შემოჭრისგან და უზრუნველყოფს, რომ მატერიალური რესურსი მოხმარდეს უშუალოდ მოსწავლეებისა და პერსონალის ინტერესებს. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, თვალსაჩინოებები) ხელმისაწვდომია საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობების ეფექტურად წარმართვისთვის. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი სისტემატურად ამოწმებს ამ რესურსების გამართულობას, რაც განაპირობებს მათ უსაფრთხო და მუდმივ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია და გამართულად ფუნქციონირებს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების სისტემა. სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/35-02 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი (დებულება)“, რომელიც დეტალურად არეგულირებს ბიბლიოთეკის მუშაობის რეჟიმს, წიგნადი ფონდის აღრიცხვასა და მკითხველთა მომსახურების პირობებს.

დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე, საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით: ბიბლიოთეკა წარმოადგენს სპეციალურად ორგანიზებულ საგანმანათლებლო სივრცეს, სადაც განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე, მხატვრული, მეთოდური და შემეცნებითი ლიტერატურა, აგრეთვე ელექტრონული რესურსები. სივრცე ორიენტირებულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.

დებულებით მკაფიოდ არის განსაზღვრული მკითხველის უფლება-მოვალეობები. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ როგორც სამკითხველო დარბაზით (ადგილზე მუშაობა), ისე წიგნების ბინაზე გატანის სერვისით. გაწერილია ლიტერატურის დაბრუნების ვადები, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში რესურსის იდენტური წიგნით ჩანაცვლებისა და ფონდის გაფრთხილების მკაცრი მოთხოვნები.

ბიბლიოთეკაში დაცულ თითოეულ ერთეულს ენიჭება ინდივიდუალური საინვენტარო ნომერი, ინდექსი და ესმება სკოლის ბეჭედი, რაც უზრუნველყოფს მატერიალური ფასეულობების დაცვას, სისტემატიზაციასა და მკითხველთა მიმართვების ზუსტ რეგისტრაციას.

ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობას არ აქვს საბიბლიოთეკო სივრცე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ:

ინდიკატორი N3.5.1.3 (საბიბლიოთეკო სერვისები): ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობაში არ იყო უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო სივრცე. ნაკანაფევის ხის შენობაში უნდა მოეწყოს ფუნქციური საბიბლიოთეკო სივრცე მოსწავლეთათვის არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა. ***სკოლას შეეცვალა შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით.***

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით ფიქსირდება გარკვეული ინფრასტრუქტურული გამოწვევები და შეზღუდვები. კერძოდ, **სკოლის ძირითადი შენობა არის ორსართულიანი. პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელ შიდა კიბეზე არ არის მოწყობილი პანდუსი, პლატფორმა ან ლიფტი. აღნიშნული მოცემულობა მნიშვნელოვნად ზღუდავს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევის მქონე (ეტლით მოსარგებლე ან მობილობის სირთულის მქონე) სასკოლო საზოგადოების წევრების დამოუკიდებელ გადაადგილებას შენობის მეორე სართულზე. ნაკანაფევის ხის შენობა არის ერთსართულიანი. შესასვლელი მისასვლელი გზის დონისაა და ერთგვაროვანია. გადაადგილება (მაგალითად, ეტლით) შესაძლებელია დაუბრკოლებლად.**

სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია სპეციალიზებული რესურსოთახი (არც ძირითად შენობაში და არც ნაკანაფევის ხის შენობაში), რომელიც აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან ინდივიდუალური, მულტიდისციპლინური ან განმავითარებელი მეცადინეობების ჩასატარებლად შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიებისა და თერაპიული რესურსების გამოყენებით.

სკოლის მიერ თვითშეფასებაში მითითებულია და ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღინიშნა მზაობა (ცენტრალურ კორპუსში საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესის სრულად პირველ სართულზე გადმოტანის ან მობილური ჯგუფების შექმნის შესახებ), თუმცა აღნიშნული ვერ იქნება მიჩნეული კომპენსაციად, რადგან მეორე სართულზეა განთავსებული ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერების ლაბორატორიები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ: ინდიკატორი N3.5.1.4: ძირითად შენობაში სართულებს შორის გადაადგილება არ იყო ადაპტირებული; არ არსებობდა სპეციალიზებული რესურსოთახები და ნაკანაფევის ხის შენობას არ გააჩნდა ადაპტირებული საპირფარეშო.

1. სკოლამ ძირითადი შენობის პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელ შიდა კიბეზე უნდა მოაწყოს პანდუსი, პლატფორმა ან ლიფტი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევის მქონე სასკოლო საზოგადოების წევრების დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის.
2. სკოლამ უნდა მოაწყოს სპეციალიზებული რესურსოთახი ძირითად შენობასა და ნაკანაფევის ხის შენობაში, რომელიც აუცილებელია სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური, მულტიდისციპლინური ან განმავითარებელი მეცადინეობების ჩასატარებლად.
3. სკოლამ ნაკანაფევის ხის შენობა უნდა უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოთი.
წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, თითოეული პუნქტი შესრულდება არა უგვიანეს 2028 წლის 1 ივლისისა.
სკოლას შეეცვალა შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლას გააჩნია გარკვეული რესურსები, რომლებიც გამოიყენება სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის კულტურულ, შემოქმედებით და სოციალურ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.

სკოლის ინფრასტრუქტურული მზაობა სოციო-კულტურული მიმართულებით ხასიათდება შემდეგი ასპექტებით: სკოლაში ფუნქციონირებს სათანადოდ ორგანიზებული ბიბლიოთეკა, რომელიც დამტკიცებული დებულების მიხედვით განსაზღვრულია, როგორც სივრცე მოსწავლეთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა განვითარების, კვლევითი და შემოქმედებითი უნარების ხელშეწყობისთვის. ბიბლიოთეკა აერთიანებს ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებს და ღიაა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის შენობასა და გარე პერიმეტრზე არსებული საერთო სივრცეები (დერეფნები, ეზო) პერიოდულად გამოიყენება სხვადასხვა სოციალური, შემეცნებითი და საინფორმაციო აქტივობებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, სკოლამ მოაწყოს სააქტო დარბაზი, რადგან სააქტო დარბაზის არარსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს სკოლის ინფრასტრუქტურულ პოტენციალს, სრულფასოვნად და უწყვეტად შეასრულოს სოციო-კულტურული ცენტრის როლი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში ან მასშტაბური სათემო შეხვედრების დროს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ინვენტარის ნუსხა;*
- *დირექტორის ბრძანება ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ (ბრძანება N 01-02/38, 16.12.2025), მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისა და დროებითი კომისიის შექმნის სამართლებრივი აქტი;*
- *დირექტორის ბრძანება საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 01-02/36, 14.11.2025) — საქმისწარმოებისა და დოკუმენტაციის მართვის მარეგულირებელი აქტი;*
- *სკოლის საქმეთა ნომენკლატურა (2026 წლისთვის), მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტების კლასიფიკაციის, შენახვის ვადებისა და არქივის წარმოების სისტემური დოკუმენტი;*
- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი (დებულება), დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-02/35-02 (2025 წლის 9 სექტემბერი), რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებისა და ფონდის დაცვის წესებს;*
- *შენობის ვიზუალური დათვალიერება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის მართვა და ციფრული ეკოსისტემის განვითარება მიმდინარეობს სისტემურად, სტრატეგიული ხედვის საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიური პოლიტიკა ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ტექნოლოგიური ადაპტაცია და განვითარება: ციფრული განვითარების გეგმა ორიენტირებულია სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენასა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე მორგებაზე. სკოლა ახორციელებს პროცესების მოდერნიზებას როგორც პირისპირ, ისე ონლაინ რეჟიმში.
- კიბერუსაფრთხოება და ციფრული ჰიგიენა: გეგმაში ცენტრალური ადგილი უჭირავს კიბერუსაფრთხოების კულტურის ამაღლებას. დაწესებულია სპეციალური „კიბერუსაფრთხოების საინფორმაციო დღე“. ტარდება ასაკობრივი საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებისთვის თემაზე: „კიბერუსაფრთხოება და პრევენცია“.
- პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების ციფრული კომპეტენციები: IT ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის სკოლა გეგმავს და ახორციელებს მრავალმხრივ საგანმანათლებლო აქტივობებს: მასწავლებელთა ჯგუფებთან ტარდება საინფორმაციო-სამუშაო შეხვედრები და ტრენინგ-სემინარები; სადამრიგებლო პროგრამებში ინტეგრირებულია ციფრული წიგნიერების თემატიკა; ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა უსაფრთხო ნავიგაცია ციფრულ სამყაროში.
- ტექნოლოგიების ინტეგრაცია კურიკულუმში: კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე მოსწავლეები აქტიურად ქმნიან საინფორმაციო ციფრულ პროდუქტებს (პრეზენტაციები, ფლაერები, ბუკლეტები, პოსტერები). ასევე, ტექნოლოგიების გამოყენების წასახალისებლად, სკოლა პერიოდულად ატარებს სლოგანებისა და ბლოგების კონკურსებს.
- ადმინისტრაციული და საქმისწარმოების პროცესები: „საქმეთა ნომენკლატურისა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის“ მიხედვით (რომლებიც წინა მიჯნებზე იქნა განხილული), სკოლის IT ინფრასტრუქტურა სრულად

უზრუნველყოფს EMIS-ის (eSchool, ელექტრონული ჟურნალი) და შიდა ადმინისტრაციული ბაზების გამართულ მუშაობას ავტორიზებული, ინდივიდუალური წვდომების (პაროლების თვეში ერთხელ განახლების) პრინციპით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და მათი ექსპლუატაცია რეგულირდება სპეციალურად დადგენილი წესების მიხედვით. ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ორგანიზაციული ჩარჩო მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესში: „ციფრული განვითარების გეგმის“ მიხედვით, კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ წვდომა ტექნიკასთან, რის საფუძველზეც კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე პრაქტიკულად ამზადებენ საინფორმაციო ციფრულ პროდუქტებს (პრეზენტაციები, ფლაერები, ბუკლეტები, პოსტერები და სხვ.).
- ხელმისაწვდომობა პერსონალისთვის: სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას აქვთ სრული სამსახურებრივი წვდომა კომპიუტერულ ინფრასტრუქტურასთან, შიდა ქსელებთან და სახელმწიფო საგანმანათლებლო ელექტრონულ ბაზებთან (EMIS, eSchool, ელექტრონული ჟურნალი), რაც აუცილებელია სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელი მართვისთვის.
- გამოყენების რეგლამენტირებული წესი და უსაფრთხოება: ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასთან ხელმისაწვდომობა არ არის ქაოტური და მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს: პერსონალისთვის წვდომა დაშვებულია მხოლოდ ინდივიდუალური, მათზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით.
- მოქმედებს კიბერჰიგიენის წესი, რომელიც კრძალავს პაროლების მესამე პირებისთვის გაზიარებას და ავალდებულებს პერსონალს, განახორციელოს მათი ცვლილება თვეში ერთხელ.
- ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა კომპეტენციების განვითარებით: რესურსების ეფექტური ათვისების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებულობას. ტარდება ტრენინგ-სემინარები მასწავლებლებისთვის, საინფორმაციო დღეები კიბერუსაფრთხოებაზე მოსწავლეებისთვის და საინფორმაციო

შეხვედრები მშობლებთან, რაც ციფრულ გარემოში უსაფრთხო ნავიგაციასა და ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის ბრძანება ციფრული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 02/04-01, 2026 წლის 8 აპრილი);*
- *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;*
- *პერსონალური მონაცემების დაცვის წესი (დამტკიცებული ბრძანებით N01-02/20, 09.09.2025).*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია და მოქმედებს საქმისწარმოების გამართული, სამართლებრივად დარეგულირებული სისტემა. აღნიშნული წესი სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის და სრულად განსაზღვრავს დოკუმენტებზე, მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის ორგანიზაციულ სქემას.
სკოლის საქმისწარმოების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- დოკუმენტაციის ბრუნვის მართვა: განსაზღვრულია კორესპონდენციის მიღების, რეგისტრაციის, ადრესატამდე (დირექციამდე/კონკრეტულ შემსრულებლამდე) დაყვანისა და პასუხის გაგზავნის მკაფიო ეტაპები.
- ინფორმაციის დაცვა და კონფიდენციალურობა: დებულება აწესებს მკაცრ მოთხოვნას — სამსახურებრივი დოკუმენტები მათი მომზადების პროცესში კონფიდენციალურია. თანამშრომლებს ინდივიდუალურად ეკისრებათ პასუხისმგებლობა

დოკუმენტების მოვლისა და მასში ასახული ინფორმაციის დაცვისათვის. დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში, მოქმედებს საქმისმწარმოებლისა და დირექტორის დაუყოვნებლივი ინფორმირების წესი.

- ელექტრონული და დისტანციური საქმისწარმოება: დებულებაში ცალკე მუხლი ეთმობა სრულად დისტანციური სწავლების/მუშაობის დროს საქმისწარმოების პროცესს. წესრიგდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (nergebib@gmail.com) გამოყენების პირობები: ელექტრონულად შემოსული კორესპონდენციის ჩამოტვირთვა და რეგისტრაცია „შემოსული კორესპონდენციების სააღრიცხვო ჟურნალში“; მოქალაქეთა განცხადებების სავალდებულო იდენტიფიცირება (ხელმოწერილი/დასკანერებული სახით და პირადობის/პასპორტის ასლის თანდართვით), რაც გამორიცხავს ანონიმური და დაუდასტურებელი წერილების წარმოებაში მიღებას.
- სისტემური კლასიფიკაცია (არქივი): სკოლის „საქმეთა ნომენკლატურის“ (რომელიც წინა მიჯნაზე იქნა განხილული) მიხედვით, ყველა დოკუმენტი და ბრძანება კატეგორიზებულია შენახვის ვადების (მუდმივი, ხანგრძლივი, დროებითი) მიხედვით, რაც პასუხობს ეროვნული არქივისა და საქმისწარმოების ერთიან სახელმწიფო სტანდარტებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მართვასა და ადმინისტრირებაში აქტიურად და სისტემურად გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

სკოლის მართვის ციფრული და ტექნოლოგიური პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს: სკოლა ოფიციალურად იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ მოწოდებულ ბაზებსა და პროგრამებს (მათ შორის eSchool-სა და ელექტრონულ ჟურნალს). გარდა ამისა, „ერთიანი საქმისწარმოების დებულებით“ ოფიციალურად არის რეგლამენტირებული სრულად დისტანციური/ელექტრონული საქმისწარმოების პროცესი სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (nenia@mes.gov.ge) ბაზაზე; გაწერილია ელექტრონული ფოსტით დოკუმენტების მიღების, ჩამოტვირთვისა და მათი სპეციალურ „შემოსული კორესპონდენციების სააღრიცხვო ჟურნალში“ სავალდებულო რეგისტრაციის მექანიზმები. მოქალაქეთა ელექტრონული განცხადებების წარმოებაში მისაღებად დანერგილია მკაფიო ფილტრები (დასკანერებული ხელმოწერილი ფორმა და პირადობის მოწმობის ასლის თანდართვა), რაც უზრუნველყოფს სამართლებრივ უსაფრთხოებას; ელექტრონულ სისტემებთან მუშაობისას მოქმედებს კიბერჰიგიენის მაღალი სტანდარტი. წვდომა დაშვებულია მხოლოდ პერსონალური, განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და რთული კონფიგურაციის პაროლით, რომლის

განახლებაც პერსონალს ევალება თვეში ერთხელ; სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ციფრული განვითარების გეგმა“, რომელიც ორიენტირებულია მართვისა და სასწავლო პროცესების მუდმივ მოდერნიზებაზე, კიბერუსაფრთხოების კულტურის ამაღლებასა და პერსონალის ციფრული კომპეტენციების განვითარებაზე ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია დაწესებულების სრულყოფილი პროფილის წარმოება და მუდმივი განახლება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS ბაზები, eSchool, ელექტრონული ჟურნალი). საინფორმაციო სისტემაში (eSchool) დროულად და ზედმიწევნითაა შეტანილი ყველა საჭირო ბაზისური მონაცემი. ეს მოიცავს: ინფორმაციას სკოლის იურიდიული სტატუსის, მოსწავლეთა საერთო კონტინგენტის, ადამიანური რესურსების (პედაგოგთა და ადმინისტრაციული პერსონალის სტატუსები/საათობრივი დატვირთვა), მატერიალური ბაზის შესახებ.

„ციფრული განვითარების გეგმის“ მიხედვით, სკოლის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს საინფორმაციო სისტემის გამართული მუშაობის მოთხოვნებს. პერსონალი აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმებს როგორც სასწავლო პროცესის დასაგეგმავად (ელექტრონული ჟურნალი, ნიშნები, დასწრება), ისე სკოლის მართვისა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად.

პროფილის წარმოება და მონაცემთა შეტანა-ცვლილება ხორციელდება მკაცრად რეგლამენტირებული წესით, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ დანართი 6-ის შესაბამისად. სისტემაში შესვლა დაშვებულია მხოლოდ პერსონალური, მასწავლებლებზე/ადმინისტრაციაზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით, რომელთა განახლებაც სავალდებულოა თვეში ერთხელ. ეს გამორიცხავს ბაზებში ინფორმაციის არასანქცირებულ მოდიფიკაციას და უზრუნველყოფს პროფილის სიზუსტეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მარეგულირებელ და სახელმწიფო უწყებებთან (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რესურსცენტრი და სხვ.) თანამშრომლობისა და ანგარიშგების მყარი ინსტიტუციური სისტემა.

სკოლის მიერ გარე უწყებებთან ინფორმაციის დროული მიმოცვლისა და პარტნიორობის მექანიზმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ოფიციალური კორესპონდენციის რეგლამენტირება: „ერთიანი საქმისწარმოების დებულების“ მიხედვით, სკოლაში მოქმედებს ზემდგომი და მარეგულირებელი ორგანოებიდან შემოსული წერილების, ბრძანებებისა და მოთხოვნების მიღების, დაუყოვნებლივი რეგისტრაციისა და ადრესატამდე (დირექტორი/შემსრულებელი) მიტანის მკაფიო ვადები. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ უწყებებიდან მიღებულ დავალებებზე რეაგირება და საპასუხო ინფორმაციის მომზადება მოხდეს დროულად.
- ინფორმაციის სტრუქტურირებული დაარქივება: სკოლის „საქმეთა ნომენკლატურაში“ (ინდექსი 01 - კანცელარია) სპეციალურ ერთეულებად არის გამოყოფილი „ზემდგომი ორგანოების ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები - შემოსული სახელმძღვანელოდ“ (საქმე 01-01) და „სკოლის საქმიანობის ამსახველი ბრძანებები“ (საქმე 01-02), რომლებიც ინახება მუდმივად. ეს ადასტურებს მარეგულირებელ ჩარჩოებთან სკოლის მუშაობის სამართლებრივ უწყვეტობას.
- ელექტრონული ანგარიშგება და არხები: სკოლა ოფიციალურად იყენებს საინფორმაციო სისტემებს (EMIS, eSchool) მარეგულირებელი უწყებებისთვის სტატისტიკური მონაცემების, მოსწავლეთა კონტინგენტისა და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაციის მუდმივი და დროული მიწოდებისთვის. ფორსმაჟორულ ან დისტანციურ რეჟიმში ოპერატიული კავშირისთვის დებულებით ოფიციალურ სამუშაო ინსტრუმენტადაა აღიარებული სკოლის ელექტრონული ფოსტა (nenia@mes.gov.ge).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ერთიანი საქმისწარმოების დებულება (წესი), დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N 01-02/35-05 ბრძანებით;*
- *შემოსული კორესპონდენციების სააღრიცხვო ჟურნალის სტრუქტურა და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის გამოყენების წესი;*
- *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა (დანართი N1), დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის N 02/04-01 ბრძანებით;*
- *პერსონალური მონაცემების დაცვის წესი (დანართი 6), დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/20 ბრძანებით.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი კომუნიკაციისა და გარე/შიდა ინფორმირების მრავალარხიანი, ორგანიზებული სისტემა.

საქმისწარმოების დებულებით ოფიციალურად არის აღიარებული და რეგლამენტირებული სკოლის ელექტრონული ფოსტა, როგორც გარე სამყაროსთან, მშობლებთან და მოქალაქეებთან ოპერატიული კავშირის, განცხადებების მიღებისა და ოფიციალური უკუკავშირის არხი. სკოლა საინფორმაციო მიზნებისთვის ასევე იყენებს სოციალურ ქსელებს (მაგალითად, ოფიციალურ Facebook გვერდს) და სხვა ციფრულ პლატფორმებს, სადაც პერიოდულად აშუქებს სასკოლო ცხოვრებას, მიღწევებსა და სიახლეებს.

„ციფრული განვითარების გეგმის“ მიხედვით, სკოლა აქტიურად იყენებს საინფორმაციო არხებსა და შეხვედრებს თემთან კომუნიკაციისთვის. კერძოდ, გეგმით გათვალისწინებულია საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან მოსწავლეთა ციფრული

უსაფრთხოებისა და ნავიგაციის საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს ორმხრივ უკუკავშირს სკოლასა და ოჯახს შორის. საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეების (მასწავლებლები, მოსწავლეები) ინფორმირება მიმდინარეობს როგორც პირისპირ სამუშაო შეხვედრებისა და საინფორმაციო დღეების (მაგ. კიბერუსაფრთხოების საინფორმაციო დღე), ისე სადამრიგებლო პროგრამებისა და ელექტრონული ჟურნალის/eSchool პლატფორმის შეტყობინებების მეშვეობით. საზოგადოების ინფორმირების პროცესში სკოლა მკაცრად იცავს „პერსონალური მონაცემების დაცვის წესს“. საჯარო საკომუნიკაციო არხებში მოსწავლეთა თუ პერსონალის შესახებ ნებისმიერი სახის სენსიტიური ინფორმაციის განთავსება კონტროლდება, რათა არ დაირღვეს კონფიდენციალურობის სტანდარტები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში მოქმედებს საინფორმაციო ნაკადების მართვის, გადამოწმებისა და ვალიდაციის მკაფიო მექანიზმები, რაც გამორიცხავს საზოგადოებაში არასანდო, გადაუმოწმებელი ან მცდარი ინფორმაციის გავრცელებას. „ერთიანი საქმისწარმოების დებულების“ თანახმად, სკოლაში ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტის, ანგარიშის თუ განცხადების მომზადება და გავრცელება ხდება მკაცრად განსაზღვრული იერარქიით. საჯარო სივრცეში თუ მარეგულირებელ უწყებებთან გასაგზავნი ინფორმაცია გადის პირველად გადამოწმებას პასუხისმგებელ პირებთან (საქმისმწარმოებელი, საგნის კათედრები, ხარისხის ჯგუფი) და საბოლოოდ დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სამართლებრივ და შინაარსობრივ სიზუსტეს.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შესახებ არსებული მონაცემები ინახება და იცვლება უშუალოდ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). ბაზებში მუშაობისას დანერგილია უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი (ინდივიდუალური წვდომები, პაროლების ყოველთვიური ცვლილება), რაც გამორიცხავს მესამე პირთა მიერ მონაცემების ფალსიფიკაციას ან უნებლიე შეცდომებს. შესაბამისად, სისტემიდან გენერირებული ნებისმიერი ანგარიში თუ სტატისტიკა არის სრულიად სანდო და ვალიდური.

სკოლის „ციფრული განვითარების გეგმა“ ითვალისწინებს საზოგადოებასთან აქტიურ ციფრულ კომუნიკაციას, თუმცა ამავდროულად, კონტროლდება საჯარო საკომუნიკაციო სივრცეებში (მაგ. სკოლის ოფიციალურ Facebook გვერდზე) განსათავსებელი კონტენტი. სკოლა ავრცელებს მხოლოდ ფაქტობრივ, დადასტურებულ სიახლეებს სასკოლო ცხოვრების, კურიკულუმების, ღონისძიებებისა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ.

კომუნიკაციისა და ინფორმირების პროცესში სკოლა ეყრდნობა „პერსონალური მონაცემების დაცვის წესს“. ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია (ფოტო, ვიდეო, აკადემიური ანგარიში) ქვეყნდება კანონმდებლობისა და ეთიკური ნორმების დაცვით, რაც იცავს სასკოლო საზოგადოების წევრებს დეზინფორმაციისა თუ სენსიტიური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციისგან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში დანერგილია საზოგადოებასთან (მშობლები, მოსწავლეები, ადგილობრივი თემი) ორმხრივი კომუნიკაციისა და მიღებული უკუკავშირის გადამუშავების სისტემა. სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალმხრივი საინფორმაციო ნაკადების მართვით, არამედ ორიენტირებულია გარედან წამოსული რეფლექსიის სასკოლო პრაქტიკაში ინტეგრირებაზე.

სკოლის „ციფრული განვითარების გეგმა“ ითვალისწინებს მიზნობრივ შეხვედრებს მშობლებთან, მასწავლებელთა ჯგუფებთან და მოსწავლეებთან. აღნიშნული პლატფორმები (ონლაინ/პირისპირ შეხვედრები, ვორქშოფები) გამოიყენება არა მხოლოდ სკოლის მიდგომების გასაცნობად, არამედ მონაწილეებისგან აზრების, შენიშვნებისა და მოლოდინების შესასწავლად.

ერთიანი საქმისწარმოების დებულების“ მიხედვით, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა და კანცელარია უზრუნველყოფს საზოგადოების წევრებისგან ოფიციალური განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების მიღებას. აღნიშნული კორესპონდენცია გადის ოფიციალურ რეგისტრაციას და მიეწოდება დირექციას რეაგირებისთვის, რაც ქმნის სამართლებრივ საფუძველს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ხმის გათვალისწინებისათვის.

სკოლის „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ და „სამედიცინო მომსახურების წესი“ ავალდებულებს პასუხისმგებელ პირებს, აწარმოონ ყოველდღიური ჟურნალები და აღრიცხვის ფორმები. მშობლებისა და მოსწავლეების მხრიდან დაფიქსირებული საჭიროებები (ჯანმრთელობის, ემოციური თუ ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით) პერიოდულად ანალიზდება და გამოიყენება შიდა გარემოს გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი კომუნიკაციისა და ინფორმირების მიზნით აქტიურად გამოიყენება ციფრული არხები.

სკოლა წარმოადგენს ქართულენოვან საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას და სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. შესაბამისად, მარეგულირებელი მოთხოვნა ინფორმაციის იმ ენაზე განთავსების შესახებ, რომელზეც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ავტომატურად ფარავს სახელმწიფო ენას. სკოლაში არსებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი, ციფრული კონტენტი, საქმისწარმოების ფორმები, საზოგადოებრივი განცხადებები და სიახლეები, რომლებიც ვრცელდება სკოლის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებსა და სოციალურ ქსელებში (მაგალითად, ოფიციალურ Facebook გვერდზე), მომზადებულია და საზოგადოებას მიეწოდება სახელმწიფო ენაზე.

სკოლის „ციფრული განვითარების გეგმა“ ორიენტირებულია ტექნოლოგიური პლატფორმების გამოყენებაზე. სკოლა იყენებს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას მოქალაქეებთან და მარეგულირებელ უწყებებთან მიმოწერისთვის. ინტერნეტსივრცეში, მათ შორის სოციალურ მედიაში, სადაც სკოლას აქვს საინფორმაციო გვერდი, კომუნიკაცია, ბლოგების, სლოგანებისა და აქტივობების გაშუქება სრულად მიმდინარეობს ქართულ ენაზე, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი თემისა და მშობლებისთვის ინფორმაციის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

წარმოდგენილი EMIS-ის ოფიციალური პორტალის ბმულისა (skolebi.emis.ge/schools/492) და სკოლის თანდართული დოკუმენტაციის (საქმისწარმოების დებულება, ციფრული განვითარების გეგმა) გადამოწმებისა და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიან ოფიციალურ პლატფორმაზე გააჩნია მოქმედი და ავტორიზებული სასკოლო გვერდი.

აღნიშნულ ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე და დამატებით საკომუნიკაციო არხებში განთავსებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პორტალზე იდენტიფიცირებულია სკოლის ძირითადი სამართლებრივი და საკონტაქტო რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა). თუმცა, ისეთი ფუნდამენტური ორიენტირები, როგორიცაა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და შიდაორგანიზაციული სტრუქტურა, მოცემულ ელექტრონულ სივრცეში ფრაგმენტულად ან საერთოდ არ არის გამოტანილი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატში.

გვერდზე მითითებულია სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო საფეხურები/პროგრამები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). მიუხედავად ამისა, დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის (საბაზო ან საშუალო განათლების ატესტატი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებისა (შეფასების სისტემა, გაცდენების ლიმიტი) და გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, გვერდზე სრულყოფილად არ არის ატვირთული და გაწერილი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ: ინდიკატორი N3.6.3.5 (ვებგვერდის საინფორმაციო სრულყოფა): სკოლის ვებგვერდზე სრულყოფილად არ იყო ასახული ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, ჩარიცხვის პროცედურებისა და შეფასების სისტემის შესახებ. წარმოდგენილი გეგმის თანახმად, სკოლამ ვებგვერდზე უნდა ასახოს დეტალური ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის (საბაზო ან საშუალო განათლების ატესტატი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებისა (შეფასების

სისტემა, გაცდენების ლიმიტი) და გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმების შესახებ არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა. ***სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.***

რჩევა: *სასურველია, პლატფორმაზე აისახოს საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესები და მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის შიდასასკოლო მექანიზმები ფართო საზოგადოებისთვის პროაქტიულად ხელმისაწვდომი არ არის.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ოფიციალური ელექტრონული გვერდი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) პორტალზე: skolebi.emis.ge/schools/492;*
- *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 02/04-01, 08.04.2026);*
- *სკოლის ერთიანი საქმისწარმოების დებულება (წესი) (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 01-02/35-05, 09.09.2025).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა, ბიუჯეტირება და მიზნობრივი განაწილება ხორციელდება სისტემურად, რაც სრულად უზრუნველყოფს წლიური სამოქმედო გეგმის რეალიზებას. 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის (განაცხადის) მიხედვით, სკოლის მთლიანი ასიგნებები შეადგენს 645,000 ლარს, რაც 2025 წლის დაზუსტებულ გეგმასთან (584,000 ლარი) შედარებით გაზრდილია 61,000 ლარით. ეს ზრდა სკოლას აძლევს დამატებით ფინანსურ პლატფორმას ახალი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მთლიანი ასიგნებებიდან ხარჯები შეადგენს 625,000 ლარს, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე (25 შტატიანი და 7 შტატგარეშე თანამშრომელი) მიმართულია 511,000 ლარი. აღნიშნული თანხა სრულად ფარავს ადამიანური რესურსის მდგრადობას.
სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტისა (ოქმი N-02-02/06) და 2026 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად, პირდაპირაა დაფინანსებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური აქტივობები:
საოფისე ტექნიკა, კომპიუტერული მოწყობილობები და ქსელები (CPV 30200000, 32400000) - დაგეგმილია 2,702 ლარის შესყიდვა (რაც დასტურდება შპს „საბატასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით ციფრული ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად);
საოფისე მანქანა-დანადგარები და ავეჯი — 3,000 ლარი;
მიმდინარე სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და კაპიტალური შეკეთება (CPV 45300000, 45453000) - ჯამში 14,000 ლარი, რაც პასუხობს სკოლის მიზნებს ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ნაწილში;
წიგნადი ფონდის განახლება (CPV 22100000) - 500 ლარი, რაც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების განვითარებას.
ორგანიზაციის ბალანსის მიხედვით, წლის ბოლოს ბანკის მიმდინარე ანგარიშზე ფიქსირდება თავისუფალი ნაშთის ზრდა 108,936 ლარამდე (წლის დასაწყისში არსებული 49,383 ლარიდან), რაც მიუთითებს სკოლის მაღალ ლიკვიდურობაზე, დადებით ფინანსურ ნაშთსა და ფორსმაჟორული თუ გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვის რეალურ გარანტიაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ფინანსების მართვა მოიცავს სრულ ციკლს: პროგნოზირება/დაგეგმვა (ბიუჯეტის განაცხადი), დამტკიცება (სამეურვეო საბჭო), ოპერირება (შესყიდვების გეგმა), მონიტორინგი (საინვენტარიზაციო კომისია), რეფლექსია/ანგარიშგება (ფინანსური ბალანსი). ფინანსური ოპერაციები და მონიტორინგის პროცედურები ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას („ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი, ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანება), რაც გამორიცხავს ფინანსურ ხარვეზებს. თავისუფალი ნაშთის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მართვის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის დაცულობას ფინანსური რისკებისგან და ქმნის გარანტიას სამოქმედო გეგმების უწყვეტი დაფინანსებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტის განაცხადი/პროექტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N-02-02/06 (15.12.2025);
- სკოლის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა (ბრძანება N 01-02/37);
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N05-10/07 და მიღება-ჩაბარების აქტები;
- დირექტორის ბრძანება დროებითი საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ (ბრძანება N 01-02/38, 16.12.2025);
- ორგანიზაციის ბალანსი (ფორმა №1) და არაფინანსური აქტივების ანგარიში (ფორმა №5).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის სპეციალური წესით გათვალისწინებულია, რომ განათლების უფლების რეალიზაცია ყოველდღიურ რეჟიმში უნდა იყოს დაცული. გარანტირებულია მოსწავლის აზრის, სიტყვის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია მოსწავლის იძულება, უარი თქვას თავის შეხედულებებზე. სკოლის შინაგანაწესითა და უფლებების დაცვის წესით მკაცრადაა რეგლამენტირებული დისციპლინური წარმოების პროცედურა. მოსწავლის დისციპლინური დევნა უნდა იყოს დასაბუთებული, პროპორციული და დაუშვებელია მისი ღირსების შემლახველი სასჯელის (ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის) გამოყენება. მოსწავლეს/მეურვეს უფლება აქვს, დისციპლინური სახდელის დადებამდე მიიღოს ინფორმაცია მის წინააღმდეგ მიმდინარე წარმოებაზე და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ოფიციალური ფორმები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს სკოლის დირექტორს ან სამეურვეო საბჭოს საკუთარი უფლებების დარღვევის ან დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის ძირითადი დოკუმენტი, შინაგანაწესი, დამტკიცებულია კოლეგიური ორგანოს, სამეურვეო საბჭოს მიერ, სადაც მონაწილეობენ როგორც პედაგოგები, ისე მშობელთა წარმომადგენლები. ეს ადასტურებს, რომ მართვის დონეზე რეგულაციების

შემუშავება და გაზიარება ხდება ერთობლივად. ინტერვიუსას აღინიშნა, რომ მოსწავლეებთან და მშობლებთან შეხვედრებისას პირისპირ ფორმატით უზიარდებათ შინაგანაწესისა დაუფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

***რჩევა**: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესისა და შინაგანაწესის სრული ელექტრონული ვერსიების განთავსება სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე/შესაბამის გვერდზე, რათა მიღწეულ იქნას რეგულაციების სრული საჯაროობა და გამჭვირვალობა.*

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ), სადაც მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა და სტატუსის მართვა ხდება არა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების, არამედ საქართველოს კანონმდებლობის, განათლების მინისტრის ბრძანებებისა და სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) საფუძველზე. ხელშეკრულებები შედგენილია მკაფიო, გამჭვირვალე წესებით სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, დისციპლინურ წარმოებაზე, აზრის თავისუფლებასა და მხარდაჭერის სერვისებზე. მშობლებისა და მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია უფლებების რეალიზაციის გარანტია და დანერგილია სპეციალური სააპელაციო შაბლონები დირექტორთან და სამეურვეო საბჭოსთან მიმართვისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/19 ბრძანებით;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/19 ბრძანებით;*

- *დირექტორთან და სამეურვეო საბჭოსთან მიმართვის ოფიციალური ფორმები;*
- *მშობლის ხელშეკრულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის ზედმიწევნითი შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში მოსწავლის სამართლებრივი სტატუსის მართვისა და აკადემიური ტრაექტორიის ყველა ეტაპი სრულყოფილად და მკაფიოდაა დარეგულირებული.

დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული ადმინისტრაციული მექანიზმები ეფუძნება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, ბავშვის უფლებათა კოდექსსა და განათლების მინისტრის შესაბამის ნორმატიულ ბრძანებებს (N193/ნ, N04/ნ და სხვ.) და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- მოსწავლის ჩარიცხვა: წესით დეტალურად რეგულირდება პირველ კლასში და შემდგომ კლასებში მოსწავლის მიღების პირობები, წარსადგენი დოკუმენტაციის სრული ნუსხა და ვადები, რაც უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.
- მობილობის პროცედურები: გაწერილია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოსწავლის გადმოსვლისა და სკოლიდან გადასვლის გამჭვირვალე მექანიზმები, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool/EMIS) ელექტრონული ბაზების გამოყენების წესები და ვადები.
- საფეხურის დაძლევა და ექსტერნატი: განსაზღვრულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების აკადემიური დაძლევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ცალკეა მოწესრიგებული ექსტერნატის ფორმით

განათლების მიღების, კლასის/საგნების დაძლევისა და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკური გამონაკლისები.

- სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა: დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძვლები (მაგ. უცხოეთში გამგზავრება, 90 დღეზე მეტი ხნით გაცდენა და ა.შ.), აღდგენის გზები და სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი წინაპირობები ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
- ინფორმაციული ღიაობა: წესის პრეამბულაში სკოლა დეკლარირებულად იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ამ პროცედურების ღიაობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის სტატუსის ყოველი ცვლილება (ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, მობილობა, შეჩერება/შეწყვეტა) ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რაც სრულ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ბავშვის უფლებათა კოდექსსა და განათლების მინისტრის ნორმატიულ ბრძანებებთან. მოსწავლეთა სტატუსის ასახვა, მობილობის დადასტურება თუ შეჩერება ხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ელექტრონულ ბაზაში. პროცესი დაცულია არასანქცირებული ჩარევისგან პერსონალური, განპიროვნებული პაროლების მეშვეობით, რაც გამორიცხავს მონაცემთა თვითნებურ მოდიფიკაციას და უზრუნველყოფს სამართლებრივ სიზუსტეს. სკოლის საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით, სკოლაში სისტემურად იწარმოება და საარქივო წესების სრული დაცვით ინახება ყველა საჭირო დოკუმენტი. დამტკიცებული წესის მიხედვით, სკოლა იცავს პროცედურების ღიაობას დაინტერესებული პირებისთვის, რის გამოც აღნიშნული რეგულაციები განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლას შიდაორგანიზაციულ დონეზე სრულყოფილად აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ყველა ძირითადი მარეგულირებელი აქტი. სკოლა არის უფასო, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. მოსწავლეებისთვის მომსახურების დამატებითი საფასურები დადგენილი არ არის, რაც დასტურდება სკოლის ბიუჯეტით (სკოლა სრულად ფინანსდება სახელმწიფო ასიგნებებით/ვაუჩერით). ინფორმაცია საფეხურებისა და კონტინგენტის შესახებ ასახულია EMIS-ის ოფიციალურ პორტალზე. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის წესები, ეთიკის ნორმები, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები დეტალურად არის გაწერილი სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესში. დამტკიცებული ადმინისტრაციული აქტების მიხედვით, სკოლა ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს მისი ფიზიკურ სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებით. დამატებით, საინფორმაციო ნაკადებისა და სასკოლო ცხოვრების გასაშუქებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელებს (Facebook გვერდს) და ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის შიდა აქტები, მათ შორის „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, პირდაპირ დეკლარირებს და უზრუნველყოფს თანაბარ მიდგომას, რელიგიის, სინდისის, რწმენისა და აზრის თავისუფლებას. პერსონალის მიერ გავრცელებული ნებისმიერი საინფორმაციო მასალა ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონსა და ბავშვის უფლებათა კოდექსს, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციულ მიდგომებს. ერთიანი საქმისწარმოების დებულების“ თანახმად, სკოლის ან მისი პერსონალის სახელით ოფიციალური ინფორმაციის (საგანმანათლებლო პროგრამები, სერვისები) მომზადება და გავრცელება კონტროლდება დირექციის მიერ, რაც გამორიცხავს მცდარი ან გადაუმოწმებელი მონაცემების საჯაროობაზე წვდომას. სკოლა ოფიციალური კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას.

საგანმანათლებლო რესურსების, პროგრამებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის შესახებ ინფორმაცია მუდმივად ახლდება და ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), სადაც მოქმედებს პერსონალური, უსაფრთხო წვდომები მასწავლებელთა და ადმინისტრაციისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N01-02/30 ბრძანებით;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი (ბრძანება N01-02/19, 09.09.2025);
- სკოლის ოფიციალური გვერდი EMIS-ის პორტალზე: skolebi.emis.ge/schools/492.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით შემუშავებული და მოქმედია დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/18 ბრძანებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტი მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

დოკუმენტის აღწერილობითი ნაწილის მიხედვით, მექანიზმი ვრცელდება და მიზნად ისახავს სასკოლო ცხოვრებაში შემდეგი სამიზნე ჯგუფების ინტეგრაციასა და მხარდაჭერას:

- პირველკლასელები: სასკოლო სივრცესთან, რეჟიმთან და გარემოსთან პირველადი შეგუების ფაზაში.
- მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეები: ახალ სოციალურ და აკადემიურ წრესთან ადაპტაციის პროცესში.
- ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეები: იმ მოსწავლეთა ხელშეწყობა, რომელთაც კომუნიკაციასა და სასწავლო პროცესში ჩართვაში ხელს უშლის ენის ფლობის არასათანადო დონე.
- სხვა საჭიროების მქონე მოსწავლეები: წესი ითვალისწინებს მოქნილობას და ვრცელდება ნებისმიერ სხვა მოსწავლეზე, რომელსაც ზემოაღნიშნული მიზეზებისგან დამოუკიდებლად გამოუვლინდება სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები.

წესის მიხედვით, ადაპტაციის პროცესის მართვასა და კოორდინაციაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება კლასის დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოებას. დოკუმენტით განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, როგორიცაა ახალი მოსწავლის პოზიტიური წარდგენა კლასში, ჯგუფური დავალებების ორგანიზება კოორდინირებული ქმედებების წასახალისებლად და არაფორმალური განათლების ღონისძიებები (ექსკურსიები, გასვლითი აქტივობები) მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად. საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის მუშაობის ძირითად პრინციპად განსაზღვრულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა.

ამრიგად, სკოლას გააჩნია ქმედითი, სამართლებრივად გამართული და პრაქტიკაზე ორიენტირებული მექანიზმი მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი დეტალურად განსაზღვრავს ახალ გარემოსთან შეგუების მექანიზმებს. სკოლის მიერ შემუშავებული მიდგომა რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს: სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ორიენტირებულია არა მხოლოდ პირველკლასელებზე, რომელთაც სასკოლო ცხოვრებასთან პირველადი შეგუება სჭირდებათ, არამედ მობილობის წესით გადმოსულ მოსწავლეებზეც. გარდა ამისა, წესი ითვალისწინებს სპეციალურ მხარდაჭერას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ახალ გარემოში ინტეგრაციას ენობრივი ბარიერი ურთულებს.

ახალი წევრების სოციალიზაციისა და სტრესის შემცირების მიზნით, სკოლა იყენებს ისეთ ინტერვენციებს, როგორიცაა ახალი მოსწავლის პოზიტიური წარდგენა თანაკლასელებისთვის. სასწავლო პროცესში ჯგუფური დაწყვილებებისა და დავალებების გამოყენება, რაც კოორდინირებულ მუშაობასა და კომუნიკაციას უწყობს ხელს. არაფორმალური განათლების ღონისძიებები (ექსკურსიები, გასვლითი აქტივობები და სხვა შიდასასკოლო პროექტები), რაც ეხმარება მოსწავლეებს შორის მეგობრული და კეთილგანწყობილი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

ადაპტაციის პროცესში წამყვანი როლი ენიჭება კლასის დამრიგებელს, რომელიც ვალდებულია თავად გაიცნოს მოსწავლე, შექმნას პოზიტიური მოლოდინი კლასში და საჭიროების შემთხვევაში პირადად წაახალისოს ბავშვებს შორის კომუნიკაცია. ასევე, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები მუშაობისას ეყრდნობიან მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენისა და მხარდაჭერის პრინციპს.

ამრიგად, სკოლას გააჩნია წინასწარ გაწერილი, მოქნილი და ინკლუზიური მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში უმტკივნეულო და პოზიტიურ ინტეგრაციას სწავლის დაწყების პირველივე ეტაპიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. აკადემიური სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების მეთოდები. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რაც მათ აკადემიური წინსვლისა და პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების საშუალებას აძლევს.

საგნობრივი კათედრები და მასწავლებლები რეგულარულად გეგმავენ კონსულტაციებს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დამატებითი აკადემიური მხარდაჭერა ამა თუ იმ საგანში. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, კათედრის წევრები ერთობლივად მსჯელობენ სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებზე, სირთულეებსა და მათი დაძლევის გზებზე, რაც უშუალოდ აისახება მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების სტრატეგიებში.

კლასის დამრიგებლები მუდმივად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს. აკადემიური ჩამორჩენის ან სირთულეების იდენტიფიცირების შემთხვევაში, დამრიგებელი მოქმედებს, როგორც დამაკავშირებელი რგოლი საგნის მასწავლებლებს, მოსწავლესა და მშობელს შორის, რათა დროულად დაიგეგმოს მხარდამჭერი ინტერვენციები.

სკოლის მიდგომა ეფუძნება მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენასა და წახალისებას, რაც ზრდის მათ მოტივაციას. არაფორმალური აქტივობებისა და კლუბური მუშაობის (მაგალითად, სკოლაში არსებული სხვადასხვა ინიციატივების) ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესთან ეხმარება მოსწავლეებს პრაქტიკული უნარების განვითარებასა და აკადემიური ხარვეზების დაძლევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/19 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის თანახმად, სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადგენილი პროცედურების მიხედვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ და სამართლებრივ მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული და გაწერილი აქვს მკაფიო მექანიზმები სასკოლო საზოგადოების წევრთა, მათ შორის მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვისთვის. დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განათლების უფლების რეალიზება მხოლოდ სტატუსის მოპოვებით არ შემოიფარგლება და სკოლა იღებს ყოველდღიურ ვალდებულებას, დაიცვას თითოეული ბავშვის უფლება.

ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზების პროცესის ბიუროკრატიული გამარტივების მიზნით, სკოლას დანართის სახით ოფიციალურად აქვს დამტკიცებული მზა შაბლონები და ფორმები: სკოლის დირექტორთან მიმართვის/განცხადების ოფიციალური ფორმა; სკოლის სამეურვეო საბჭოსთან მიმართვის ოფიციალური ფორმა. აღნიშნული ფორმების არსებობა მოსწავლესა და მშობელს საშუალებას აძლევს, ზედმეტი ადმინისტრაციული ბარიერების გარეშე, გამართულად და დროულად მიმართონ სკოლის მართვის ორგანოებს ნებისმიერი კანონიერი უფლების (იქნება ეს ნიშნის გასაჩივრება, მობილობა, ექსკურსიაზე ნებართვა თუ სხვა სამართლებრივი მოთხოვნა) რეალიზების მიზნით.

დოკუმენტი ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. ეს გულისხმობს, რომ სკოლაში ნებისმიერი ადმინისტრაციული წარმოება (განცხადების მიღება, რეგისტრაცია, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება) მიმდინარეობს გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ მკაცრ ვადებში (როგორც წესი, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისას - არაუმეტეს 10 დღისა, ხოლო კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შესაბამისი ვადების დაცვით).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემური, მრავალკომპონენტიანი და სამართლებრივად გამართული მექანიზმები, რომლებიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/18 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტი არეგულირებს პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულთა და ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეთა უმტკივნეულო ინტეგრაციას სასკოლო სივრცეში სწავლის დაწყების პირველივე მომენტიდან. წესში მკაფიოდ არის გაწერილი დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების როლები და მოცემულია პრაქტიკული აქტივობები (ჯგუფური სამუშაოები, არაფორმალური ღონისძიებები, ექსკურსიები) პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად.

ადმინისტრაციული და სამართლებრივი მხარდაჭერა: დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/19 ბრძანებით მოქმედებს წესი მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლა უზრუნველყოფს

მიმართვებისა და საჩივრების განხილვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გონივრულ ვადებში. პროცესის გამარტივების მიზნით, დანერგილია დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს სახელზე განცხადების წარდგენის მზა სამართლებრივი შაბლონები.

ინტერვიუებით დასტურდება, რომ საგნობრივი კათედრები და მასწავლებლები კოორდინირებულად გეგმავენ დიფერენცირებულ სწავლებასა და კონსულტაციებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, ხოლო სსსმ მოსწავლეებისთვის მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ).

სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური დოკუმენტი მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი, კვლევითი, სოციალური და საზოგადოებრივი იდეების განვითარებას. მექანიზმი ითვალისწინებს მხარდაჭერის მრავალფეროვან ფორმებს: მცირე რესურსების მობილიზებას, მასწავლებელთა მხრიდან მენტორინგს, იდეების საჯარო პრეზენტაციას და სკოლის ბაზაზე არსებული ტექნიკური თუ სასწავლო რესურსების (ლაბორატორიები, ტექნიკა) ხელმისაწვდომობას. განსაზღვრულია იდეის შეფასების მკაფიო კრიტერიუმები (სიახლე, განხორციელებადობა, პოზიტიური გავლენა, თანამშრომლობა) და განხილვის ეტაპები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა (მშობლები, პერსონალი) უკუკავშირი წარმოადგენს მომსახურების, სასწავლო პროცესისა და მხარდამჭერი ღონისძიებების გაუმჯობესების ძირითად ინსტრუმენტს.

დაწესებულება კურიკულუმის შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და შეხედულებებს. ეს მიდგომა პირდაპირ აისახება მოსწავლეთა მომსახურების ხარისხზე, რადგან სასწავლო გარემო და რესურსები იგეგმება არა ცალმხრივად, არამედ უშუალო ბენეფიციარების (მოსწავლეებისა და მშობლების) საჭიროებების ანალიზის საფუძველზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების გაუმჯობესება ხდება რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით: კათედრების დონეზე მასწავლებლები ერთობლივად მსჯელობენ სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებზე. მოსწავლეთა საჭიროებებისა და აკადემიური დინამიკის (რაც თავისთავად უკუკავშირის ფორმაა) საფუძველზე, სკოლა მუდმივად აუმჯობესებს დიფერენცირებული სწავლებისა და საგნობრივი კონსულტაციების მიწოდების ფორმატს; სკოლაში მოქმედი მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი არის პირდაპირი დასტური იმისა, რომ სკოლა რეაგირებს მოსწავლეთა იდეებსა და მოთხოვნებზე. მოსწავლეთა მიერ წამოჭრილი ინიციატივების მხარდაჭერით, სკოლა რეალურად ცვლის და ხვეწს თავის არაფორმალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი და მასზე თანდართული ოფიციალური მიმართვის ფორმები უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი უკუკავშირი, პრეტენზია თუ რეკომენდაცია დაინტერესებული მხარეების მხრიდან დაფიქსირდეს ოფიციალურად და მასზე მოხდეს სამართლებრივი რეაგირება დადგენილ ვადებში.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხაზგასმულია ორიენტაცია უსაფრთხო, პოზიტიურ და ხელშემწყობ სასწავლო გარემოზე. ვინაიდან გარემოს შეფასება შეუძლებელია მისი მომხმარებლების გარეშე, სკოლა ადაპტაციის წესისა და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების მართვისას ეყრდნობა დამრიგებლებისა და პედაგოგების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას, რათა დროულად აღმოფხვრას სერვისებში არსებული ხარვეზები (მაგ., მობილობით გადმოსულთა ხელშეწყობა).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, დამტკიცებული სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/18 ბრძანებით;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, დამტკიცებული სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/19 ბრძანებით;*

- *მიმართვისა და განცხადების დამტკიცებული სტანდარტული ფორმები;*
- *მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის და ინტეგრირებულია სასკოლო ეკოსისტემაში. სასკოლო კურიკულუმი არის რეალისტური, განხორციელებადი და ძირითადად მორგებული საშუალო საფეხურის ინტერესებსა და საჭიროებებზე. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მიხედვით, საბაზო და განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე კურიკულუმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია და მომავალი კარიერისათვის მომზადებაა. სკოლა საგნობრივი კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების საშუალებით ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებისა და მიდრეკილებების იდენტიფიცირებაში.

მოსწავლეთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის წესების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში დამრიგებელსა და საგნის მასწავლებლებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული როლი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენაში. დამრიგებლები, საათების ფარგლებში, რეგულარულად ატარებენ საინფორმაციო და განმავითარებელ შეხვედრებს კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებით, რაც მოსწავლეებს უადვილებს გადაწყვეტილების მიღებას პროფესიულ თუ უმაღლეს განათლებაში მიმართულების არჩევისას.

სკოლაში მოქმედი მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი უშუალოდ უკავშირდება პროფესიულ ორიენტაციას. მექანიზმის ფარგლებში მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ კვლევით, შემოქმედებით და სოციალურ პროექტებში, მიიღონ მენტორინგი მასწავლებლებისგან, რაც პრაქტიკული უნარების (პროექტის მართვა, ბიუჯეტირება, გუნდური მუშაობა)

განვითარებას უწყობს ხელს, გამოსცადონ საკუთარი ძალები სხვადასხვა ამპლუაში, რაც ეხმარება მათ რეალური ინტერესების აღმოჩენასა და კარიერულ თვითგამორკვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის განახლებული, სანდო და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას განათლების მომდევნო საფეხურებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციული და სამართლებრივი მოწყობა, რომელიც ასახულია დირექტორის N01-02/19 ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლისა და მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის წესში, პირდაპირ მიმართულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობაზე.
სკოლა ინფორმაციის მიწოდებისას ეყრდნობა ოფიციალურ წყაროებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), რაც უზრუნველყოფს მშობლებისა და მოსწავლეებისთვის მიწოდებული მონაცემების სანდოობასა და აქტუალობას (ეროვნული გამოცდების სიახლეები, პროფესიული განათლების მიღების გზები, გრანტების სისტემა და ა.შ.).

კათედრების დონეზე სასწავლო პროცესი და კურიკულუმი მორგებულია საშუალო საფეხურის ინტერესებსა და საჭიროებებზე. საშუალო საფეხურის (XI-XII კლასები) ერთ-ერთი უმთავრესი საჭიროება სწორედ საფეხურის შემდგომი ორიენტაციაა. სკოლა იყენებს დამრიგებლის საათებსა და მშობელთა კრებებს, როგორც განახლებული ინფორმაციის გაზიარების ძირითად პლატფორმას. მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია როგორც აკადემიური (უმაღლესი განათლება), ისე პროფესიული (პროფესიული კოლეჯები, მოდულური პროგრამები) განვითარების ალტერნატივების შესახებ.

როგორც სკოლის შიდა მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი“ ადასტურებს, სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა მხრიდან მენტორინგის სისტემა. ეს პროცესი მხოლოდ თეორიული ინფორმაციის მიწოდებით არ

შემოიფარგლება. კარიერული ალტერნატივების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება პრაქტიკული ჭრილიდან გამომდინარე, სადაც პედაგოგები ინდივიდუალურად ეხმარებიან მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კონკრეტული სფეროების პერსპექტივების დანახვასა და გაანალიზებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუებით დადგინდა, რომ საგნობრივი კათედრის წევრები ადმინისტრაციასთან შეთანხმებულად მუდმივად მსჯელობენ სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებზე, სირთულეებსა და მათი დაძლევის გზებზე, გამოყოფენ პრიორიტეტებს. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ მოსწავლეთა აკადემიური მომსახურების (გაკვეთილები, კონსულტაციები) ხარისხის დაგეგმვა ხდება წინა პერიოდის შედეგებისა და გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რეალისტურობასა და განხორციელებადობას.

სკოლა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მომხმარებლის (მოსწავლის, მშობლის) მხრიდან მიღებული შეფასება სერვისების ტრანსფორმაციის საფუძველია. სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტები გვიჩვენებს, რომ მომსახურების ხარისხის დაგეგმვა ხდება დინამიურად, ბენეფიციართა საჭიროებების მუდმივი გადაფასების გზით:

სკოლაში მოქმედი მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი ითვალისწინებს იდეების შეფასების მკაფიო კრიტერიუმებს (დადებითი გავლენა სკოლაზე, განხორციელებადობა და სხვა). განხორციელებული პროექტების შედეგები და პერსონალის (მენტორების) მიერ გაწეული მუშაობის შეფასება საფუძვლად ედება მომავალი სასკოლო ინიციატივებისა და არაფორმალური განათლების სერვისების დაგეგმვას.

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი (დამტკიცებული დირექტორის N01-02/19 ბრძანებით) და მასზე თანდართული მიმართვის შაბლონები სკოლას აძლევს შესაძლებლობას,

აღრიცხოს და გააანალიზოს შემოსული განცხადებები/საჩივრები. ამ ადმინისტრაციული წარმოების შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს შიდაბიუროკრატიული პროცედურების გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;*
- *დამრიგებლის სამუშაო გეგმები;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული, ოფიციალურად დამტკიცებული და მოქმედი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის სამართლებრივად გამართული მექანიზმი. დოკუმენტის მუხლი 2 დეტალურად აწესრიგებს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების პროცესს სწავლის დაწყებისთანავე (პირველი კლასიდან). განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის როლი, მიმართვის ფორმები და სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან (მდგ) თანამშრომლობის წესი სტატუსის ოფიციალურად მინიჭების მიზნით.

რეგულაციის მიხედვით, სკოლა იღებს ვალდებულებას, კანონით დადგენილი კონკრეტული წესით შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალური მასწავლებელი ან/და სხვა საჭირო მუშაკები, რომლებიც აუცილებელია სსსმ მოსწავლის განვითარებისა და საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის.

მექანიზმით მკაცრად არის განსაზღვრული მშობლებთან კომუნიკაციის პერიოდულობა. სკოლა ვალდებულია, მინიმუმ 3 თვეში ერთხელ მოახდინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პროფესიული ინფორმირება მოსწავლის მიღწევებისა და დინამიკის შესახებ, რასაც კოორდინაციას უწევს სპეციალური მასწავლებელი.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება. კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით, რეგულაცია ადგენს პედაგოგიურ საბჭოზე ისგ-ის ზოგადი შაბლონის დამტკიცებას; პედაგოგიურ საბჭოზე გეგმების დამტკიცებისას მოსწავლის იდენტიფიცირების გამორიცხვას - მოიხსენიება მხოლოდ სახელი და გვარის პირველი ასო-ბგერა; ინდივიდუალურ გეგმებზე წვდომა აქვს მხოლოდ ვიწრო, უშუალოდ ჩართულ წრეს (საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაცია).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ინსტიტუციურ დონეზე ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მულტიდისციპლინური თანამშრომლობისა და კოორდინირებული ჩართულობის პრინციპებს. რეგულაციის მე-5 მუხლით განსაზღვრული წვდომის მექანიზმები და კურიკულუმის მართვის ნაწილი აჩვენებს, რომ სსსმ მოსწავლის განვითარების გეგმის (ისგ) შემუშავება და მართვა არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მოვალეობა. მასში კოორდინირებულად მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები:

- სპეციალური მასწავლებელი: რომელიც წარმართავს პროცესს, ახდენს ინტერვენციების კოორდინაციას და აკავშირებს მხარეებს;
- საგნის მასწავლებლები და კათედრები: ისინი უზრუნველყოფენ სასწავლო მასალების, რესურსებისა და კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას და მორგებას მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე;
- კლასის დამრიგებელი: რომელიც მუდმივად აკვირდება მოსწავლის სოციალიზაციას და სასკოლო გარემოსთან ინტეგრაციას;

- სკოლის ადმინისტრაცია: რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების მობილიზებას.

თანამშრომლობის პრინციპის ერთ-ერთი მთავარი დასტურია მშობლის აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, რაც დოკუმენტში სამართლებრივად არის გამყარებული. სკოლა ვალდებულია მინიმუმ 3 თვეში ერთხელ მოახდინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სრულფასოვანი პროფესიული ინფორმირება მოსწავლის მიღწევებისა და დინამიკის შესახებ. ეს უზრუნველყოფს, რომ მოსწავლის განვითარების პროცესი იყოს ერთიანი და უწყვეტი როგორც სკოლაში, ისე ოჯახურ გარემოში.

სასკოლო საზოგადოების უმაღლესი პროფესიული გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო - უშუალოდ მონაწილეობს სსსმ მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმების ლეგიტიმაციაში. საბჭო ამტკიცებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ზოგად შაბლონს და თავად გეგმებს. ამასთანავე, დაცულია ეთიკური და კოლეგიური პრინციპები: მოსწავლის სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად, საბჭოზე გეგმების დამტკიცებისას გამოიყენება მხოლოდ ინიციალები (დეპერსონალიზებული წესი), რაც ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების მხრიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და უფლებების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, დამტკიცებული სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 აპრილის N01-02/05 ბრძანებით;*
- *პედაგოგიურ საბჭოზე ისგ-ის დამტკიცებისა და წარმოების დეპერსონალიზებული წესი.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში ტრანსპორტირების სერვისი ხორციელდება ცენტრალიზებულად, სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, სადაც სკოლა მოქმედებს როგორც უფლებამოსილი მხარე და მკაცრად აკონტროლებს უსაფრთხოების ნორმებს.

სკოლაში მოქმედებს ოფიციალურად დამტკიცებული მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი. დამატებითი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი მომსახურება (შიდა კონკურსები, პროექტები, გამოფენები) ხორციელდება სკოლის ბიუჯეტიდან მცირე რესურსების ასიგნების (შინაგანი გრანტების) საფუძველზე, დირექტორის სამართლებრივი აქტების მიხედვით, რაც სრულად ლეგიტიმურია.

სკოლა არ ახორციელებს ისეთ დამატებით საქმიანობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ლიცენზირებას ან ნებართვას (მაგ. პროფესიული მომზადების პროგრამები ან დამოუკიდებელი სამეწარმეო კვების ბლოკი), ხოლო არსებული სერვისები (ტრანსპორტირება, საგაკვეთილო კონსულტაციები, კლუბები) სრულად თავსდება საჯარო სკოლის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები (წრეები, კლუბები, პროექტები, მენტორინგი და სხვა) ეფუძნება ნებაყოფლობითობის, კოლეგიურობისა და ორმხრივი შეთანხმების პრინციპებს და პირდაპირ ემსახურება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.
სკოლის შიდა რეგულაციები (მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი) ადასტურებს, რომ დამატებითი არასავალდებულო სერვისები დაფუძნებულია თავად მოსწავლეთა სურვილსა და ინტერესებზე. მოსწავლეები საკუთარი ინიციატივით წარადგენენ პროექტებს, იდეებსა და გამოფენების გეგმებს. არანაირი დამატებითი მომსახურება არ არის თავსმოხვეული ან სავალდებულო ხასიათის, რაც სრულად პასუხობს ნებაყოფლობითობის კრიტერიუმს.

დოკუმენტური ანალიზით დგინდება, რომ დამატებითი სერვისების, უფლებებისა და ინიციატივების მართვის წესი და პირობები მჭიდროდ არის კოორდინირებული სკოლის მართვის ორგანოებსა და ბენეფიციარებს შორის: სკოლას ოფიციალურად აქვს დამტკიცებული მიმართვის ფორმები როგორც დირექტორის, ისე სამეურვეო საბჭოს (სკოლის მთავარი კოლეგიური ორგანო) სახელზე. ნებისმიერი დამატებითი მომსახურების პირობა ან სასკოლო საზოგადოების ინტერესი გადის კოლეგიურ განხილვას; კურიკულუმის დაგეგმვისა და მომსახურების გაწევის პროცესში, სკოლა ყველა ეტაპზე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს. მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირებული თანხმობა და მათი ჩართულობა ნებისმიერ არასავალდებულო აქტივობაში (მაგ. ექსკურსიები, კლუბები) უზრუნველყოფილია წესითა და დამტკიცებული შაბლონური ფორმებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები (წრეები, კლუბები, პროექტები, მენტორინგი და სხვა) ეფუძნება ნებაყოფლობითობის, კოლეგიურობისა და ორმხრივი შეთანხმების პრინციპებს და პირდაპირ ემსახურება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. ყოველი დამატებითი მომსახურება მიმართულია მოსწავლის პიროვნული, შემოქმედებითი და სოციალური უნარების ევოლუციაზე. მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი სპეციალურად შეიქმნა მოსწავლეთა ლიდერული უნარების განვითარების, შემოქმედებითი აქტივობის

სტიმულირებისა და პასუხისმგებლობის აღქმის მიზნით. სკოლა არასავალდებულო ფორმატში ახდენს მცირე ფინანსური რესურსების ასიგნებას (შინაგანი გრანტები), პედაგოგთა მხრიდან მენტორინგის უზრუნველყოფას და ლაბორატორიებისა თუ ტექნიკის დათმობას მოსწავლეთა იდეების რეალიზაციისთვის, რაც პირდაპირ ემსახურება მათ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი*
- *მუნიციპალური/სახელმწიფო პროგრამული დოკუმენტაცია მოსწავლეთა ტრანსპორტირების შესახებ.*
- *ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 09 სექტემბრის N01-02/23 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ეტაპები და სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის მასწავლებლის, საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის უფლება-მოვალეობები. მასწავლებლებისა და დირექტორის როლი ხაზგასმულია, როგორც კურიკულუმის შემუშავების, ისე მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციის მიმართულებით, რათა წახალისდეს თითოეული მათგანის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების პროცესი.

სკოლას მიეცა რჩევა:
1.სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა პროცედურულად განისაზღვროს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით.
2.კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ).
3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის 11 მუხლის გარდამავალ დებულებაში დაზუსტდეს დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილების შეტანის პირობები.
4.ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგების პერიოდების შესაბამისობა გასწორდეს სასწავლო წლის კალენდარსა და სასკოლო სასწავლო გეგმის, როგორც კონცეპტუალურ, ისე საფეხურეობრივ დოკუმენტებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა და სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა რამდენიმე ფაქტორით დასტურდება. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმების, სამოქმედო გეგმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან საგნობრივ და ინდივიდუალურ გეგმებზე, სასწავლო რესურსებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. ასევე, სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზებზე, როგორიცაა შემაჯამებელი დავალებები და ურთიერთდასწრება. პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომის ოქმები ადასტურებს გრიფირებული სახელმძღვანელოების განხილვას, თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზებასა და სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება-დამტკიცების პროცესს. მართალია, დოკუმენტის შემუშავებისა და დამტკიცების ეტაპები ერთ კალენდარულ დღეს ფიქსირდება, თუმცა სკოლის მცირე კონტინგენტი და სტრატეგიული მდებარეობა წევრებს შორის მჭიდრო კოორდინაციას განაპირობებს. სკოლა მოსწავლეთა ინტერესებს პასუხობს სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდებით (პრეზენტაცია, დისკუსია, მაკეტის შექმნა), სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტით („ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“), სპორტული წრით (თავისუფალი ჭიდაობა) და რეგიონალური ოლიმპიადების შეთავაზებით. მოსწავლეთა უფლებებისა და უსაფრთხო გარემოს პრიორიტეტულობა ვლინდება მშობელთა კრებებზე შინაგანაწესისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების განხილვით. კურიკულუმში საზოგადოების ინტერესების ასახვის მზაობა კი დასტურდება სპეციალური კითხვარების არსებობით, რომელთა მეშვეობითაც სკოლა იკვლევს მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულებებს ექსკურსიების, სასკოლო ტრადიციებისა თუ კლასის საათის თემების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის ფორმირება სასკოლო საზოგადოების წევრთა საერთო შეთანხმების პროცესია. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმების, სამოქმედო გეგმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან სასკოლო კურიკულუმის საკვანძო საკითხებზე - საგნობრივი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სწავლების მეთოდები, საათების გადანაწილება, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, სასწავლო რესურსები და ღონისძიებები. სასკოლო სასწავლო გეგმის, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების მიხედვით, კათედრების მიერ მომზადებული კურიკულუმი, დირექტორის ჩართულობით, განსახილველად გადაეცემა სამეურვეო საბჭოს, ხოლო დასამტკიცებლად - პედაგოგიურ საბჭოს. ამასთანავე, მშობელთა კითხვარების ფორმები ადასტურებს სკოლის მზაობას, სასწავლო გეგმაში ასახოს მათი შეხედულებები სასურველი აქტივობების, ექსკურსიების, კლასის საათის თემებისა თუ ტრადიციების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო საზოგადოებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე არხის გამოყენებით მიმდინარეობს, რაც მოიცავს თანამშრომელთა საერთო შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, საინფორმაციო დაფებსა და ციფრულ პლატფორმებს, როგორიცაა სოციალური ქსელი და კლასების „მესენჯერ“ ჯგუფები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში საგნობრივი კათედრები თანხმდებიან მის ადმინისტრაციულ და შინაარსობრივ საკითხებზე, რის შემდეგაც დოკუმენტი, დირექტორის ჩართულობით, შესათანხმებლად გადაეცემა სამეურვეო საბჭოს, ხოლო დასამტკიცებლად - პედაგოგიურ საბჭოს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, მშობელთა ჩართულობა და ინფორმირება ხდება სკოლის ვებ-გვერდზე სასკოლო კურიკულუმის განთავსებით, ელექტრონული ჟურნალის წარმოებითა და შემეცნებითი დავალების ბარათების გამოყენებით. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა კრებებზე შინაგანაწესისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების განხილვის პრაქტიკა. მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის დოკუმენტების გაცნობას. მასწავლებელთა თქმით, სკოლის მცირე კონტინგენტიდან გამომდინარე, კომუნიკაცია ყოველდღიურ ხასიათს ატარებს, ამასთან ერთად, არსებობს პარასკევობით მშობლებთან შეხვედრისა და Facebook ჯგუფების მეშვეობით შესასწავლი საკითხების გაზიარების პრაქტიკა.. სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge/სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა) განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, სტრუქტურა, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები და ფინანსური ანგარიშები. ასევე, პირველი სართულის შემოსასვლელში საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება, შინაგანაწესი, სასწავლო კალენდარი, გაკვეთილების განრიგი, საათობრივი ბადე, მასწავლებეთა მორიგეობის განრიგი და სხვა.

სკოლას მიეცა რჩევა:

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმისა და დამხმარე მასალების შესახებ მშობლების, სასკოლო თემისა თუ დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების გზები (მაგ. სოციალური მედია, მშობელთა კრება, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები).

2. სკოლების პორტალის ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge/სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა) განათავსოს სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის, სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის ბიუჯეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2025-2026
3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები

4. სასწავლო წლის კალენდარი 2025-2026
5. პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა 2025-2026
6. საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები 2025-2026
7. IV და VIII კლასის მშობელთა კრების ოქმები N1 (19.09.2025)
8. VII, VII, VIII და X კლასის დამრიგებლების ანგარიში სკოლის ფილოსოფიის, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის მშობლებისთვის გაცნობის შესახებ
9. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2 (09.09.2025)
10. საგნობრივი კათედრდების სხდომის ოქმი N1 (05.09.2025/08.09.2025/09.09.2025)
11. თავისუფალი ჭიდაობის წრის პროგრამა
12. სოციალური პროექტის "ლამაზად შვილის გამრზდელი დედა მიცვნია ღმერთადა" დოკუმენტი
13. სტრატეგიული დაგეგმარებისა და ჩართულობის მშობელთა კითხვარის ფორმები
14. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მიზნით მშობელთა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა კითხვარის ფორმა
15. სკოლის ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge/სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა
16. დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუ

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით სკოლას დაწყებითი, საბაზო, საშუალო სწავლების საფეხურზე აქვს მოსწავლის ინტერესებზე, მის განვითარების პროცესებზე ორიენტირებული კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების კურიკულუმი აგებულია კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, სადაც სასწავლო პროცესი ფოკუსირებულია მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და შემოქმედებითად. უნარების რეალიზებაზე. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებული მოსწავლეთა წინარე გამოცდილების გააქტიურება და ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირებაზე. კურიკულუმი

	იძლევა შესაძლებლობას, რომ სწავლება წარიმართოს მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. **რჩევა:** მიზანშეწონილია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს მოსწავლის ავტონომიურობის ხარისხი, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეს ჰქონდეს მეტი არჩევანი პროდუქტის ფორმატის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. განსაზღვრულია დავალებებზე მუშაობისთვის საჭირო რესურსები. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კათედრის წევრები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების, ურთიერთდასწრების ანალიზს და ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობა. **რჩევა:** 1. სასურველია, უცხოური ენების კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს მრავალფეროვან კლასგარეშე ღონისძიებები, ინტეგრირებული აქტივობები/პროექტები, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვ საგნობრივ კომპეტენციებს შორის კავშირების დანახვას, აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას და მათ მრავალმხრივი უნარების განვითარებას. 2.სასურველია, კლას-კომპლექტებისთვის შეიქმნას ერთიანი კურიკულუმი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უზრუნველყოფს მასწავლებელ სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებთა 3.სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა (სვეტებ თანმიმდევრობა, დასახელება, შინაარსი), რაც მნიშნელოვანია სასწავლო შინაარსის ორგანიზები კათედრის წევრებს შორის პრაქტიკის გაზიარების კუთხით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრების მიერ სამივე საფეხურის საგანში (მუსიკა, ხელოვნება, პროექტული სწავლება) შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებს. თითოეული საგნის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხი ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. კურიკულუმების ფორმირების პროცესში სკოლა პრიორიტეტულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს

	რჩევა: 1. სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში, თემატური ბლოკების ფარგლებში, დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ამასთან, მნიშვნელოვანია ცნებების/ქვეცნებების დაკონკრეტება შესაბამისი თემის, საკითხისა და შუალედური მიზნის ადეკვატური ქვეცნებებით. 2.თითოეული თემისა თუ საკითხისთვის სასურველია, ჩამოყალიბდეს მკაფიო შუალედური სასწავლო მიზანი. 3. სასურველია, სასკოლო კურიკულუმისთვის შემუშავდეს ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ და ფორმალურ თანმიმდევრულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები ეფუძნება ესგ-ს საგნობრივ სტანდარტებსა და მეთოდოლოგიური ორიენტირების მოთხოვნებს. თითოეული საგნის კურიკულუმი მიესადაგება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები) და მიიღწევა შუალედური მიზნების საშუალებით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, დამოუკიდებელი და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, მოსწავლის აქტიური ჩართულობა და მოტივაციის ამაღლება; გათვალისწინებულია მათი ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, სკოლაში არსებული რესურსები. აქვე უნდა ითქვას, რომ სკოლაში წარმატებით განხორციელდა კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და წიგნიერების/მედიაწიგნიერების საშუალებით მოსწავლეებში სოციალური, სამოქალაქო, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული პროექტ-გაკვეთილი: „ენა დედაა ერისა“. **რჩევა:** სასურველია, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს: ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს; ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას; გ) პროექტულ სწავლებას. მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა

	(პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ეყრდნობოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, ხოლო თემების შერჩევის პროცესში ყურადღება გაამახვილეს მოსწავლეთათვის საინტერესო და შინაარსიან კონტექსტზე. აღნიშნული მიდგომა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხელს უწყობს ჩართულობას და მათ სწავლის აქტიურ მონაწილედ აქცევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმიდან ჩანს, რომ დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად წარმოჩინდა, რომ მასწავლებლებს კომპლექსური დავალებები განხორციელებული აქვთ და მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და განვითარებას. მისი მიზანია სწავლების ორგანიზება თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ და მიზანმიმართულ გადაცემას. კურიკულუმი ასევე ქმნის შესაძლებლობას, რომ მრავალფეროვანი თემებისა და შემაჯამებელი დავალებების საშუალებით მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა და განივითაროს სხვადასხვა უნარი. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს აქტიურ და ჩართულ გარემოს, რაც ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სწავლის შედეგებს. ამასთან, იგი პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კურიკულუმები სამივე საფეხურზე აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მიზნებს. მოსწავლეებს საგნობრივ ცოდნასთან ერთად უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგები გაწერილია გრძელვადიანი მიზნების შესახებ. დაცულია შინაარსობრივი უწყვეტობა საფეხურებს შორის, რაც უზრუნველყოფს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს თანმიმდევრულ განვითარებას. თუმცა, საშუალო საფეხურის ისტორიის და გეოგრაფიის სავალდებულო თემების კურიკულუმში ასახვასთან დაკავშირებით სკოლას ვიზიტისას განემარტა და დეტალურად ჩაინიშნეს მითითებები . სკოლას აქვს მზაობა გაითვალისწინოს რჩევები და შესაბამისად ასახეს დოკუმენტში.

	რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრამ გააძლიეროს მუშაობა **საგანთაშორისი კავშირების** მიმართულებით. კურიკულუმების იმგვარი სინქრონიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დისციპლინაში არსებულ სამიზნე ცნებების კომპლექსურ დამუშავებას. ეს მიდგომა მოსწავლეს ცოდნის გამთლიანებასა და იმავე მოვლენის სხვადასხვა რაკურსით გააზრებაში დაეხმარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რესურსები, რაც ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **რჩევა**: მნიშვნელოვანია , რომ ინგლისური ენის VII კლასის კურიკულუმის I თავში, სვეტში - "სამიზნე ცნება, ქვეცნებები" – „მკვიდრი წარმოდგენები" შეცვალოთ სამიზნე ცნებების დასახელებებით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ III-IV თავის დავალების იდეის დასახელება თანხვედრაში იყოს შესასწავლი საკითხის დასახელებასთან (მაგ. საკითხის გრაფაში გიწერიათ „საგაზეთო სტატია", შემოქმედებითი დავალების იდეაში - „ესე"). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტებს. მასში ინტეგრირებულია სავალდებულო თემატური ბლოკები და საორიენტაციო თემები, საკითხები, რომელთა ფარგლებშიც, კონკრეტულ საკითხებზე დაყრდნობითა და შუალედური მიზნების საშუალებით, ხორციელდება სამიზნე ცნებების დამუშავება. კურიკულუმში მოცემულ შუალედური მიზნის დავალებებში, შინაარსობრივ მხარესთან ერთად, მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. **რჩევა:** 1.კურიკულუმის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილია იმ სარეკომენდაციო თემებისა და საკითხების განსაზღვრა, რომელთა დამუშავებაც შესაძლებელი იქნება შუალედური სასწავლო მიზნების ფარგლებში. 2.სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნები/ საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები.

	სკოლის თვითშეფასებაში წერია, რომ კათედრის წევრების მიერ შერჩეული და დანერგილი შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეებს უვითარებს გლობალურ-ფუნქციურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ისინი ყოველთვის ითვალისწინებენ წინა წლის პრაქტიკას. შესაბამისად, იგეგმება მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება და კურიკულუმთა მოდიფიცირება/გაუმჯობესება. მათ შორის ორიენტირი სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების უფრო აქტიურად გამოყენებაა. **რჩევა:** სასურველია, კათედრა ხელმძღვანელობდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმით. კურიკულუმის თითოეული სვეტით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულად და მიზნობრივად იქნას შევსებული: თითოეული თემის ფარგლებში დაზუსტდეს ქვეცნებები და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დასამუშავებელი საკითხი (მაგ: მე-6 კლასი) სასწავლო თემის ფარგლებში, დამუშავდეს სტანდარტით გაწერილი ყველა სამიზნე ცნება (მაგ:მე-10კლასი). საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად მიეთითოს თემატური ბლოკები(მაგ: მე-9 კლასი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი საგანმანათლებლო შედეგების მიღწევაზე. კურიკულუმში თითოეული თემა აგებულია ესგ-ს სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ქვეცნებებზე, რაც გარანტიას იძლევა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება თანმიმდევრულად,

	შინაარსიანად და სრულ თანხვედრაში საგნობრივ სტანდარტთან. თემებს თან ერთვის შუალედური დავალებები - საკლასო და სასკოლო სპორტული ფესტივალები, რომელიც საუკეთესო შესაძლებლობაა მოსწავლეებისათვის, რათა რეალურ გარემოში მოახდინონ მიღებული ცოდნის დემონსტრირება. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ვიზიტზე გაცემული რჩევები და წარმოადგინეს განახლებული კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის - კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში აქვთ პროექტების განხორციელების კარგი გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის (I-IVკლ) კურიკულუმები სახელმწიფო ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. ისინი შესაბამისობაშია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან. მათში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირი თემებს, საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. კურიკულუმებით დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა. სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რჩევა და სრულყო კურიკულუმები. მაგ: III კლასის ,,მე და საზოგადოების“ კურიკულუმში, მე-2 და მე-3 თემაში გამორჩენილი იყო ცნება ,,ცვლილება“, თუმცა, ამავე კურიკულუმით დასტურდებოდა, რომ ის მუშავდებოდა შესაბამისი აქტივობებით დავალების ფარგლებში. ამგვარი ტექნიკური ხარვეზი გასასწორებელი დარჩა ქართული ენის პირველი კლასის კურიკულუმში, ამიტომ გაიცა **რჩევა:** სასურველია, ა) გადაიხედოს 1-ლი კლასის ქართული ენის კურიკულუმი და გათვალისწინებულ იქნას სტანდარტთან შესაბამისობა, კერძოდ, ანბანისშემდგომ პერიოდში

	დამუშვდეს ცნება - ,,გრამატიკა“ და ამავე პერიოდში თემების გასწვრივ მიეთითოს საკითხთა ჩამონათვალი და რესურსები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმების ჩარჩოს რესურსების ველში მითითებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ელექტრონული რესურსები, რომლებიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოფს კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** დაწყებითი საფეხური/ბუნებისმეტყველება: სასურველია ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები), ასევე სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში: დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები. ბიოლოგია: საბაზო საფეხური: IXკლ. საშუალო საფეხური: კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილ იქნას ის ელექტრონული რესურსები, რომელსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო რესურსების ერთობლიობა (ძირითადი სახელმძღვანელოები, პირველწყაროები, რუკები და სხვა ვიზუალური მასალები) შერჩეულია კურიკულუმის მიზნების შესაბამისად. სკოლაში დამხმარე რესურსების შერჩევის მიდგომა, უზრუნველყოფს მათ შინაარსობრივ სიზუსტესა და ეთიკურობას. **რჩევა:** სასურველია, სასწავლო რესურსების ბანკის პერიოდული განახლება ციფრული პლატფორმებით, რაც სასწავლო პროცეს გახდის უფრო მრავალფეროვანს. ასევე, მნიშვნელოვანია კათერა შეთანხმდეს ერთიდაიგივე კურიკულუმის დიზაინსა და სტრუქტურაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესის განმავლობაში კათედრა იყენებს შემდეგი ტიპის საგანმანათლებლო რესურსებს : გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა მაგ. გრამატიკული საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დამახსოვრების მიზნით, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის დოკუმენტში მიუთითოთ იმ სახელმძღვანელოების დასახელება, რომელსაც მიმდინარე სასწავლო წელს იყენებთ სასწავლო პროცესში. IX კლასის სახელმძღვანელოს დასახელება ჩასწორდეს დასახელებით -“Right On”, ხოლო XII კლასი - “Tune Up 4 .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალა: ვიდეომასალა, ინტერნეტ პლატფორმები და შესაბამისი ელექტრონული ბმულები. აღნიშნული რესურსები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სრულფასოვნად გაეცნონ სასწავლო საკითხებს და შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზი ადასტურებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** 1.სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა. 2. თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით; მაგალითად, ზოგადი მითითების ნაცვლად — „სამინისტროს რესურსი“ — მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი - გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე - როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსების გამოყენებით. სკოლა აღნიშნულს ასაბუთებს წარმოდგენილი კურიკულუმებით. გასათვალისწინებელია მიმდინარე სასწავლო წლის აპრილის თვეში განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშში გაწერილი რეკომენდაცია - დაინერგოს ციფრული რესურსების აქტიური გამოყენება.

	რჩევა: სასურველია, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ.რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე (დაწყებით და საშუალო საფეხურებზე). კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (თემების) წვდომა-გააზრებაში (საბაზო, საშუალო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი (სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში თემებთან მიმართებით შერჩეულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი. მასწავლებლებს კურიკულუმში მითითებული აქვთ ელექტრონული რესურსები ლინკების სახით, მათ შორის სახელმძღვანელოები, მეთოდური გზამკვლევები, პრეზენტაციები და სხვადასხვა ვარჯიშის ვიდეო ინსტრუქციები. აღნიშნული რესურსები არა მხოლოდ აუმჯობესებს სასწავლო პროცესის დინამიკას და ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, არამედ ქმნის მყარ საფუძველს თითოეული მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების წარმატებით მისაღწევად. შინაარსობრივი შესაბამისობა კი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი იყოს უსაფრთხო და ეფექტური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	აღსანიშნავია, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს, ამიტომ მასწავლებლები ძირითადად ხელმძღვანელობენ საგნობრივი სტანდარტით და იყენებენ კათედრაზე შეთანხმებულ ბეჭდურ და ონლაინ საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, სწორედ ასეთ რესურსებს იყენებენ წარმოდგენილი სკოლის მასწავლებლები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აქვთ კომპიუტერები სკოლაში, ასევე სახლებშიც და შეუძლიათ დავალებების შეუფერხებლად შესრულება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლაში

	უზრუნველყოფილია მათთვის დროის გამოყოფა კომპიუტერულ ლაბორატორიაში სამუშაოდ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები – სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული საშუალებები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები მათ აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება როგორც აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე სოციალური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე: ა) 1V კლ. **მათემატიკის** კურიკულუმში რესურსების ველი შეივსოს და მიეთითოს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაბამისი პარაგრაფები და გვერდები, ასევე სხვა დამატებითი რესურსები, მათ შორის ელექტრონული, რომელსაც მასწავლებელი იყენებს თემის/საკითხის შესწავლისას. ბ) III და IV კლასის **ქართული ენის** კურიკულუმი გამრავალფეროვნდეს და სხვა რესურსებთან ერთად დაემატოს შესაბამისი ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და მზაობას. შემოქმედებით დავალებაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების გამოვლენა. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა დავალებების ადაპტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების და ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმების დაგეგმვაში. პროცესი ორიენტირებულია ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, სადაც დაცულია ყველა მოსწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობის განათლებაზე, მათი აკადემიური მზაობისა და ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას, ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (პრეზენტაცია, პოსტერი, განრიგი, ესე და სხვ.), რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან დავალების ფარგლებში. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური საჭიროებების გეგმა მაქსიმალურად იყოს კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული. მაგ. უნდა აღწეროთ მოსწავლის აქტუალური ცოდნის დონე. კონკრეტული სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები უნდა გაიწეროს უფრო დეტალურად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. საგნობრივი კურიკულუმის ანალიზი აჩვენებს, რომ კათედრა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისას იყენებს ადეკვატურ რესურსებს. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო გეგმები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს დიფერენცირების ხარისხს. კურიკულუმში ინტეგრირებული მრავალფეროვანი საკითხები და მასალები იძლევა სასწავლო პროცესის მოდიფიცირების შესაძლებლობას, რაც თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს, საკუთარი უნარების, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა:** 1. ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის. 2.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი კლასის კურიკულუმს. მასში მკაფიოდ სასურველია გაიწეროს გრძელვადიანი და შუალედური (მოკლევადიანი) მიზნები, რომელთა საფუძველზეც დაიგეგმება მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული აქტივობები. 3.კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციაში ვეცნობით, სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. სკოლაში გამოყოფილია რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით, ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. 2025-2026 სასწავლო წელს ნენიის საჯარო სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე. ინტერვიუებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ინკლუზიურ სწავლებასა დიფერენცირებულ მიდგომებს: მოსწავლის სწავლების ტემპის, სირთულის ხარისხის, ინტერესების შესაბამისად. დავალებები შედგენილია მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი მეცადინეობები, ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლის მშობლებთან და დირექციასთან შეთანხმებით. **რჩევა:** სასურველია, სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება; სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში (მოსწავლის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების აღწერით ნაწილში), გაკეთდეს მიზნობრივი და რელევანტური ჩანაწერები: კერძოდ, გაიმიჯნოს მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები აღნიშნულის სქემის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების პრინციპს. მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებების - ფიზიკური მონაცემები, ინტერესებისა და სწავლის სტილის სიღრმისეული გაცნობიერება უზრუნველყოფს გარემოს, სადაც არცერთი მოსწავლე არ რჩება პროცესს მიღმა. დავალებების მოდიფიცირება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, თითოეული აქტივობა აქციოს მოსწავლის განვითარების საშუალებად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკული გამოყენება ადასტურებს, რომ სასწავლო გარემო ორიენტირებული არის მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში იძებნება აქტივობები, სადაც ჩანს, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად გეგმავენ და მოსწავლეებთან იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ამის მიხედვით დაგეგმილ აქტივობებს გაკვეთილებზე პრაქტიკულად ახორციელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას სასწავლო პროცესში. ნათლად ჩანს მცდელობა, რომ სწავლა-სწავლება ორგანიზებული იყოს თითოეული მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და მეთოდებს, რათა უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია (2-3 მოსწავლე კლასში), მასწავლებლები ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო შედეგებს, აანალიზებენ მათ და იქვე, გაკვეთილების პროცესში, თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული დავალებების შეთავაზებით ახორციელებენ მიზანზე ფოკუსირებულ სწავლებას. სკოლას I-IV კლასებში ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია ისგ, სადაც აღწერილია მოსწავლის უნარები. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ არ იშურებენ ძალისხმევას მისი როგორც შემეცნებითი (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება), ასევე ენა-მეტყველების, სოციალურ-ემოციური და ადაპტური სფეროების მხარდასაჭერად. **რჩევა:** სასურველია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მკვეთრად გაიმიჯნოს მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები, რათა ზუსტად განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნები; დაიგეგმოს და განხორციელდეს საჭიროებებზე მორგებული ეფექტიანი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. არის მრავალმხრივი (განმავითარებელი, განმსაზღვრელი, დიაგნოსტიკური, შემაჯამებელი, პრეზენტაციის, ლაბ. სამუშაოს) სამიზნე ცნებებზე გაწერილი და მკვიდრი წარმოდგენების გაზომვას ემსახურება. **რჩევა:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამივე საფეხურის ყველა კლასისთვის შემუშავებულ იქნას შესაბამისი განმსაზღვრელი, განმავითარებელი-თემის/შუალედური მიზნის/კონკრეტული საკითხის-კონტექსტ მაგალითის მიმართ. მნიშვნელოვანია კათედრაზე იყოს ერთიანი მიდგომა განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმის მიმართ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს დადებითი ნიშნების დაწერის ლოგიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ (პიროვნულ დ აკადემიურ) განვითარებაზე. სკოლას განემარტა რომ ყველა საფეხურზე განმავითარებელი შეფასებ ორიენტირებული უნდა იყოს სამიზნე ცნებებზე. სკოლამ გამოხატა მზაობა იმუშაოს ამ მიმართულები და შეიტანა ცვლილებები დოკუმენტში. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროექტული სწავლებ ფარგლებში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას. კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც უფრ ობიექტურად ასახავს მოსწავლეთა პრაქტიკულ კომპეტენციებს. ყველა საფეხურზე სამიზნე ცნებებზ ორიენტირებით შეფასების რუბრიკის დანერგვა პრაქტიკაში და ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	წარმოდგენილი, შემოქმედებითი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასევე, კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები, მაგ. პრეზენტაციის, დისკუსიის, პროექტის და სხვ. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურზე, გაუმჯობესდეს/დაიხვეწოს ინგლისური ენის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ რუსული ენის V კლასის რუბრიკის მიხედვით), და შეიქმნას ისეთი რუბრიკები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ დავალებას და დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები **მუსიკის საგანში დაწყებით საფეხურზე**, **ხელოვნების პროექტული სწავლების**, პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **თუმცა,** მუსიკის საბაზო, საშუალო (პროექტული სწავლება) საფეხურის, ისევე როგორც ხელოვნების დაწყებითი და საბაზო საფეხურების შეფასების რუბრიკები, არ შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ, შეფასების სქემებში არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული თემა და საკითხი, რომლის ფარგლებშიც ფასდება მოსწავლე. ასევე, არ ჩანს სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორები. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ საფეხურებზე მოსწავლის შეფასების სისტემა არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ხარვეზი:** 1.შეფასების რუბრიკების (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) შემუშავებისას, სავალდებულოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების სრული გათვალისწინება. 2.რუბრიკების შედგენისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საგნის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, რაც უზრუნველყოფს სწავლისა და შეფასების პროცესის ვალიდურობას. 3.შეფასების თითოეული რუბრიკა უნდა მიემართებოდეს

	კონკრეტულ თემას/საკითხს და მკაფიო კავშირში უნდა იყოს საგნის სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებსა და თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებთან. *ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ: ინდიკატორი N2.1.2.5 (მოსწავლის შეფასების სისტემა): დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში შეფასების სისტემა საჭიროებდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობას. წარმოდგენილი გეგმის თანახმად სკოლამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი შემდეგი მიმართულებით: შეფასების სქემების შესაბამისობა მესამე ესგ-ის საგნის სტანდარტთან (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებისას); შეფასების სქემებში კონკრეტული თემისა და საკითხის იდენტიფიცირება; კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და ინდიკატორებთან მიმართების გამოკვეთა არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.* ***სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე, განმავითარებელი შეფასება - შესაბამისი რუბრიკებით. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით დონეების მიხედვით: დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი, მაღალი. შეფასების სისტემა მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) შემოწმებაზე. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. გასათვალისწინებელია მიმდინარე სასწავლო წლის აპრილის თვეში განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშში არსებული ჩანაწერი - განმავითარებელი შეფასების უკეკავშირი ზოგჯერ ზედაპირულია და რეკომენდებულია ჩატარდეს ტრენინგები შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.

	რჩევა: სასურველია, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე მათემატიკის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სკოლამ წარმოადგინა რუბრიკები, მაგრამ ისინი ძირითადად აგებული იყო ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებით, აფასებდა ზოგადი ტიპის აქტივობებს, მიეცათ რჩევა რუბრიკები აგებული იქნას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და პრინციპების მიხედვით, კრიტერიუმები შემუშავებული იქნას სასწავლო შედეგების გათვალისწინებით და მორგებული კონკრეტულ თემასა და აქტივობებს, რათა შეფასების კრიტერიუმემბა საშუალება მისცეს შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი საკითხის/სამიზნე ცნების თითოეული თემის ფარგლებში, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სკოლას შემუშავებული აქვთ მეთოდოლოგია და სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს მძლეოსნობის, ფეხბურთის და კალათბურთის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის მოსალოდნელი შედეგები კონკრეტულ ქვესაკითხსა და შესაბამის სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ასევე წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს, ასევე ეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვაში. შეფასების რუბრიკაში გამოყოფილია კომენტარის სვეტი, სადაც მასწავლებელი შემდგომი განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციებს გაწერს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას საწყის ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების 4 საფეხურიანი რუბრიკები, რაზეც ინტერვიუს დროს მიეცათ რჩევა და მეორე დღეს გადმოგზავნეს მასწავლებლების მიერ შექმნილი სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მაგრამ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ჩასამატებელი და დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები.

	რჩევა: განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები და ქულათა ჯამი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც თემისა და საკითხის გააზრებას, ისე სხვადასხვა უნარის შეფასებას, რაც შეესაბამება მრავალმხრივი შეფასების თანამედროვე მოთხოვნებსა და მიდგომებს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ წინასწარ გაწერილ კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ვალიდურობას. ამასთან, სკოლა სისტემატურად აანალიზებს შეფასების შედეგებს. პრაქტიკაში გამოიყენება სტანდარტის შედეგებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების ფორმები, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: მასწავლებლებს შეუძლიათ შეიმუშაონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რათა მათი საშუალებით დადასტურდეს სასწავლო მასალის ათვისების შესაბამისობა ესგ-ის პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. **რჩევა:** სასურველია, ა) დაწყებით საფეხურზე, **მათემატიკაში**, III და IV კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მასწავლებლებმა ისარგებლონ I-II კლასებში შემუშავებული, სტანდარტის შედეგებზე მორგებული რუბრიკების ნიმუშებით. ბ) **ბუნებისმეტყველებაში** I, II და III კლასების შეფასების რუბრიკების შედგენისას, საორიენტაციოდ გამოიყენონ IV კლასის კურიკულუმზე დართული შუალედური მიზნის სტრუქტურაში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წწ.
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები
5. შემოქმედებითი დავალებების ბარათი
6. გაკვეთილის გეგმა
7. პედაგოგიური საბჭოს ოქმი

8. სასწავლო პროექტის გეგმა
9. დამრიგებლის პორტფოლიო
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
11. შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზი
12. დიაგნოსტიკური ტესტი და შეფასების ანალიზი
13. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
14. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
15. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
16. სასწავლო რესურსების ნუსხა
17. შეფასების ვერეფიკაციის დოკუმენტაცია
18. გრიფირებული სახელმძღვანელოები
19. რესურსების ვალიდაციის ოქმები
20. სკოლის თვითშეფასების ანგარიში
21. თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები
22. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ანგარიში
23. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სახელმწიფო ენის კათედრის ანგარიში
24. საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები
25. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☐ შეესაბამება ☒ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტების (კურიკულუმი, შემოქმედებითი დავალებები განხორციელების ეტაპებითა და შესაბამისი აქტივობებით; გაკვეთილზე დაკვირვების და უკუკავშირის ფორმა) ასევე პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე ზოგჯერ ხდება მოდიფიცირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში ასახული აქტივობები და კომპლექსური დავალებები ლოგიკურ კავშირშია სამიზნე ცნებებთან და სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას.

	რჩევა: „მე და საზოგადოების" სასწავლო პროცესი ამჟამად ხორციელდება საგნის სპეციფიკური საგნობრივი მომზადების გარეშე, რაც რისკს ქმნის კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული საგნის მასწავლებლის პროფესიული განვითარება საზოგადოებრივი მეცნიერებების მეთოდიკისა და შინაარსის მიმართულებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ უნდა იტვირთოს მხარდამჭერი ფუნქცია კოლეგიალური თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი დაგეგმვის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმებში გაწერილი საკითხები და კომპლექსური დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან. კურიკულუმებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები. კონკრეტული შუალედური მიზნებით მოსწავლეები შეძლებენ მიაღწიონ გრძელვადიან მიზნებს. შექმნილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთანავე განსაზღვრულია რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი წარიმართება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნათა სრული დაცვით, სადაც სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. პედაგოგები ფოკუსირებულნი არიან კურიკულუმით განსაზღვრულ თემებსა და საკითხებზე, ხოლო სწავლის პროცესის მთავარ ინსტრუმენტს შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს. შუალედური სასწავლო მიზნების რეალიზება მიმართულია მოსწავლის მიერ ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე, რაც გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და საფეხურებრივ შედეგებზე გასვლის გარანტიაა. **რჩევა:** 1.სასურველია, შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია, მოდელი), რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ. 2.დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის არქიტექტურული ნიმუში და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომლის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. საფეხურის კურიკულუმი

	მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საგნობრივ კურიკულუმებს; სასკოლო პროექტებს; სადამრიგებლო საათს, სასწავლო კალენდარს, შეფასების სისტემას. სამივე საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სკოლაში მიმდინარე ძირითად, დამხმარე და მმართველობითი პროცესები, რომლებიც აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში.ზემოთქმულს სკოლა ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაციით. მასწავლებლებმა ინტერვიუებისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში კურიკულუმით გაწერილ კომპლექსურ დავალებათა მოდიფიცირების საჭიროებებზე და აღნიშნეს, რომ რიგ შემთხვევაში შეიცვალა რაოდენობა ან პირობა (მაგ:მე-11 კლასი).**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია დავალებები და რესურსები, აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან შუალედური დავალების პირობად გათვალისწინებულია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ აღნიშნული აქტივობები პრაქტიკულად განხორციელდა. გაიმართა შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალი სამივე საფეხურზე - „მაგიდის ჩოგბურთი“, ხოლო შიდა საკლასო სპორტული აქტივობები განხორციელდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ვაჟები, ასევე გოგონები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ანგარიშის მიხედვით გამოიკვეთა, რომ ჩატარებულმა სპორტულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა ფიზიკური აქტიურობის გაზრდას და სპორტული უნარების განვითარებას. სპორტის მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლაში ფუნქციონირებს თავისუფალი ჭიდაობის წრე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მათი ნამუშევრები, პრეზენტაციების და სხვა ნამუშევრების სახით. სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისობიდან, ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდან

	ჩანს რომ, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან კურიკულუმით გაწერილ აქტივობებში და პროექტებში, რაც ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში წარმოდგენილ თემებს, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. სასწავლო ერთეულების დამუშავება წარიმართება კურიკულუმებში განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. ამასთან, სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შეესაბამება პრაქტიკულ სწავლებას, არამედ წარმოადგენს სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საგანმანათლებლო საჭიროებებზე, რაც დასტურდება როგორც მარეგულირებელი დოკუმენტაციით, ისე პრაქტიკული მექანიზმებით. სკოლას შემუშავებილი აქვს ერთის მხრივ, II კლასში სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესის მხარდასაჭერის მიზნით ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული მუშაობის მექანიზმი, მეორეს მხრივ, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მარეგულირებელი დოკუმენტი. ზემოთ მოცემული დოკუმენტები სკოლის თანამშრომლებისთვის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და დროული რეაგირების მიზნით შესაბამისი პროცედურებით ხელმძღვანელობის საშუალებაა. იმ პირობებში, რომ სკოლას არ დაუმტკიცდა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტის შტატი, მოსწავლის ასისტენტირების პასუხისმგებლობა ეკისრება სპეციალურ მასწავლებელს. მასწავლებელი, რომელიც მიმდინარე წელს უფროსი სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ემზადება, ფლობს ცოდნას შშმ პირთა აკადემიური მხარდაჭერის, მათი უფლებების დაცვისა და რთული ქცევის მართვის მიმართულებით. სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო (სამოქალაქო განათლების კაბინეტში სპეციალური კუთხე რბილი ავეჯით), რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, საგაკვეთილო პროცესშივე მიიღოს ინდივიდუალური მხარდაჭერა. მოსწავლეთა საჭიროებების თანმიმდევრული იდენტიფიცირებისა და დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და ადაპტაციის წესი (2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/18 ბრძანება). სამივე საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრულია რემედიაციის მექანიზმების ზოგადი აღწერა, რომლის პარალელურად მასწავლებლები მოსწავლეთა მცირე კონტინგენტის პირობებში ახერხებენ სირთულეების პრევენციას უშუალოდ

საგაკვეთილო პროცესში ან მშობლებთან ინდივიდუალური შეთანხმებით. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროცესის დროული და ეფექტური ხელშეწყობის მიზნით. სკოლის დეკლარირებული თუ მოქმედი პრაქტიკა მიგვითითებს სკოლის ეფექტური რეაგირების შესაძლებლობაზე.
სკოლას მიეცა რჩევა: 1. ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტში დააკონკრეტოს ინიციატივის წარდგენის ფორმა, მიმღები პირები, ინიციატივის მხარდამჭერი პროცესი და დაინტერესებული პირების მიერ დაყენებული ინიციატივის თაობაზე სკოლის დირექციის მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის პროცედურა. 2. სკოლამ შექმნას რემედიაციის პროგრამით მუშაობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მიზანს, სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმებს, პროგრამის განხორციელების საფეხურებსა და ვადებს, პროგრამის მონაწილეთა ფუნქცია- მოვალეობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაზეც მეტყველებს ის, რომ მოსწავლემ წინასწარ იცის თუ რა კრიტერიუმებით იზომება მისი ნაშრომი, რა ქულობრივი წონა აქვს თვითოეულ კრიტერიუმს, ყველა მოსწავლისათვის შეფასების რუბრიკა საერთოა, ასევე ხდება მოსწავლის მიერ თვითშფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედებს შეფასების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. სისტემურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისთვის, უკუკავშირი კი მიმართულია მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის ხელშეწყობისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს და იციან კონკრეტულად რა ცოდნა და უნარები მოეთხოვება მათ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **რჩევა:** თქვენს მიერ, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ზოგადი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მოარგოთ კონკრეტულ დავალებას და დააკონკრეტოთ ის ცოდნა, უნარები და

	კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავდა მიზნად კონკრეტული დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რუბრიკები შემუშავებული არაა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მუსიკის საბაზო და ხელოვნების დაწყებით და საბაზ საფეხურზე შეფასების სისტემა არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები ზოგადია, რთულად აღქმადი, კრიტერიუმები ცნებათა ინდიკატორებს არ მიემართება და თემას/საკითხს არ შეესაბამება. შესაბამისად, შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ხარვეზი:** 1.რუბრიკა არ უნდა აფასებდეს მხოლოდ ტექნიკურ შესრულებას დროის ლიმიტს, დაგეგმვას და სხვ. მასში მკაფიოდ უნდა ჩანდეს საგნობრივი სამიზნე ცნებები ქვეცნებები, თემასთან/საკითხთან მიმართებაში. 2.თითოეული შემოქმედებითი/შემაჯამებელი დავალებისთვის უნდა შეიქმნას ინდივიდუალური რუბრიკა, რომელიც პირდაპირ პასუხობს მოცემულ საკითხს და არა ზოგადად საგანს. 3.უნდა გამოიყენოს ესგ-ით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები და მათი ადაპტირება მოახდინოს კონკრეტულ თემაზე. კრიტერიუმი უნდა პასუხობდეს კითხვას: *„ზუსტად რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ ამ დავალებით?“* 4.იმისათვის, რომ შეფასება იყოს განმავითარებელი, რუბრიკა უნდა ასახავდეს ცოდნის გაღრმავების დონეებს (რაოდენობრივიდან თვისობრივზე გადასვლას). ეს დაეხმარება მასწავლებელს, დაინახოს, თუ სად იმყოფება მოსწავლე და რა ნაბიჯებია საჭირო წინსვლისთვის. 5.შეფასება მხოლოდ მაშინ გახდება ვალიდური, როდესაც კრიტერიუმები ზუსტად იმ გაზომავს, რაც სწავლის მიზნით იყო განსაზღვრული. მასწავლებლებმა უნდა გადახედონ შემაჯამებელ დავალებების ფორმატს და დააკავშირონ ისინი გრძელვადიან მიზნებთან. 6.შემაჯამებლის ანალიზში უნდა გამოიკვეთოს კონკრეტულად, რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რა შედეგია მიღწეული; 7.შემაჯამებლის დავალებები/ ტესტები უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.). *ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ: ინდიკატორი N2.2.1.3 (შეფასების სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა): სახვით და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების რუბრიკები ორიენტირებული იყო ზოგად უნარებზე და არა კონკრეტულ საგნობრივ სამიზნე ცნებებზე. სკოლამ შესაბამისობაში*

	უნდა მოიყვანოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა (ყველა საფეხურზე): შეფასების რუბრიკები დაეფუძნოს საგნობრივ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს (და არა მხოლოდ ტექნიკურ შესრულებას, დროის ლიმიტს ან შემოქმედებითობას); თითოეული შემოქმედებითი/შემაჯამებელი დავალებისთვის შეიქმნას ინდივიდუალური რუბრიკა; რუბრიკებში გამოიკვეთოს ესგ-ით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები და მოხდეს მათ ადაპტირება კონკრეტულ თემაზე/შუალედურ სასწავლო მიზანზე არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა. ***სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.***
სახელმწიფო ენა	არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამას მოწმობს მტკიცებულების სახით გადმოგზავნილი მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების მასალები,შეფასების რუბრიკები. სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვას, განხორციელების პროცესს, მტკიცებულებათა შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. **რჩევა:** სასურველია, შემაჯამებელ დავალებათა მიზანი გაიწეროს სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში; კომბინირებული შემაჯამებელი დავალების შემთხვევაში (ტესტი, თხზულება) დაზუსტდეს ქულის დაკონვერტირების ინსტრუქცია; საფუძვლიანი უკუკავშირის მიზნით, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული შეფასების ზოგადი რუბრიკები, შეძლებისდაგვარად, კონკრეტული სასწავლო მასალით დაკონკრეტდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არა მხოლოდ ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, არამედ ქმნის მყარ საფუძველს სწავლების ხარისხის მუდმივი ამაღლებისა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური განვითარებისთვის. შეფასების პროცესში განსაკუთრებული

	ყურადღება ენიჭება მოსწავლის მიღწევების ზუსტ აღწერას. კონსტრუქციული უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეს, პოზიტიურად გააცნობიეროს საკუთარი პროგრესი და დაინახოს განვითარების რეალური გზები. მასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა წინასწარ ინფორმირებას შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. თუმცა განმსაზღვრელ შეფასები რუბრიკაში დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულები, რათა საბოლოოდ კრიტერიუმების შესაბამისი ქულათა ჯამი იყოს სწორი. რისთვისაც მასწავლებლებს მიეცათ რჩევა და მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა აღნიშნული კორექტირების განხორციელებისათვის. **რჩევა:** განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში დაკორექტირდეს ქულათა ოდენობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. თითოეული რუბრიკა შეესაბამება კონკრეტული აქტივობის შინაარსსა და მიზანს. მათში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. ამგვარად, შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ მოლოდინებს და ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტების მიხედვით, მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, იყენებენ შეფასების სხვადასხვა ფორმებს (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რაც კიდევ უფრო ამყარებს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N01-02/32 ბრძანების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების პრინციპებს, ვერიფიკაციის განხორციელების პროცედურას, მონაწილე ჯგუფებსა და ვერიფიკაციის მიმართულებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი: 1. ვერიფიკაციის წესისა და ჯგუფის შექმნის დოკუმენტებში იკითხება ჯგუფის წევრების განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობები. 2.ვერიფიკაციის წესისა და ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიშის დოკუმენტებში იკითხება მცირედი შეუსაბამობა შედეგებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის (მიგნება მასწავლებელთა პორტფოლიოს სრულფასოვნების შესახებ, ვერიფიკიის ჯგუფის ანგარიშის N1 და N2 დანართი). შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტის დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტი და შერჩევის პრინციპი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შემაჯამებელი დავალების შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებს ეცნობა ზეპირსიტყვიერად და შესაბამის გაკვეთილზე დაფაზე გამოკვრის გზით. ზემოთ ნახსენები დოკუმენტების არსებობა მიუთითებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესისადმი მზაობას.

სკოლას მიეცა რჩევა: 1.შეფასების ვერიფიკაციის წესის დოკუმენტში გაიწეროს შემდეგი საკითხები: (1) მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები, (2)ვერიფიკაციის რისკები, (3) ვერიფიკაციის განხორციელების შესაძლო პირობები (მაგ. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე; შერჩევითი პრინციპით, კონკრეტულ საგანში გარკვეული პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში; გეგმიურად - შიდა ვერიფიკაციის მიზნებისთვის, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება რომელ საგნებსა და კლასებში მოხდება გეგმიური ვერიფიკაცია), (4) შერჩევის სტრატეგია (მაგ. გენდერული გადანაწილება, მაღალი და დაბალი შეფასების მქონე ნაშრომების თანაფარდობა, შერჩევის შემთხვევითობა, კლასის საერთო რაოდენობის ნაშრომების რამდენი პროცენტი გამოიყენება ვერიფიკაციისთვის ან სხვა), (5)შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების არანაკლებ 3 წლის ვადით სათანადო აღრიცხვისა და შენახვის თაობაზე; 2.შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტს დანართის სახით მიებას დასკვნის მომზადებისთვის წინასწარ შემუშავებული სპეციალურ ფორმა (მაგ. ცხრილის სახით); 3.სკოლამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა ფუნქცია-მოვალეობების ურთიერთშესაბამისობა ჯგუფის შექმნისა და ვერიფიკაციის წესის დოკუმენტებში; 4.ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში და მისი დანართები სრულად შესაბამისობაში მოვიდეს ვერიფიკაციის წესით განსაზღვრულ მიზნებთან, რათა დოკუმენტებში აისახოს უშუალოდ ვერიფიკაციის პროცესით გათვალისწინებული ობიექტური შედეგები; 5.შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტების „ქუდის“ შექმნის დროს დაიცვას მონაცემთა ერთგვაროვნება, რათა თითოეულ ფორმაში სრულყოფილად აისახოს ვერიფიკატორის ვინაობა, საგანი, კლასი და ის კონკრეტული ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ნაშრომის შეფასება; 6.მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლასთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთი საკითხი შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განვითარება იქნება (მაგ. საგნებში, სადაც სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს „მეგობარი“ სკოლის მასწავლებელი).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას გააჩნია პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეყრდნობა 2013 წლის 22 აგვისტოს 113/ნ ბრძანებას, რომლის მიხედვით სკოლაში მოსწავლის პირადი საქმეები დაცულ ადგილას, მატერიალური ფორმით შეინახება 75 წლის ვადით, დამრიგებლისთვის წვდომის უფლების მინიჭებით. შესაბამისად, პირად საქმეში შეტანილი მოსწავლის აკადემიური მოსწრება, წლიური შეფასებები, ცნობები, ექსტერნზე ინფორმაცია და სხვა მონაცემები პირადი საქმის შენახვის ვადით შეინახება. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეფტუალურ და საფეხურეობრივ დოკუმენტებში იკითხება შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადოდ აღრიცხვისა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის შესახებ ჩანაწერი. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეების პირადი საქმეები ინახება დირექტორის კაბინეტში განთავსებულ კარადაში, ხოლო სკოლა დამთავრებულ მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, დირექტორის პირად პასუხისმგებლობაში არსებულ სამოქალაქო განათლების ოთახთან მდებარე სპეციალურად გამოყოფილ კაბინეტში. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერით სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მის ხელთ არსებული მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა კონცეპტუალური 2025-2026წწ.
   დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
4. განმავითარებელი უკუკავშირის ნიმუშები
5. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები და კრიტერიუმები
6. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების ბარათები
7. დიაგნოსტიკური წერების ნიმუშები და ანალიზი
8. შემოქმედებითი დავალებები განხორციელების ეტაპებითა და აქტივობებით
9. გაკვეთილის გეგმა
10. თვითშეფასება
11. შეფასების ვერიფიკაციის წესი

12. ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში
13. შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტაცია II და VIII კლასი
14. შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ N01-02/32-01 ბრძანება
15. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
16. პერსონალური მნაცემების დაცვის დოკუმენტი და ბრძანება
17. ვალიდაციის დოკუმენტი
18. მოსწავლის თვითშეფასების ფორმა
19. ჭიდაობის წრის პროგრამა
20. გაკვეთილის რეფლექსია
21. შემაჯამებელი დავალებები
22. სასწავლო პროექტის გეგმა
23. განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია
24. შემაჯამებელი დავალებების ანალიზები
25. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
26. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი
27. მოსწავლის ადაპტაციის წესი
28. მოსწავლსი ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი
29. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ანგარიში
30. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიში
31. საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმა
32. საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხოური ენის კათედრის სხდომის ოქმი
33. გაკვეთილზე დაკვირვებისა და უკუკავშირის ფორმა
34. განხორციელებული შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალის და სხვადასხვა სპორტული აქტივობების ამსახველი ფოტომასალა,სიგელები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კურიკულუმებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე (ელექტრონული რესურსები: (ტელესკოლა; ვირტუალური ლაბორატორია (ფიზიკა, ქიმია)) აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში სასწავლო პროცესი ეფუძნება როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს ისტორიულ წყაროებს, რუკებს, გრაფიკულ ორგანიზატორებს, სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებს და ვიდეომასალას, სამიზნე ცნებებთან შინაარსობრივ კავშირშია. პროექტულისწავლების გეგმები ადასტურებს, რომ მასწავლებლები რესურსებს მიზნობრივად, კურიკულუმის შესაბამისად იყენებენ. **რჩევა:** იმ კურიკულუმებში, სადაც რესურსები მხოლოდ ზოგადად არის მითითებული, მიზანშეწონილია ალტერნატიული სასწავლო მასალების ადაპტირებული წყაროების, თემატური ვიდეორგოლებისა და ინტერაქტიული დავალებების დამატება. „მე და საზოგადოების" კურიკულუმში რესურსების მრავალფეროვნება საჭიროებს გაძლიერებას, მიზანშეწონილია ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული ალტერნატიული სასწავლო მასალების, ადაპტირებული წყაროების და თემატური ვიდეორგოლების დამატება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს დამატებითი ლიტერატურის სახით (Facts and Figures, What a world, Raymond Murphy-Grammar და სხვ.) რაც

	ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების და ელექტრონული რესურსების სახით, რაც დაეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში ინტეგრირებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითად სასწავლო წყაროს გრიფირებული სახელმძღვანელოები წარმოადგენს. რესურსების შერჩევის პროცესში პრიორიტეტულად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, კათედრა აქტიურად იყენებს როგორც გრიფირებულ და დამატებით ლიტერატურას, ისე მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებსა და „ტელესკოლის“ საგანმანათლებლო გაკვეთილებს. **რჩევა: 1.** სასურველია, პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა. 2.სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს. 3.ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ვეცნობით, რომ კურიკულუმებში განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი არჩეულია სასწავლო კათედრების მიერ, პედაგოგთა უშუალო მონაწილეობით. საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადი - გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებია, გამრავალფეროვნების მიზნით კი (სამივე საფეხურზე) მასწავლებლები იყენებენ თვალსაჩინოებებს, პლაკატებს, მაკეტებს, ელ.რესურსებს. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის გამოყენება სასწავლო პროცესში დასტურდება საგნობრივი

	კურიკულუმებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით და თემის ფარგლებში გაკეთებული რეფლექსიებით. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს კათედრისა და პედსაბჭოს დანართის ჩანაწერები გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით (პირველი/მეორე კლასები).
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში თითოეულ თემასთან დაკავშირებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში გაწერილია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ლინკების სახით, მათ შორის სახელმძღვანელოები, პრეზენტაციები, ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები და სპორტის სხვადასხვა სახეობის გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, რომლებიც იძლევა საშუალებას სწავლების პროცესი წარიმართოს პრაქტიკაზე ორიენტირებული მეთოდებით. აღნიშნული რესურსები მნიშვნელოვნად ამრავალფეროვნებს სასწავლო გარემოს და ეხმარება მოსწავლეებს თეორიულად და პრაქტიკულად გაიღრმავონ ცოდნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს საგნობრივ კათედრაზე შეთანხმებულ რესურსებს, ასევე იცნობენ და იყენებენ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში, წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები განხორციელებული პროექტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს – „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები, ასევე სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალები. მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ ისე, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაში. კურიკულუმებით დასტურდება როგორც ვიზუალური, ასევე აუდიო და ციფრული მასალების გამოყენება, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და შეესაბამება როგორც გაკვეთილის მიზნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გადასინჯვისას მოხდა სასწავლო რესურსების ვალიდაცია/დამოწმება შესაბამისობით განსაზღვრული სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებობს დამხმარე რესურსების შესწავლისა და ვალიდაციის პრაქტიკა, მასწავლებლები აფასებენ მასალების შინაარსობრივ სისწორეს და ასაკობრივ-კულტურული შესაბამისობისობას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მიწოდებული რესურსების ხარისხს. **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების ერთიანი მიდგომა, რათა ყველა საგნის კურიკულუმი თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი როგორც ტექსტური, ისე მულტიმედიური და ციფრული საძიებო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. უცხოური ენების კათედრა განსაზღვრავს არის თუ არა დამხმარე სასწავლო რესურსი მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ისინი ასევე ადგენენ -არის თუ არა ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებისას სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც პირდაპირ აისახება საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა დაცვაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ, ხოლო მათი მიზნობრიობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან წინასწარ არის განხილული კათედრის სხდომებზე. სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალებიდან, არხებიდან და პლატფორმებიდან მოძიებული მასალების სისტემური შერჩევა და კოლეგებთან განხილვა ადასტურებს რესურსების ვალიდაციას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვეცნობით, რომ საგნობრივ კურიკულუმებში დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც შემდეგ სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია, შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე. ქართული ენისა ლიტერატურის კათედრის პირველი ოქმის ჩანაწერისა და მასწავლებელთა ინტერვიუებისას მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურსთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე

	მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცხადი გახდა და ინტერვიუზეც გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესი სკოლაში წინასწარ არის დაგეგმილი. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის პირველ სხდომაზე განხილული იქნა ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი და შეირჩა ისეთი მასალები, რომელიც არის მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი, სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი. განხილვის შემდეგ, კათედრის სხდომაზე დამტკიცდა 2025-2026 სასწავლო წლისათვის გამოსაყენებელი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელიც შთანხმებული აქვთ საგნობრივ კათედრაზე და გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევის პროცესში – მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ ახალ სასწავლო მასალებს და აფასებენ მათ მიზნობრიობას. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს კათედრისა და პედ. საბჭოს დანართის ჩანაწერები გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ლაბორატორიები. სამივე საგნისთვის არის სწავლა-სწავლებისთვის შესაბამისი ზღვრული მატერიალური რესურსი, რაც აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო კვლევა/ექსპერიმენტისთვის. ქიმიის ლაბორატორიის სივრცე არ არის აღჭურვილი უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნის (ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე საფარით დაფარული მაგიდა) შესაბამისად. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ქიმიის მიმართულებით ხორციელდება მხოლოდ მარტივი-ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო კვლევა/ექსპერიმენტი. **ხარვეზი:** სკოლაში ქიმიის ლაბორატორიის სივრცე არ არის აღჭურვილი უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნის (ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მასალით დაფარული მაგიდა) შესაბამისად. **კომენტარი**: სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სასწავლო შედეგის მიღწევიდან გამომდინარე აუცილებელია/საჭიროა ქიმიის ლაბორატორიაში იყოს მოქმედი ამწოვი კარადა და ცეცხლგამძლე მასალით დაფარული მაგიდა. *ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ, ქიმიის ლაბორატორია (საბაზო და საშუალო საფეხური): სკოლამ უნდა უზრუნველყოს ქიმიის ლაბორატორიის სივრცე უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნის (ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მასალით დაფარული მაგიდა) შესაბამისად არა უგვიანეს 2027 წლის 1 ივლისისა. აღნიშნულიდან გამომდინარე,* ***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით შერჩეული მატერიალური რესურსით. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ გააგრძელოს ციფრული და გაზიარებული რესურსების აქტიური გამოყენება, რაც მცირეკონტინგენტიანი სკოლის პირობებში სასწავლო პროცესის ხარისხს მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები, რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ადეკვატური მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის სივრცითი და მატერიალური შესაძლებლობები, ისევე როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო კონტექსტი. სკოლაში არსებული რესურსული ბაზა სრულად შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები. წვდომა ინტერნეტთან.) სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. კერძოდ, ორი ადაპტირებული სველი წერტილი, რესურსოთახი, პანდუსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ

	საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის ცენტრალურ შენობას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომლის იატაკი დახაზულია და დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები. სკოლაში გამოყოფილი აქვთ სივრცე, სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის აღჭურვილობა. ეზოში აქვთ ღობით შემოსაზღვრული ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი, რომელიც ასევე დახაზულია და დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები. აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: ტრენაჟორი „თხილამური“, სავარჯიშო ჰანტელები, მაგიდის ჩოგბურთის აღჭურვილობა, ბურთები, კონუსები, ფიშკები. სკოლის <u>მეორე შენობაში (დაწყებითი საფეხურის შენობა) არ აქვთ შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი.</u> მასწავლებელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ ხელსაყრელ ამინდში ფიზიკური აქტივობებისთვის იყენებს ეზოს და ასევე სხვადასხვა სპორტული აქტივობის განსახორციელებლად ხშირად იყენებენ სკოლის ძირითად შენობაში არსებულ შიდა სპორტლ დარბაზს და გარე სპორტულ მოედანს, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ხის შენობა 12 კმ.-ით არის დაშორებულო ცენტრალური შენობისგან, რაც შეუძლებელს ხდის, ყოველდღიურად ცენტრალური შენობის დახურული სპორტული დარბაზის გამაყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი ვერ იძლევა საშუალებას, მასწავლებლებმა ჯეროვნად განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი სპორტული აქტივობები. *ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ, ინდიკატორი N2.2.2.3 (მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა): ნაკანაფევის შენობას არ გააჩნდა სპორტული ინფრასტრუქტურა; სკოლამ ნაკანაფევის დაწყებითი საფეხურის ხის შენობა უნდა უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზითა და გარე სპორტული მოედნით კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების ჯეროვნად განსახორციელებლად არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.* ***სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.***

ტექნოლოგიები	მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს კომპიუტერული ტექმოლოგიების ლაბორატორია, რომელშიც მუშაობენ მოსწავლეები, აღნიშნეს ისიც, რომ თითქმის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია პირად საკუთრებაში არსებული ბუკებით და ლეპტოპებით და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობა, როგორც გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე გაკვეთილების შემდეგაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს – „კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური ბაზით, რომელიც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივ და ტექნოლოგიურ რესურსებს. სასწავლო სივრცეები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ ნიშნულს, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას ქმნის. სკოლა უზრუნველყოფს საკლასო ოთახების შესაბამისობას როგორც ასაკობრივ, ისე საგნობრივ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში დასაქმებულ პირთა უმრავლესობასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები პოზიციის შესაბამისად, თუმცა უფროსი, წამყვანი და დროებით მოვალეობის შემსრულებელი მასწავლებლების ხელშეკრულებები ერთგვაროვანია და არ ითვალისწინებს მასწავლებლის სტატუსით განსაზღვრულ სპეციფიკურ ფუნქციებს. სკოლას ჰყავს 29 თანამშრომელი, მათ შორის 18 მასწავლებელი. აღნიშნულის გარდა სკოლაში დასაქმებულია 11 პირი (მათ შორის ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი). მასწავლებელთა ნაწილს აქვს უფროსი მასწავლებლის, ხოლო ორს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი (ქართული ენა და ლიტერატურა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები). სკოლას ჰყავს მოწვეული მასწავლებელის სტატუსის მქონე პირები (ინგლისური ენა და სპეციალური მასწავლებელი). მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა ნაწილი დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გარეშე. კერძოდ, ფიქსირდება აკადემიური განათლების

(დიპლომის) შეუსაბამობა ფაქტობრივ საგნობრივ დატვირთვასთან (მაგ. ფიზიკის მაგისტრი მათემატიკაში) და მასწავლებელთა დასაქმება საგნის გამოცდის ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული სტატუსის გარეშე. აღნიშნული ეწინააღმდეგება შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებს - "ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 21 ოქტომბრის №143/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებულ "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას" და ეროვნული სასწავლო გეგმით შესაბამისი საგნობრივი ჯგუფების სწავლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის ათამდე მასწავლებელი მიმდინარე წელს დარეგისტრირებულია მასწავლებლის საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე, მათ შორის სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ამ ეტაპზე პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს ტრენინგ-მოდულების საფუძველზე, რაც მოიცავს შშმ პირთა აკადემიური მხარდაჭერის, მათი უფლებების დაცვისა და რთული ქცევის მართვის მიმართულებებს. პარალელურად, სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისა და დირექტორთან გასაუბრებით იკვეთება, რომ გეოგრაფიული მდებარეობისა და ქვეყანაში არსებული ინტენსიური ურბანიზაციის გამო, კვალიფიციური კადრის სიმცირის პირობებში, სკოლა სასწავლო პროცესს არსებული ადამიანური რესურსით მართავს, რასაც მოწმობს მიმდინარე სასწავლო წელს რამდენიმე საგანში გამოცხადებული ღია კონკურსის ჩაშლის ფაქტიც. სკოლა იყენებს მომიჯნავე დისციპლინის მასწავლებელთა რესურსს, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის ფარგლებში, ისტორიის კვალიფიციური მასწავლებლები, უძღვებიან მე და საზოგადოების, გეოგრაფიის, ჩვენი საქართველოსა და სამოქალაქო განათლების საგნებს. სკოლა მიმდინარე წელს აწარმოებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგს, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ხარვეზი: <u>სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მათ მიერ ფაქტობრივად საგაკვეთილო პროცესში დაკავებულ პოზიციებს სამივე საფეხურზე, რაც ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნებს. პედაგოგთა მხრიდან შესაბამისი აკადემიური განათლების ან/და საგნობრივი კომპეტენციის (სტატუსის) დადასტურების არქონა ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობას.</u>

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის წარმოდგენილი გეგმა სრულად იქნა გაზიარებული. კერძოდ, ინდიკატორი N2.2.2.4 (ადამიანური რესურსი): სკოლაში დასაქმებულ პედაგოგთა ნაწილის კვალიფიკაცია ან/და სტატუსი არ შეესაბამებოდა კურიკულუმის მოთხოვნებს. სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ დასაქმებულები იყვნენ მასწავლებლები შესაბამისი კვალიფიკაციით, რათა პედაგოგთა მხრიდან შესაბამისი აკადემიური განათლების ან/და საგნობრივი კომპეტენციის (სტატუსის) დადასტურებით უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობა არა უგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა. ***სკოლას შეეცვალა შეფასება მეტწილი შესაბამისობით.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წწ.
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები
5. გაკვეთილის გეგმა
6. სასწავლო პროექტის გეგმა
7. რესურსების ვალიდაციის ოქმები და დოკუმენტები
8. ვერიფიკაციის დოკუმენტებიი
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
10. ისგ ოქმი
11. მოსწავლის თვითშეფასების ფორმა
12. გაკვეთილის რეფლექსია
13. შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზები
14. გაკვეთილზე დაკვირვებისა და უკუკავშირის ფორმა
15. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსების ჩამონათვალი
16. ფოტომასალა - ლაბორატორიის ვიზუალიზაცია
17. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის ფოტომასალა
18. სკოლის ვებგვერდი
19. შემოქმედებითი დავალებებსი განხორციელების ეტაპები აქტივობებით, ბარათები, ამსახველი მასალა და შესაბამისი შეფასების რუბრიკები
20. სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები
21. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ანგარიში
22. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიში
23. საგნობრივი კათედრის სამოქმედო ოქმები
24. მასწავლებლების მორიგეობის განრიგი
25. თანამშრომელთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებები
26. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი
27. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები (მათ შორის, N1)
28. ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის 2025 წლის 27 აგვისტოს ბრძანება N01-02/10

29. ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N5 04.09.2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია ზოგადი პროცესი, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების კათედრის სხდომებზე განხილვასა თუ კათედრის ხელმძღვანელის მიერ დირექციისთვის გამთლიანებული მასალის წარდგენას. დოკუმენტში კონკრეტიკა აკლია მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს, მათი გამოყენების ფორმასა და პერიოდულობას. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზი. მასწავლებელთა საქმიანობის შესწავლისთვის დანერგილია შემდეგი პრაქტიკა: საგნობრივი და სადამრიგებლო ანგარიშები, საგნობრივი კათედრისა და სადამრიგებლო პორტფოლიო, თვითშეფასებისა და საგნობრივი კათედრის წარმომადგენლების დაკვირვების წარმოების პრაქტიკა. სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, სამეურვეო საბჭოს წარედგინება დირექტორის ერთწლიანი ანგარიში. სკოლის დირექტორის 2025 წლის N01-02/27 ბრძანების მიხედვით განისაზღვრა სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია შეფასების მიმართულებები, პასუხისმგებელი პირები და პროცედურა. სკოლამ წარმოადგინა თვითშეფასებისა და ხარისხის განვითარების მხარდაჭერი ჯგუფის შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც მეტწილად იკითხება მასწავლებლის პრაქტიკისა და ძლიერი მხარის აღწერა. სკოლას მშობლების უკუკავშირის მისაღებად შექმნილი აქვს ორი სახით კითხვარის ფორმა: 1. ორიენტირებულია სტრატეგიულ დაგეგმარებასა და სასწავლო პროცესის შინაარსობრივ მხარეზე; 2. მიზნად ისახავს არაფორმალური განათლებისა და სასკოლო კულტურის განვითარებაში მშობელთა ჩართულობას, რაც მოიცავს მათ ინიციატივებს ღონისძიებების, ექსკურსიებისა და კლასის საათის თემატიკის დაგეგმვის პროცესში. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები (კითხვარები, ანგარიშები) უზრუნველყოფს პროცესში ჩართული ყველა მხარის უკუკავშირის გაზიარების პროცესს.

სკოლას მიეცა რჩევა: 1. სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვის პროცედურული ნაწილი, მათ შორის ინსტრუმენტები, პერიოდულობა და მონაწილე პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლაში სასწავლო პროცესის შესწავლა მიმდინარეობს მოსწავლის, მასწავლებლისა და ორგანიზაციულ დონეზე, სადაც მცირე კონტინგენტი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, უფრო ეფექტურად განახორციელოს თითოეული მოსწავლისა თუ მასწავლებლის საჭიროებების სიღრმისეული შესწავლა. პედაგოგიური საბჭოს მიერ განსაზღვრული გეგმის თანახმად, კათედრის სხდომაზე მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრების პროცესის დაგეგმვა და შემდგომი განხილვა. მოსწავლეები მიმდინარე შეფასების, შემაჯამებელი დავალებებისა თუ დიაგნოსტიკური წერების ანალიზის შედეგები განიხილება სემესტრის შემაჯამებელ საგნობრივი კათედრის სხდომასა და მშობელთა კრებაზე. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება წარმოადგენს მოსწავლისთვის გაკვეთილის გეგმის მოსწავლეზე მორგების, დამატებითი მეცადინეობის დანიშვნის ან/და საგნობრივი კურიკულუმების განახლების საფუძველს. სკოლაში არსებული თვითშეფასების, კათედრის ხელმძღვანელისა და დირექტორის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მიზნით გამოყენებული რუბრიკა, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კონსტრუქტივიზმის პრინციპებისა და გლობალურ-ფუნქციური უნარების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების შეფასების საშუალებას წარმოადგენს. ამ პროცესში მონაწილე მასწავლებელთა შეფასება მიმართულია ეფექტური პედგოგიური პრაქტიკის დანერგვასა და გამოცდილების გაზიარებაზე. სკოლსი მიერ წარმოდგენილი მშობელთა კითხვარები საშალებას იძლევა, ერთის მხრივ,

შეფასდეს კურიკულუმის დანერგვისა და შეფასების სისტემის ეფექტიანობა, ხოლო მეორეს მხრივ ჩამოყალიბდეს არაფორმალური განათლებისა და სასკოლო კულტურის მიმართულებები. მეშვეობით მიღებული უკუკავშირი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, გამოკვეთოს საჭიროებები (მაგ: სადისციპლინო საკითხები, რესურსებით აღჭურვა, ღონისძიებების თემატიკა) და დაგეგმოს კონკრეტული ინტერვენციები პრობლემის გადაჭრის მიზნით. აღნიშნული პრაქტიკის მეშვეობით სკოლას შესაძლებლობა აქვს გამოკვეთოს საჭიროებები და დაგეგმოს მიზნობრივი ინტერვენციები.

სკოლას მიეცა რჩევა:

1. ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება.

2.სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევებისა და წინსვლის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრისაგან (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში სასწავლო პროცესის შესწავლა მიმდინარეობს მოსწავლის, მასწავლებლისა და ორგანიზაციულ დონეზე, სადაც მცირე კონტინგენტი იძლევა თითოეული წევრის საჭიროებების თანადროულად და სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის შესწავლა ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე, რასაც ადასტურებს მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საფუძველზე გაკვეთილის პროცესის მათ საჭიროებებზე მორგება და დამატებითი მეცადინეობების დანიშვნის პრაქტიკა. მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერისთვის გამოიყენება დირექტორის/კათედრის ხელმძღვანელის შეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა. კათედრებზე განიხილება ერთის მხრივ, დაგეგმილი საჩვენებელი გაკვეთილი, მეორე მხრივ, გაკვეთილის ჩატარების შემდეგ მასწავლებლის თვითშეფასება და ზეპირსიტყვიერად ზიარდება შემფასებლის უკუკავშირი და რეკომენდაცია. მშობელთა კითხვარების გამოყენება სკოლას ეხმარება სასწავლო გარემოსა და ადმინისტრაციული პროცესების მშობელთა მოლოდინებთან თანხვედრაში. სკოლის მიერ გამოყენებული სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის მიერ ნაწარმოები ანგარიშები ქმნის მყარ საფუძველს უკუკავშირისთვის, რაც პროცესში ჩართულ ყველა მხარეს ეხმარება საკუთარი როლის გააზრებასა და განვითარებაში.

სკოლას მიეცა რჩევა: 1. მოსწავლეთა უკუკავშირის საკვლევი კითხვარის ფორმატში აქცენტი გაკეთდეს ღია კითხვებზე (თვითგამოხატვა, პოზიტიური გამოცდილება, ინიციატივები) და შედეგები აისახოს სადამრიგებლო პროგრამებში, სწავლების მეთოდებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
3. სამეურვეო სანჭოს სხდომის ოქმი N03-04/05 (10.12.2025)
4. დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ
5. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმი N2 (26.12.2025)
6. მშობელთა კრების VIII კლასის ოქმი N2 (29.12.2025)
7. დამრიგებლის პორტფოლიო V და VIII კლასი
8. შემაჯამებელი დავალების ანალიზი (რუსული ენა Vდა VII, მუსიკა IX, მათემატიკა V)
9. დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები (სამოქალაქო განათლება X, ჩვენი საქართველო VI, ისტორია VIII, ფიზიკა XI)
10. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთერთშეფასების დოკუმენტაცია (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქიმია, რუსული ენა)
11. სტრატეგიული დაგეგმარებისა და ჩართულობის მშობელთა კითხვარის ფორმები
12. მასწავლებლის პირველი სემესტრის ანგარიშები (ინგლისური, რუსული, საბუნებისმეტყველო)
13. საგნობრივი კათედრის პირველი სემესტრის ანგარიშები (უცხოური ენა, მათემატიკა, საზოგადოებრივი მეცნიერებები)
14. დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლზე. მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების, შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზს. სკოლის მცირე კონტინგენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება ყოველდღიური ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია. სკოლა ეყრდნობა დირექტორისა თუ კათედრის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ დაკვირვებებს, მასწავლებლის თვითშეფასებას, მასწავლებლის/დამრიგებლის საქმიანობის ანალიზს, რაც ქმნის მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მრავალფეროვან ბაზას. ინსტიტუციურ დონეზე, შეფასების წყაროდ გვევლინება მშობელთა ორი სახის კითხვარი, კათედრის

ხელმძღვანელებისა და დირექტორის ანგარიშები, რომლის შეფასება ხდება სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. მოცემულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლეთა მიღწევების შეფასება მიმდინარეობს დიაგნოსტიკურ წერების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა (ესე, ტესტი, რეფერატი) და განმავითარებელი შეფასების გამოყენებით, რაც მოსწავლის წინარე ცოდნისა და ინდივიდუალური პროგრესის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებელთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მიემართება საგაკვეთილო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან (კონსტრუქტივიზმი, გლობალურ-ფუნქციური უნარები) შესაბამისობის დადგენას. კათედრული პორტფოლიოებისა და საგნობრივი ანგარიშების წარმოების პრაქტიკა მასწავლებლის საქმიანობის სისტემურ ჭრილში შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მშობელთა კითხვარების გამოყენება სკოლას საშუალებას აძლევს განსაზღვროს კურიკულუმის, არაფორმალური განათლების პრიორიტეტები და სასკოლო კულტურის განვითარებისკენ მიმართული კონკრეტული ინტერვენციები. ზემოთ აღნიშნული პროცესების სასწავლო წლის განსხვავებულ პერიოდში მიმდინარეობა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეფასებისას სხვადასხვა კონტექტის გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. მოსწავლეთა მიღწევების შეფასების პროცესში გამოიყენება - ანალიტიკური ესე, რეფერატი, ტესტირება. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიმართულებით - ანკეტირება, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი. მშობელთა უკუკავშირის მისაღებად ანკეტირება და/ან გამოკითხვა. მოცემულის გათვალისწინებით კურიკულუმის შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დიაგნოსტირება და განმავითარებელი შეფასება ინდივიდუალური მხარდაჭერის საფუძველს წარმოადგენს, რაც სკოლას საშუალებას აძლევს, ოპერატიულად დაგეგმოს მიმდინარე გაკვეთილები, დამატებითი მეცადინეობები ან მოახდინოს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს კათედრულ პორტფოლიოებს, თვითშეფასებასა და საგნობრივი კათედრის წევრების დაკვირვებას, ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების რეალიზებაზე. კათედრებზე დანერგილი საჩვენებელი გაკვეთილებისა და შემდგომი რეფლექსიის პრაქტიკა ხელს უწყობს ურთიერთსწავლებასა და გამოცდილების გაზიარებას. მშობელთა კითხვარების გამოყენება უზრუნველყოფს ისეთი მრავალფეროვანი ფაქტორების ასახვას, როგორიც არის თემის მოლოდინები სტრატეგიული განვითარების მიმართ, კურიკულუმის შინაარსობრივი მხარე და სასკოლო კულტურის განვითარება. მცირე კონტინგენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფორმალურ ინსტრუმენტებს ბუნებრივად ავსებს ყოველდღიური ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია, რაც ზრდის ნდობასა და ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N03-04/05 (10.12.2025)
4. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმი N2 (26.12.2025)
5. მშობელთა კრების VIII კლასის ოქმი N2 (29.12.2025)
6. დამრიგებლის პორტფოლიო V და VIII კლასი
7. დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ
8. შემაჯამებელი დავალების ანალიზი (რუსული ენა Vდა VII, მუსიკა IX, მათემატიკა V)
9. სტრატეგიული დაგეგმარებისა და ჩართულობის მშობელთა კითხვარის ფორმები
10. მასწავლებლის პირველი სემესტრის ანგარიშები (ინგლისური, რუსული, საბუნებისმეტყველო)
11. დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები (სამოქალაქო განათლება X, ჩვენი საქართველო VI, ისტორია VIII, ფიზიკა XI)
12. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთერთშეფასების დოკუმენტაცია (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქიმია, რუსული ენა)

13. საგნობრივი კათედრის პირველი სემესტრის ანგარიშები (უცხოური ენა, მათემატიკა, საზოგადოებრივი მეცნიერებები)
14. დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა მეორე სემესტრში (4-5 მაისი), რის გამოც მიმდინარე წლის სარეკომენდაციო პაკეტის გაცნობა ვერ მოხერხდა, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მიგნებების განვითარებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციებად გარდაქმნის პოტენციალი. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დეკლარირებულია, მასწავლებლების მხრიდან სასწავლო პროცესის უწყვეტი ანალიზის საფუძველზე წლის ბოლოს კურიკულუმის განახლება. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა კათედრებზე საგაკვეთილო დაკვირვების შედეგების, შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზის განხილვის გამოცდილება. სხვადასხვა დოკუმენტიდან (შემაჯამებლის ანალიზი, კათედრის ოქმები, ანგარიშები) ამოკითხული მიგნებები ადასტურებს, რომ სკოლა ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათ გარდაქმნას კონკრეტულ სარეკომენდაციო პუნქტებად. მაგალითისთვის, შემაჯამებელი დავალებების ტიპების გამრავალფეროვნების, შემოქმედებითი დავალებების დახვეწის, ციფრული რესურსების ინტეგრირებისა და ციფრული წიგნიერების შესახებ. სკოლის მიერ დოკუმენტურად განსაზღვრული პრიორიტეტების პრაქტიკული რეალიზების საფუძვლიანობის მაგალითია სემესტრულ ანგარისში დაფიქსირებული რეკომენდაცია ოლიმპიადების შესახებ, რაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მოსწავლეთა მომდევნო ტურში გადასვლის წარმატებული შედეგით დადასტურდა. შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ანგარიშსა თუ ოქმში არსებული ფრაგმენტული მიგნებების სინთეზი მაინც იძლევა კურიკულუმის მხარდამჭერი სარეკომენდაციო პაკეტის ფორმირებისთვის საკმარის საფუძველს.

სკოლას მიეცა რჩევა:

1.კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის, გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ).
2.სკოლისთვის მისაღები ფორმით, შექმნას კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლიც დაეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრაქტიკას, შიდა წარმატებულ გამოცდილებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია კურიკულუმის განვითარების პროცესის მუდმივობა და სკოლის ვალდებულება წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე კურიკულუმის ყოველწლიურად განახლების შესახებ. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნისათვის

წინარე გამოცდილების გათვალისწინების მზაობა. ამასთან ერთად, შესაძლებელია მხედველობაში მივიღოთ მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის კუთხით სასწავლო პროცესის შესწავლის არსებული პრაქტიკა. ვიზიტის მიმდინარეობისას მასწავლებელთა გუნდური საქმიანობის დაკვირვებით იქმნება მოლოდინი იმისა, რომ ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება სხვადასხვა ანგარიშსა თუ ოქმში არსებული ფრაგმენტული მიგნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმი N2 (26.12.25)
3. დამრიგებლის ანგარიში VIII კლასი
4. სტრატეგიული დაგეგმარებისა და ჩართულობის მშობელთა კითხვარის ფორმები
5. შემაჯამებელი დავალების ანალიზი (რუსული ენა VII, ინგლისური ენა VIII და IX, მუსიკა IX, მათემატიკა V)
6. საგნობრივი კათედრის პირველი სემესტრის ანგარიშები (მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
7. დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 16.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თინათინ გიორგაძე -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამრიკო ბასილია - 

ნანა მარღანია -

ირინე შარაბიძე -

ნინო წიკლაური -

ალექსანდრე ჩახნაშვილი - 

თაია მამარდაშვილი -

მარინე რეხვიაშვილი -

ნადია დაბრუნდაშვილი - 

მანანა როსტომაშვილი -



ნინო ხუტილაშვილი -